საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№03 (568)
3 - 9 თებერვალი, 2021
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## როგორ ყალიბდებოდა თბილისი ევროპულ ქალაქად 20



## «მსოფლიო ვერ წავა ისეთი ეკონომიკის შექმნის გზით, რომელიც იმუშავებს მხოლოდ მილიონი ადამიანისთვის, ვერც თუნდაც «ოქროს მილიარდისთვის»



## მდგრადი და ჰარმონიული განვითარების 4 საკვანძო პრიორიტეტი 2-3-4-5

## აშშ-ის სახელმწიფო მდივნის – ენტონი ბლინკენისა და გავლენიანი სენატორის – რენდ პოლის დიალოგი: 5





ენტონი ბლინკენი: — თუკი საქართველო მზადაა, დააკმაყოფილოს ნატოს წევრისთვის წაყენებული მოთხოვნები და წვლილი შეიტანოს ჩვენს კოლექტიურ უსაფრთხოებაში (ე.ი. მათ კი არ უნდა იზრუნონ ჩვენს უსაფრთხოებაზე, პირიქით, ჩვენ უნდა შევიტანოთ წვლილი მათ უსაფრთხოებაში! გესმით? საზარბაზნე ხორცია ჩვენი ფუნქცია ნატო-სთვის, ამაზე მეტი გულახდილობა რაღა გინდათ? რედ.), მისთვის კარი ღია უნდა დარჩეს.

**რენდ პოლი: — თუ ნატოს შემადგენლობაში საქართველოს შეყვანას მიაღწევთ, ამის გამო ჩვენ რუსეთთან უნდა ვიომოთ?**

ამ ქვეყნების შეყვანა ნატოს შემადგენლობაში პროვოკაციაა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ჩვენ ვალდებული ვიქნებით, დავიცვათ ჩვენი მოკავშირეები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხმა უნდა მივცეთ ომს რუსეთთან. მე არ შევწირავდი არც საკუთარ თავს და არც თქვენს სიცოცხლეს საქართველოს ნატოში შეყვანას. მე არ ვარ მზად, ჩემი და თქვენი შვილების საომრად გასაგზავნად საქართველოში. თქვენ ხომ გესმით, ჩვენს ირგვლივ მიმდინარეობს რთული პროცესები. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ შესაძლებელია, ჩვენი მხრიდან ნებისმიერ პროვოკაციას მოჰყვეს უმძიმესი პასუხი.

ქართველებო, ამერიკელი პოლიტიკოსების ჩვენთვის ამ უაღრესად საყურადღებო დიალოგის ფონზე კიდევ ერთხელ უნდა შემოგკადროთ: დასავლეთისა და ნატოს გზა ჩვენთვის საბედისწეროა. ეს გზა უარსაყოფია, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამის გაკეთებას გაბედავს, ამიტომ ეს ჩვენი, ქართველი ხალხის, გასაკეთებელია!



გიორგი შერგაშიძე:
**რა მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონდეს დღეს საქართველოს, ვინც არ უნდა იყოს ჩვენი პარტნიორი, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარების, მასთან შეთანხმების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრი ილუზიაა 8**



ლევან ჩაჩუა:
**ბარემც, რა თქმა უნდა, საქართველოა და მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ჰყავს ჩვენს ქვეყანას მამულიშვილები, რომლებიც მას თუნდაც სიცოცხლის ფასად არ დათმობენ! 9**



## ადამიანთა უტილიზაცია არაერთხელ ახსენეს ხმამაღლა თუ კულუარულად და... 10



## ქედმოხრილი ჯონსონი და ნაქეზებული საქართველო 7



## ნეოლიბერალების «ჯვაროსნული ლაშქრობა» მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და საქართველო 6

ჩაკუჩხი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მსოფლიო ვერ წავა ისეთი ეკონომიკის შექმნის გზით, რომელიც იმუშავებს მხოლოდ მილიონი ადამიანისთვის, ვერც თუნდაც „ოქროს მილიარდისთვის“. ეს, უბრალოდ, დესტრუქციული პოზიციაა. ასეთი მოდელი არსებითად არამდგრადია. ცოტა ხნის წინანდელმა მოვლენებმა, მათ შორის, მიგრაციულმა კრიზისმა, ეს კვლავ დაადასტურა“.**

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 21 იანვარს პირველად 2009 წლის, ე.ი. 12 წლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე „დავოსის დღის წესრიგი — 2021“. გთავაზობთ ამ გამოსვლის მცირედ შემოკლებულ ტექსტს.**

# «მსოფლიო ვერ წავა ისეთი ეკონომიკის შექმნის გზით, რომელიც იმუშავებს მხოლოდ მილიონი ადამიანისთვის, ვერც თუნდაც «ოქროს მილიარდისთვის»

„ამჟამინდელი ფორუმი პირველია 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულში და ამ ფორუმზე თემების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ეძღვნება სიღრმისეულ ცვლილებებს, რომლებიც პლანეტაზე მიმდინარეობს...

ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური განვითარების უწინდელი მოდელებისა და ინსტრუმენტების კრიზისს; სოციალური დაყოფის გაძლიერებას როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე გლობალურ დონეზე. თავის მხრივ, ეს ყველაფერი საზოგადოებრივი თვალსაზრისების მკვეთრ პოლარიზაციას, პოპულიზმისა და მემარჯვენე თუ მემარცხენე რადიკალიზმის, სხვა უკიდურესობების მატებასა და შიდაპოლიტიკური პროცესების გამწვავებას იწვევს, მათ შორის — წამყვან ქვეყნებში. ეს ყველაფერი აისახება საერთაშორისო ურთიერთობებზე, არ სძენს მათ სტაბილურობას. საერთაშორისო ინსტიტუტები სუსტდება, მრავლდება რეგიონული კონფლიქტები, გლობალური უსაფრთხოების სისტემა დეგრადირდება.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნეში მსგავსი პრობლემების არსებითი გადაწყვეტისადმი გამოჩენილი უუნარობა და მოუმზადებლობა მეორე მსოფლიო ომის კატასტროფით დასრულდა. ვიმედოვნებ, ამჟამად ასეთი გლობალური „ცხელი“ კონფლიქტი შეუძლებელია. ამის დიდი იმედი მაქვს. ეს ცივილიზაციის დასასრული იქნება, მაგრამ, ვიმეორებ, ვითარება შეიძლება, უმართავი შეიქნეს, თუკი, რა თქმა უნდა, არაფერს ვიღონებთ, რომ ეს არ მოხდეს. **არის ალბათობა, შევეჯახოთ ჩავარდნას მსოფლიოს განვითარებაში, რომელსაც მოჰყვება ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ, წინააღმდეგობების გადაჭრის მცდელობები შინაური და გარეშე მტრების ძებნით, ნგრევა არა მხოლოდ ისეთი ტრადიციული ფასეულობებისა (ჩვენ რუსეთში ამას ძალიან ვუფრთხილდებით), როგორიც არის ოჯახი, არამედ საბაზისო თავისუფლებები, მათ შორის არჩევანის უფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.**

დღეს ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან ავიცილოთ პირქუში ანტიუტოპიის მსგავსი პერსპექტივა და უზრუნველვყოთ განვითარების პოზიტიური, ჰარმონიული და აღმშენებლობის ტრაექტორიით სვლა.

დაწვრილებით შევჩერდები იმ საკვანძო გამოწვევებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, დგას მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე.

**მათგან პირველია სოციალურ-ეკონომიკური.**

თუ სტატისტიკური მონაცემებით ვიმსჯელებთ, 2008 და 2020 წლების კრიზისების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკის ბოლო ორმოცწლიან პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ წარმატებული ან ზეწარმატებულიც კი. 1980 წლის მერე გლობალური მშპ გაორმაგდა, მილიარდზე მეტმა ადამიანმა თავი დააღწია სიღარიბეს. თუ ადამიანის შემოსავლის დონედ ავიღებთ 5,5 დოლარს დღეში, მაშინ, მსოფლიო ბანკის შეფასებით, მაგალითად, ჩინეთში, ამაზე დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანების რაოდენობა 1990 წლიდან დღემდე 1,1 მლრდ-დან 300 მლნ-მდე შემცირდა. ეს, რა თქმა უნდა, ჩინეთის წარმატებაა. რუსეთში ასეთი 1999 წელს 64 მლნ ადამიანი იყო, მათი რაოდენობა დღეს 5 მილიონამდე შემცირდა. მიგვაჩნია, რომ ეს ქვეყნის წინსვლაა მთავარი მიმართულებით.

**თუმცა მთავარია კითხვა, რომელზე პასუხიც იძლევა ამჟამინდელი პრობლემების გაცნობიერების საშუალებას — როგორი იყო ამ გლობალური ზრდის ხასიათი, ვინ მიიღო ამისგან ძირითადი სარგებელი?** ძირითადად, მოიგეს განვითარებადმა ქვეყნებმა, რომლებმაც ისარგებლეს მოთხოვნით თავიანთ ტრადიციულ და ახალ საქონელზეც კი, მაგრამ გლობალურ ეკონომიკაში ასეთმა ჩართვამ მოიტანა არა მხოლოდ სამუშაო ადგილები და საექსპორტო შემოსავლები, არამედ სოციალური გადახრებიც, მათ შორის, არსებითად გაიზარდა განსხვავებაც მოქალაქეთა შემოსავლებს შორის.

და **როგორ მიდის საქმე განვითარებულ ეკონომიკებში, სადაც კეთილდღეობის საშუალო დონე გაცილებით მაღალია? როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, საზოგადოების ფენებად დაყოფა განვითარებულ ქვეყნებში კიდევ უფრო ღრმად წავიდა.** მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, თუ, მაგალითად, 2000 წელს აშშ-ში 5,5 დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანი 3,6 მლნ იყო, 2016 წელს ასეთი ადამიანების რაოდენობამ უკვე 5,6 მლნ-ს მიაღწია. ამავე პერიოდში გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა მსხვილი ტრანსნაციონალური, უწინარესად, ამერიკული და ევროპული კომპანიების მოგება.

სხვათა შორის, მოქალაქეების მიხედვით, ევროპის განვითარებულ ეკონომიკებშიც ისეთივე ტენდენციებია, როგორიც აშშ-ში.

მაგრამ, თუ კვლავაც ვილაპარაკებთ კომპანიების მოგებაზე, **ვის ერგო შემოსავალები? პასუხი აშკარაა — მოსახლეობის ერთ პროცენტს. და რა მოხდა დანარჩენი ადამიანების ცხოვრებაში? ბოლო 30 წლის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში მოქალაქეების ნახევარზე მეტის შემოსავლებმა სტაგნაცია განიცადა, არ მომატებულა. აი განათლების, ჯანდაცვის მომსახურების ფასებმა კი მოიმატა და, იცით, რამდენჯერ? — სამჯერ.**

ე.ი., მილიონობით ადამიანი მდიდარ ქვეყნებშიც კი შემოსავლების ზრდის პერსპექტივას ვეღარ ხედავს. ამასთანავე, მათ წინაშე დადგა პრობლემები, როგორ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა თვითონ და შეუნარჩუნონ მშობლებსაც, როგორ უზრუნველყონ შვილებისთვის ხარისხიანი განათლება.

ჩნდება კიდევ უზარმაზარი მასა ადამიანებისა, რომლებიც არავის სჭირდება. მაგალითად, **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, 2019 წელს მსოფლიოში ახალგაზრდების 21 პროცენტი, ანუ 267 მლნ არ მუშაობდა და არ სწავლობდა. მომუშავეთა შორისაც კი (აი საინტერესო ციფრები) 30 პროცენტი დღეში 3,2 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს.**

გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ასეთი გადახრები არის პირდაპირი შედეგი გასული საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკისა, რომელსაც ხშირად ვულგარულად და დოგმატურად ატარებდნენ. ამ პოლიტიკას საფუძვლად ედო ე. წ. **ვაშინგტონის კონსენსუსი** მისი დაუწერელი წესებით, როცა პრიორიტეტი ენიჭებოდა ეკონომიკის ზრდას კერძო ვალის ბაზაზე, მდიდრებისა და კორპორაციებისთვის დაბალი გადასახადების დადგენას და მათი საქმიანობის რეგულაციის მოშლას.

კორონავირუსის პანდემიამ ეს პრობლემები უფრო გაამწვავა. შარშან გლობალური ეკონომიკის ვარდნა მაქსიმალური იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. **ივლისში შრომის ბაზრის დანაკარგები გაუტოლდა 500 მილიონ სამუშაო ადგილს. წლის ბოლოს მათი ნახევრის აღდგენა მოხერხდა, მაგრამ 250 მლნ სამუშაო ადგილი ხომ დაიკარგა? ეს საგანგაშო რაოდენობაა. გასული წლის პირველ 9 თვეში მსოფლიოში შრომითი შემოსავლების დანაკარგმა 3,5 ტრილიონი დოლარი შეადგინა და ეს მაჩვენებელი ზრდას განაგრძობს. შესაბამისად, საზოგადოებაში იზრდება სოციალური დაძაბულობაც.**

ამასთანავე, რთულად მიმდინარეობს პოსტკრიზისული აღდგენა. თუ 20-30 წლის წინათ პრობლემის მოგვარება შეიძლებოდა მასტიმულირებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკით (სხვათა შორის, აქამდე მუდმივად ასე აკეთებდნენ), დღეს ასეთმა მექანიზმებმა თავისი ამოწურა, ისინი აღარ მუშაობენ. ეს ცარიელი სიტყვები არ არის.

მაგალითად, **საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი ვალის დონე ძალიან მიუახლოვდა გლობალური მშპ-ს 200-პროცენტიან ნიშნულს. ცალკეულ ეკონომიკებში კი მან ეროვნული მშპ-ს 300 პროცენტსაც გადააჭარბა. ამასთანავე, განვითარებულ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთები თითქმის ნულოვან ნიშნულზეა, ხოლო საკვანძო განვითარებად ქვეყნებში — ისტორიულ მინიმუმზე.** ეს ყველაფერი ეკონომიკის სტიმულირებას კერძო ვალის ზრდის ტრადიციული ინსტრუმენტებით თითქმის შეუძლებელს ხდის. ე.წ. რაოდენობრივი შემსუბუქება, რომელიც მხოლოდ ბერავს ფინანსური აქტივების „ბუშტს“, აღრმავებს საზოგადოების ფენებად დაყოფას, ხოლო „რეალურ“ და „ვირტუალურ“ ეკონომიკებს შორის სულ უფრო მზარდი დაშორიშორება რეალურ საფრთხეს წარმოადგენს და სერიოზულ და ძნელად განსაჭვრეტ რყევებამდე მიგვიყვანს.

გარკვეული იმედი, რომ შევძლებთ ზრდის უწინდელი მოდელის „გადატვირთვას“, დაკავშირებულია სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებასთან. მართლაც, **ბოლო 20-მა წელიწადმა საფუძველი ჩაუყარა ე.წ. მეოთხე სამრეწველო რევოლუციას, რომელიც დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტის საყოველთაო გამოყენებაზე, ავტომატიზებულ და რობოტიზებულ გადაწყვეტილებებზე.**

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ასეთი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, მაგრამ ეს პროცესი აჩენს ახალ სტრუქტურულ ცვლილებებსაც, უწინარესად, შრომის ბაზარზე. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ეფექტიანი მოქმედებების გარეშე ბევრი ადამიანი შეიძლება სამუშაოს გარეშე დარჩეს. თანაც, ისინი უმეტესად იქნებიან წარმომადგენლები ე.წ. საშუალო კლასისა, რომელიც ნებისმიერი თანამედროვე საზოგადოების საფუძველია.




აქედან გამომდინარე, ვისაუბრებ **მიმდინარე ათწლეულის მეორე ფუნდამენტურ გამოწვევაზე — საზოგადოებრივ-პოლიტიკურზე.**

**ეკონომიკური პრობლემებისა და უთანასწორობის ზრდა ხლეჩს საზოგადოებას, აჩენს სოციალურ, რასობრივ, ეროვნულ შეუწყნარებლობას. ასეთი დაძაბულობა საგრძნობია ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებშიც თითქოს მდგრადია სამოქალაქო და დემოკრატიული ინსტიტუტები, მოწოდებულნი, შეარბილონ და ჩააქრონ მსგავსი გამოვლინებები და ექსცესები.** სისტემური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აჩენს ისეთ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას, რომ ამას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ეს პრობლემები არსობრივად უნდა გადაწყდეს. სახიფათოა ილუზია, რომ შეიძლება მათი იგნორირება, წაყრუება, მიჩუმათება. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება მაინც იქნება დაყოფილი პოლიტიკურად და სოციალურად. **ადამიანებისთვის მიზეზები იმისა, რომ იყვნენ უკმაყოფილონი, მდგომარეობს არა რაღაც მაღალ მატერიებში, არამედ რეალურ პრობლემებში, რომლებიც ეხება თითოეულს, როგორი თვალსაზრისის, მათ შორის პოლიტიკურის, მხარდამჭერი და მიმდევარიც უნდა იყოს ეს ადამიანი.**

**გამოვყოფ კიდევ ერთ პრინციპულ მომენტს.** საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ტექნოლოგიუ-

**«აშკარაა, რომ ეპოქა, დაკავშირებული მცდელობებთან, აეგოთ ცენტრალიზებული, ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი, დასრულდა. ისე, ის არც დაწყებულა, იყო მხოლოდ მცდელობა ამ მიმართულებით, თუმცა მან უკვე ჩაიარა. ასეთი მონოპოლია თავისი ბუნებით ჩვენი კულტურული, ისტორიულად მრავალსახიანი ცივილიზაციის საწინააღმდეგოა»**

▶

# „რეალობა ასეთია: მსოფლიოში ჩამოყალიბდა განვითარების რამდენიმე ცენტრი თავიანთი თვითმყოფადი მოდელებით, პოლიტიკური სისტემებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტებით და დღეს უკიდურესად მნიშვნელოვანია მათი ინტერესების შეთავსების მექანიზმები“.

ჩაკეჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...რი და, უწინარესად, ციფრული გიგანტები. ამაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ, განსაკუთრებით იმ მოვლენების შემდეგ, რომლებიც შტატებში წინასაარჩევნო კამპანიისას განვითარდა. ისინი უკვე რაღაც ეკონომიკური გიგანტები კი აღარ არიან, ცალკეული მიმართულებებით დე ფაქტო უწევენ კონკურენციას სახელმწიფოებს. მათი აუდიტორია მილიარდობით მომხმარებელს ითვლის, რომლებიც ამ ეკოსისტემის ჩარჩოებში თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ. თვით კომპანიების თვალსაზრისით, მათი მონოპოლიური მდგომარეობა ოპტიმალურია ტექნოლოგიური და ბიზნესპროცესების ორგანიზებისთვის. შეიძლება, ეს ასეც არის, მაგრამ საზოგადოებას უჩნდება კითხვა: **შეესაბამება კი ასეთი მონოპოლიზმი საზოგადოებრივ ინტერესებს?** სად არის ზღვარი წარმატებულ გლობალურ ბიზნესს, მოთხოვნად სერვისებს, დიდი მონაცემების კონსოლიდაციასა და იმას შორის, რომ საზოგადოება უხეშად, საკუთარი შეხედულებების მიხედვით მართო, ჩაანაცვლო ლეგიტიმური, დემოკრატიული ინსტიტუტები, შეზღუდო ადამიანის ჭეშმარიტი უფლებები ან მოახდინო მათი უზურპაცია, ან იმას შორის, რომ ადამიანმა თვითონ გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს, რა აირჩიოს, როგორი პოზიცია გამოხატოს თავისუფლად? ეს ყველაფერი ახლახან ვნახეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამიტომ ყველას ესმის, რასაც ახლა ვლაპარაკობ.

**მესამე გამოწვევა, უფრო ზუსტად, აშკარა საფრთხე,** რომელსაც ჩვენ შეიძლება შევეჯახოთ ამ ათწლეულში, **ეს არის საერთაშორისო პრობლემების მთელი კომპლექსის გამწვავება.**

მოუგვარებელმა და მზარდმა შიდა სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა ხომ შეიძლება გიბიძგოს, ეძებო ის, ვისაც შეიძლება გადააბრალო ყველაფერი, დაადანაშაულო ყველა უბედურებაში და მისკენ მიმართო საკუთარი მოქალაქეების გაღიზიანება და უკმაყოფილება. და ჩვენ ამას უკვე ვხედავთ, ვგრძნობთ, რომ მატულობს საგარეოპოლიტიკური, პროპაგანდისტული რიტორიკის გრადუსი. მოსალოდნელია, რომ უფრო აგრესიული იქნება პრაქტიკული მოქმედებების ხასიათი, მათ შორის წნეხი იმ ქვეყნებზე, რომლებსაც არ სურთ დამჯერი, მორჩილი სატელიტების როლში ყოფნა, სავაჭრო ბარიერების გამოყენება, არალეგიტიმური სანქციები, ფინანსური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო სფეროების შეზღუდვა. მსგავსი **თამაში წესების გარეშე კრიტიკულად ამაღლებს სამხედრო ძალის ცალმხრივად გამოყენების რისკს — აი, რა არის სახიფათო, ძალის გამოყენება ამა თუ იმ გამოგონილი საბაბით. ეს პლანეტაზე ახალი ცხელი წერტილების გაჩენის შესაძლებლობას ზრდის.** ამასთანავე, პატივცემულო ფორუმის მონაწილენო, ასეთი წინააღმდეგობებისა და გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ პოზიტიური ხედვა მომავალზე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ალმშენებლობის დღის წესრიგისადმი მხარდაჭერა.

**გულუბრყვილობა იქნებოდა ამ პრობლემების მოგვარების რაღაც უნივერსალური სასწაულმოქმედი რეცეპტის შემოთავაზება, მაგრამ საერთო მიდგომების შემუშავება, პოზიციების მაქსიმალურად დაახლოება, გლობალური დაძაბულობის წარმომშობი წყაროების გამოვლენა, ჩვენ ყველას, რა თქმა უნდა, გვჭირდება.** მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა ჩემს თეზისს:

**გლობალური განვითარების არამდგრადობის ფუნდამენტური მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაგროვებაა.**

ამიტომ დღეს საკვანძო საკითხია, როგორ ავაწყოთ მოქმედებების ლოგიკა, რათა არა მხოლოდ სწრაფად აღვადგინოთ გლობალური და ეროვნული ეკონომიკები, არამედ მივაღწიოთ იმას, რომ ეს აღდგენა იყოს მდგრადი შორეულ პერსპექტივაშიც და ჰქონდეს ხარისხიანი სტრუქტურა, გვეხმარებოდეს სოციალური დისბალანსის ტვირთის დაძლევაში.

უკვე ნახსენები შეზღუდვების გათვალისწინებით, ეკონომიკის მომავალი განვითარება დიდწილად დაფუძნებული იქნება საბიუჯეტო სტიმულებზე, საკვანძო როლს კი შეასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტები და ცენტრალური ბანკები.

აბსოლუტურად ცხადია, რომ **მსოფლიო ვერ წავა ისეთი ეკონომიკის შექმნის გზით, რომელიც იმუშავებს მხოლოდ მილიონი ადამიანისთვის, ვერც თუნდაც „ოქროს მილიარდისთვის“. ეს, უბრალოდ, დესტრუქციული პოზიციაა. ასეთი მოდელი არსებითად არამდგრადია. ცოტა ხნის წინანდელმა მოვლენებმა, მათ შორის, მიგრაციულმა კრიზისმა, ეს კვლავ დაადასტურა.**

ახლა საჭიროა, საერთო კონსტანტაციიდან საქმეზე გადავიდეთ, რეალური ძალისხმევა და რესურსები მივმართოთ იმაზე, რომ, ერთი მხრივ, აღმოვფხვრათ სოციალური უთანასწორობა ცალკეული ქვეყნების შიგნით და, აგრეთვე, მივაღწიოთ პლანეტის სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების თანდათანობით დაახლოებას. **მაშინ მიგრაციული კრიზისებიც აღარ იქნება.**

**მდგრადი და ჰარმონიული განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკის აზრი, აქცენტები აშკარაა. რა არის ეს? ეს არის ახალი შესაძლებლობების შექმნა თითოეულისთვის, ადამიანის პოტენციალის რეალიზაციისთვის პირობების უზრუნველყოფა იმისგან დამოუკიდებლად, სად დაიბადა და ცხოვრობს ის.**

აქ გამოვყოფ ოთხ საკვანძო პრიორიტეტს:

**პირველი.** ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების კომფორტული გარემო. ეს არის საცხოვრისი და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა: სატრანსპორტო, ენერგეტიკული, კომუნალური, და, რა თქმა უნდა, კეთილმყოფელი ეკოლოგია. ;

**მეორე.** ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას ექნება სამუშაო, რომელიც მისცემს მუდმივად მზარდ ხელფასს და, შესაბამისად, ცხოვრების ღირსეულ დონეს. მას მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელი უნდა მიუწვდებოდეს სწავლის ქმედით მექანიზმებზე. დღეს ეს აუცილებელია, რათა განვითარდეს და მოიწყოს კარიერა, შემდეგ კი მიიღოს ღირსეული პენსია და სოციალური პაკეტი;




**«მატულობს საგარეოპოლიტიკური, პროპაგანდისტული რიტორიკის გრადუსი. მოსალოდნელია, რომ უფრო აგრესიული იქნება პრაქტიკული მოქმედებების ხასიათი, მათ შორის წნეხი იმ ქვეყნებზე, რომლებსაც არ სურთ დამჯერი, მორჩილი სატელიტების როლში ყოფნა, სავაჭრო ბარიერების გამოყენება, არალეგიტიმური სანქციები, ფინანსური, ტექნოლოგიური, საინფორმაციო სფეროების შეზღუდვა»**

**მესამე.** ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიიღებს ხარისხიან, ეფექტიან სამედიცინო დახმარებას, როცა ეს დასჭირდება; რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ნებისმიერ შემთხვევაში მისცემს მას თანამედროვე დონის მომსახურების გარანტიას;

**მეოთხე.** ოჯახის შემოსავლებისგან დამოუკიდებლად ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ღირსეული განათლების მიღებისა და თავიანთი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა. ასეთი პოტენციალი აქვს თითოეულ ბავშვს.

მხოლოდ **ასე შეიძლება თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე ეფექტიანად განვითარების გარანტირება; ეკონომიკისა, რომელშიც ადამიანები იქნებიან არა საშუალება, არამედ მიზანი.**

ეს მიდგომა უდევს საფუძვლად სტრატეგიას, რომლის რეალიზაციასაც ეწევა ჩემი ქვეყანა — რუსეთი. **ჩვენი პრიორიტეტები აგებულია ადამიანის გარშემო, მისი ოჯახის, შვილების გარშემო, მიმართულია დემოგრაფიულ განვითარებასა და ხალხის მოფრთხილებაზე, ადამიანების კეთილდღეობის ზრდაზე, მათი ჯანმრთელობის დაცვაზე. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ შევქმნათ პირობები ღირსეული და ეფექტიანი შრომისა და წარმატებული მეწარმეობისთვის, უზრუნველვყოთ ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც ტექნოლოგიური წყობის საფუძველი, არა კომპანიების ვიწრო ჯგუფისთვის, არამედ მთელი ქვეყნის მომავლისთვის.**

**აშკარაა, რომ ეპოქა, დაკავშირებული მცდელობებთან, აეგოთ ცენტრალიზებული, ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი, დასრულდა. ისე, ის არც დაწყებულა, იყო მხოლოდ მცდელობა ამ მიმართულებით, თუმცა მან უკვე ჩაიარა. ასეთი მონოპოლია თავისი ბუნებით ჩვენი კულტურული, ისტორიულად მრავალსახიანი ცივილიზაციის საწინააღმდეგოა.**

**რეალობა ასეთია: მსოფლიოში ჩამოყალიბდა განვითარების რამდენიმე ცენტრი თავიანთი თვითმყოფადი მოდელებით, პოლიტიკური სისტემებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტებით და დღეს უკიდურესად მნიშვნელოვანია მათი ინტერესების შეთავსების მექანიზმები, რათა მრავალფეროვნება, განვითარების პოლუსებს შორის ბუნებრივი კონკურენცია არ გადაიზარდოს ანარქიაში, ხანგრძლივ კონფლიქტებში.**

ამისთვის მოგვიწევს, ხელი მოვკიდოთ იმ უნივერსალური ინსტიტუტების განვითარებასა და განმტკიცებას, რომლებსაც ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მსოფლიოში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ქცევის წესების დადგენაზე გლობალურ ეკონომიკასა და ვაჭრობაში. უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ ამ ინსტიტუტებიდან დღეს ბევრს არ უდგას კარგი დროება. ეს ინსტიტუტები რომ სხვა ეპოქაში შეიქმნა, გასაგებია და, დღევანდელ გამოწვევებს რომ უპასუხონ, მათთვის, შესაძლოა, ობიექტურადაც კი ძნელია, თუმცა მინდა, ხაზი გავუსვა — ეს არ არის ამ ინსტიტუტებზე უარის თქმის საბაბი იმ პირობებში, როცა სანაცვლოდ არაფერი შეგვიქმნია. ამ სტრუქტურებს აქვს მუშაობის უნიკალური გამოცდილება და დიდი, მეტწილად არარეალიზებული პოტენციალი, ამ პოტენციალის ისტორიის სანაგვეზე გადაგდება კი ნაადრევია.

**ამასთანავე, რა თქმა უნდა, საჭიროა, გამოვიყენოთ ურთიერთქმედების ახალი, დამატებითი ფორმატები. აქ ვლაპარაკობ ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა მრავალმხრივობა. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება გავიგოთ სხვადასხვანაირად: ან როგორც საკუთარი ინტერესების თავს მოხვევა, ცალმხრივი მოქმედებებისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება, როცა სხვებს მხოლოდ ისღა რჩებათ, რომ მოწონების ნიშნად თავი დააქნიონ, ან ეს იქნება სუვერენული სახელმწიფოების ძალისხმევის რეალური გაერთიანება კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად საერთო სარგებელისთვის.**

ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება იყოს რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაზე, ტექნოლოგიური ალიანსების შექმნაზეც და ბევრ სხვა მიმართულებაზე, მათ შორის, სატრანსპორტო, ენერგეტიკული დერეფნების შექმნაზე და ა.შ. აქ ერთობლივი მუშაობისთვის ფართო ასპარეზია. შეგახსენებთ, მაგალითად, „ასტანის ფორმატში“ რუსეთი, ირანი და თურქეთი ბევრ რამეს აკეთებენ სირიაში ვითარების სტაბილიზაციისთვის და ამ ქვეყანას ამჟამად ეხმარებიან პოლიტიკური დიალოგის გამართვაში. ჩვენ ამას ვაკეთებთ ერთობლივად და არცთუ წარუმატებლად. რუსეთმა შეიარაღებული კონფლიქტის შესაჩერებლად აქტიურ საშუამავლო ძალისხმევას მიმართა მთიანი ყარაბაღის რეგიონში. ესეც კარგი მაგალითია თანამშრომლობისა. შევძელით სისხლისღვრის შეჩერება. ეს ყველაზე მთავარია. შევძელით ცეცხლის სრულად შეწყვეტა და სტაბილიზაციის პროცესის დაწყება.

სხვა მაგალითი. აღვნიშნავ რუსეთის, საუდის არაბეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების როლს მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის სტაბილიზაციაში. ასეთი ფორმატი პროდუქტიულობის მაგალითად იქცა ურთიერთქმედებისთვის იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც გლობალურ პროცესებს აბსოლუტურად განსხვავებულად აფასებენ და სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი პოზიცია აქვთ.

ამასთანავე, რა თქმა უნდა, **არის პრობლემებიც, რომლებიც უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ეხება. ამის მაგალითია კორონავირუსული ინფექციის შესწავლის სფეროში თანამშრომლობა და ამ ვითარებასთან ბრძოლა. მსოფლიო თანამეგობრობა ვალდებულია, შექმნას პირობები მეცნიერების, სპეციალისტების ერთობლივი მუშაობისთვის, რათა გავიგოთ, რატომ და როგორ ხდება, მაგალითად, კორონავირუსის მუტაცია, რით განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა შტამი.** საჭიროა მსოფლიოს ძალების გაერთიანება დაავადებების გავრცელების წინააღმდეგ და ამჟამად ასე აუცილებელი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად. **უნდა დავეხმაროთ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს სჭირდებათ, მათ შორის აფრიკის ქვეყნებს. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს მასობრივი ვაქცინაცია, უწინარესად, ხელმისაწვდომია განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებისთვის, მაშინ, როცა პლანეტის მილიონობით ადამიანი მოკლებულია საამისო იმედსაც კი.** ასეთი უთანასწორობა პრაქტიკულად ნიშნავს საერთო საფრთხეს, იმიტომ, რომ **ეპიდემია გაჭიანურდება, იქნება მისი უკონტროლო კერები, მას საზღვრები არ აქვს. ინფექციისა და პანდემიისთვის საზღვრები არ არსებობს,** ამიტომ შექმნილი ვითარებიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, მსოფლიოს შევთავაზოთ ზომები, მიმართული მონიტორინგის სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რათა თავიდან ავიცილოთ მსოფლიოში მსგავსი დაავადებების გავრცელება.

სხვა მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც აუცილებელია ჩვენი მუშაობის კოორდინაცია, არსებითად, მსოფლიო თანამეგობრობის მუშაობის კოორდინაცია, **ეს არის ჩვენი პლანეტის კლიმატისა და ბუნების შენარჩუნება.** აქაც ახალს ვერაფერს ვიტყვი. **მხოლოდ ერთად შევძლებთ** პროგრესის მიღწევას ისეთი უსერიოზულესი პრობლემის გადაჭრის საქმეში, როგორიცაა გლობალური დათბობა, ტყის ფონდის შემცირება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ოკეანეების პლასტმასებით დაბინძურება და ა.შ. ოპტიმალური ბალანსის მოძებნას ეკონომიკური განვითარების ინტერესებსა და მომავალი თაობებისთვის გარემოს შენარჩუნებას შორის. ძალიან მნიშვნელოვანია ვითარების გულახდილად შეფასება, ყურადღების კონცენტრაცია არა მოჩვენებით, არამედ რეალურ გლობალურ პრობლემებზე. მაშინ, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ, მივაღწიოთ წარმატებას და ღირსეულად ვუპასუხოთ 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის გამოწვევებს.

მინდა, ამით დავასრულო ჩემი გამოსვლა და მადლობა გადაგიხადოთ მოთმინებისა და ყურადღებისთვის!“

**კრემლინ.რუ-ზე გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. ვლადიმერ პუტინის გამოსვლის სრული ტექსტი იხილეთ ვებგვერდზე geworld.ge**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი სამეული — აშშ, რუსეთი და ჩინეთი მსოფლიოს მომავლის დღის წესრიგს რომ ქმნიან, უცნაური ამბავია. სამეულის ურთიერთობაში ძნელად გასაგები ისაა, რომ კაპიტალისტური ამერიკა და კაპიტალისტური რუსეთი ერთმანეთის მიმართ სრულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში არიან, ხოლო კაპიტალისტური რუსეთი და სოციალისტური ჩინეთი ჯერჯერობით ჰარმონიულად თანაცხოვრობენ. აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ იდეოლოგიური დაპირისპირება თურმე მთავარი არ ყოფილა, სწორი არ იქნება.**

# «მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**



მეორე გამოშვება

# პუტინის ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯის წინ...

**„ადამიანები დარჩებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების მსხვერპლად, სანამ ისინი არ ისწავლიან, რომ ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური განცხადებისა და დაპირების მიღმა აღმოაჩინონ კლასობრივი ინტერესები“.**

**ვ. ი. ლენინი**



ვლადიმერ პუტინი

### ცოტა რამ შესავლის სახით

გლობალურ მსოფლიოში ვცხოვრობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიცია, რომელსაც ხშირად იმეორებენ საქართველოში, — დიდი პოლიტიკა არ მაინტერესებს, მხოლოდ ჩემი ქვეყნის ბედით ვარ დაინტერესებულიო, — იმთავითვე მცდარია. დღეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, ანუ, ფილოსოფოსთა ენით რომ ვთქვათ, მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია და, ამდენად, ზოგადი პროცესებისგან ცალკე და მოწყვეტილად სახელმწიფოები კი არა, კონკრეტული ადამიანებიც ვერ დარჩებიან. მსოფლიო სისტემაში ჩვენი ერისა და სახელმწიფოს ადგილზე, დანიშნულებასა და ბედზე საუბარს თუკი იწყებ, ჯერ იმაში უნდა გაერკვე, რა ტენდენციებითა და მიმართულებებით ხასიათდება ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, და რა არის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უმთავრესი მამოძრავებელი.

მსოფლიოში ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მოხდა ტექტონური ძალის ძვრები. ეს ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა და მას რამდენიმე შემადგენელი გააჩნია.

**პოლიტიკური შემადგენელი:**

* აშშ-ის გამარჯვება ცივ ომში;
* საბჭოთა კავშირის დაშლა;
* ვარშავის პაქტის დაშლა;
* სოციალისტური ბანაკის დაშლა;
* აშშ-ის ჩამოყალიბება ერთპიროვნულ მსოფლიო ჰეგემონად;
* მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგის ნგრევა;
* საერთაშორისო სამართლის ქცევა ფიქციად;
* მსოფლიოს ჩაძირვა ქაოსში.

**ეკონომიკური შემადგენელი:**

* სოციალური სამართლიანობის, როგორც პოლიტიკურეკონომიკური კატეგორიის გაქრობა დღის წესრიგიდან;
* კაპიტალის შერწყმა ხელისუფლებებთან;
* თავისუფალი ბიზნესის მონოპოლიზაცია;
* ხელისუფლებისა და ბიზნესის კრიმინალიზაცია;
* მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილება ორი უკიდურესობის მიმართულებით — ზემდიდარი ადამიანების მცირერიცხოვანი კასტა და გაღატაკებული უმრავლესობა.

**გეოპოლიტიკური შემადგენელი:**

* ნატოს გაფართოება. მისი შევსება ვარშავის პაქტის ყოფილი სახელმწიფოებითა და საბჭოთა რესპუბლიკებით;
* ბზარი ნატოში, აშშ-თურქეთის კონფლიქტი, დაძაბულობა აშშ-ევროპას შორის;
* სახელმწიფოთა დაშლა (სსრკ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა);
* სახელწიფოთა გაერთიანება (გფრ, გდრ).

**ტექნოლოგიური შემადგენელი:**

* რევოლუციური ნახტომი ტექნოლოგიებში;
* მსოფლიოს კომპიუტერიზაცია;
* მობილური ტელეფონი, სმარტფონი, ხუთი ჯი;
* ციფრული ტექნიკა, ციფრული ინფორმაცია, ციფრული ფული.

**შეიარაღება:**

* კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიები შეიარაღებაში;
* ახალი თაობის ბირთვული არსენალი;
* მიტანის ახალი, ზებგერითი საშუალებები.

ყოველ ადამიანს, რომელსაც პოლიტიკა მეტნაკლებად აინტერესებს, უჩნდება შეკითხვა: ამ რთულ პროცესებს რა შედეგი მოჰყვება? საით მიდის მსოფლიო? აშშ, რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, პოზიციებს ორი მიმართულებით თმობს — რუსეთი და ჩინეთი. სტენფორდის უნივერსიტეტში ჩინეთის მიმართულების წამყვანი სპეციალისტი **მაიკლ ასლინი** წერს:

**„ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი იმპოტიორი და ექსპორტიორი სახელმწიფოა. იგი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთვის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია. ჩინეთმა პრინციპულად შეცვალა გლობალური წარმოებისა და გლობალური ვაჭრობის ხასიათი. ბევრი ავტორი ამას შოკურ პროცესს უწოდებს“.**

ჩინურ ტექნოლოგიებზე, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს მთელი მსოფლიო, იმდენი იწერება, რომ ძნელი ხდება სინამდვილისა და გამოგონილის ერთმანეთისგან გარჩევა. რაც შეეხება ბირთვულ შეიარაღებას, ჩინელი სპეციალისტების აზრით, ამ სფეროში რუსეთმა შორს გაუსწრო აშშ-ს. ისინი ამტკიცებენ: **„რუსეთი ძალიან უსწრებს აშშ-ს ჰიპერბგერითი იარაღის სფეროში. ამერიკელებს ჯერჯერობით ამ დონის არც ერთი გამოცდილი და მოქმედი რაკეტა არა აქვთ“.**

დიდი სამეული — **აშშ, რუსეთი** და **ჩინეთი** მსოფლიოს მომავლის დღის წესრიგს რომ ქმნიან, უცნაური ამბავია. სამეულის ურთიერთობაში ძნელად გასაგები ისაა, რომ კაპიტალისტური ამერიკა და კაპიტალისტური რუსეთი ერთმანეთის მიმართ სრულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში არიან, ხოლო კაპიტალისტური რუსეთი და სოციალისტური ჩინეთი ჯერჯერობით ჰარმონიულად თანაცხოვრობენ. აქედან იმ დასკვნის გაკეთება, რომ იდეოლოგიური დაპირისპირება თურმე მთავარი არ ყოფილა, სწორი არ იქნება. ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას ისტორიული გამოცდილება და ამ საკითხში დაგროვებული თეორიული ცოდნა არ გვაძლევს. რაღაც სხვა ახსნაა საძებნი. ამაზე ფიქრისას ერთმა აზრმა გამიელვა: **ხომ არ ხდება ისე, რომ კაპიტალისტური რუსეთი სოციალისტური მენტალობითაა გაჯერებული, ანუ ხომ არ ხდება ისე, რომ რუსული კაპიტალიზმი რუსი ხალხის შინაგანი ბუნების გამოვლენა და გამოხატულება კი არ არის, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსა და რუსეთში განხორციელებული კონტრრევოლუციის ინერციაა, რომლის დაძლევასაც რუსეთი ცდილობს?**

ამგვარ დაშვებას თუ გავაკეთებთ, ბევრი რამ თავის ადგილზე დგება და დიდი სამეულის ის უცნაური ურთიერთობა, რომელიც წეღან ძნელად ასახსნელი ჩანდა, ამ დაშვების შემდეგ სრულიად ნათელი ხდება: **სოციალისტური ჩინეთი და სოციალისტური მენტალობის რუსეთი მშვენივრად უგებენ ერთმანეთს, ხოლო კაპიტალისტური ამერიკა ორივეს მიმართ იდეოლოგიურ შეუთავსებლობას ავლენს.** ალბათ, მკითხავთ: რა ლოგიკამ მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ კაპიტალისტური რუსეთი სოციალისტური მენტალობითაა გაჟღენთილი? შეკითხვაზე მეტ-ნაკლებად კვალიფიციური პასუხის მისაღებად, გთავაზობთ, ერთად გადავავლოთ თვალი **პუტინის** მოღვაწეობის საკვანძო მომენტებს...

### ნაბიჯი პირველი (მიუნხენი, 2007 წ.)

მიუნხენის 2007 წლის საერთაშორისო კონფერენცია გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე იყო ის საერთაშორისო ფორუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკელებმა პირველი ნამდვილი შოკი მიიღეს. ხელზე, რომლითაც მათ თექვსმეტი წლის წინათ მსოფლიო ჩაბღუჯეს, უცებ ისეთი მწვავე დარტყმა იგრძნეს, რომ პლანეტა კინაღამ გაუვარდათ. ტრიბუნასთან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იდგა: **„როგორც ყველა ომმა, „ცივმა ომმაც“ დაგვიტოვა, მხატვრულად რომ ვთქვათ, „აუფეთქებელი ნაღმები“. მხედველობაში მაქვს იდეოლოგიური სტერეოტიპები, ორმაგი სტანდარტები, ბლოკური აზროვნების სხვა გამოვლინებები. „ცივი ომის“ შემდეგ შემოთავაზებული ერთპოლუსიანი მსოფლიოც ვერ შედგა. რა არის ერთპოლუსიანი მსოფლიო? როგორც არ უნდა შეალამაზონ ეს ტერმინი, საბოლოო ჯამში, იგი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ეს ხელისუფლების ერთი ცენტრი, ძალის ერთი ცენტრი, გადაწყვეტილების მიღების ერთი ცენტრია. ეს ერთი სიუზერენის მსოფლიოა. ეს, საბოლოო ჯამში, დამღუპველია არა მხოლოდ მათთვის, ვინც ამ ჩარჩოში ექცევა, არამედ თვით სიუზერენისთვისაც, ვინაიდან ანგრევს მას შიგნიდან, რასაც არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან...“**

ამ სიტყვებით ყველაფერი ნათქვამი იყო, უფრო სწორად, ამერიკელებისთვის სახეში იყო ყველაფერი მიხლილი, მაგრამ პუტინი აქ არ შეჩერებულა. მან იმაზე გაცილებით მეტი თქვა, ვიდრე ამის წარმოდგენა იმ დარბაზში მსხდომთაგან ვინმეს შეეძლო: **„მიმაჩნია, რომ დღევანდელი მსოფლიოსთვის ერთპოლუსიანი მოდელი არა მხოლოდ მიუღებელი, არამედ შეუძლებელიცაა... თუმცა, ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ იმაზე დისკუსიას, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება. ესაა მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელი კონცეფციის — ერთპოლუსიანი მსოფლიოს კონცეფციის დანერგვის მცდელობა“.** რუსეთის პრეზიდენტი არც აქ ჩერდება. იგი შეკითხვას სვამს, რომელსაც თვითონვე სცემს პასუხს: **„როგორია შედეგი? ცალმხრივმა, ხშირად არალეგიტიმურმა ქმედებებმა ვერ გადაჭრა ვერც ერთი პრობლემა. მეტიც, ისინი თავად იქცნენ ადამიანთა ახალი ტრაგედიებისა და** ▶

**რენდ პოლი, ამერიკელი სენატორი: ამ ქვეყნების შეყვანა ნატოს შემადგენლობაში პროვოკაციაა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ვალდებული ვიქნებით, დავიცვათ ჩვენი მოკავშირეები. ასეთ შემთხვევაში ხმა უნდა მივცეთ ომს რუსეთთან. მე არ შევეწირავდი არც საკუთარ თავს და არც თქვენს სიცოცხლეს საქართველოს ნატოში შეყვანას. მე არ ვარ მზად, ჩემი და თქვენი შვილების საომრად გასაგზავნად საქართველოში. თქვენ ხომ გესმით, ჩვენს ირგვლივ მიმდინარეობს რთული პროცესები. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ შესაძლებელია, ჩვენი მხრიდან ნებისმიერ პროვოკაციას უმძიმესი პასუხი მოჰყვეს**

**„აბსოლუტურად ნათელია, რომ მსოფლიო ვერ ივლის იმ ეკონომიკის მშენებლობის გზით, რომელიც მილიონ ადამიანზე ან თუნდაც „ოქროს მილიარდზე“ მუშაობს. ეს დესტრუქციული პოზიციაა. ეს არ არის და ვერც იქნება მდგრადი მოდელი. ბოლოდროინდელი მოვლენები, მათ შორის მიგრაციული კრიზისი, ამას ადასტურებს. დღეს მნიშვნელოვანია, რომ ძალისხმევა და რესურსები მივმართოთ იქით, რომ მივაღწიოთ სოციალური უთანასწორობის შემცირებას როგორც ცალკეული სახელმწიფოების შიგნით, ასევე ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებას სხვადასხვა სახელმწიფოსა და რეგიონებში“.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაძაბულობის კერების გენერატორებად. დღეს ჩვენ ვხედავთ შეუზღუდავ, ჰიპერტროფირებულ გამოყენებას ძალისა საერთაშორისო საქმეებში, სამხედრო ძალისა, რომელიც მსოფლიოს ერთი მეორის მიყოლებით ითრევს ახალ კონფლიქტებში...“** დარბაზი ავისმომასწავებელი განცხადების წინაშე შიშისგან გაირინდა. მძიმე სურათი, რომელსაც პუტინი მათ წინაშე ხატავს, ყველასთვის ნაცნობია, მაგრამ ამ სურათის შესახებ საუბარს მსოფლიოში ვერავინ ბედავს. რუსეთის პრეზიდენტს ნუთუ აღმოაჩნდება პოლიტიკური ნება და შინაგანი ძალა იმის სათქმელად, რის თქმასაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისეთი ტაბუ დაედო, რომ პირში ყველამ წყალი ჩაიგუბა და დინებას მიჰყვა? პუტინი კი აუღელვებლად განაგრძობს: **„ჩვენ მოწმენი ვართ აგდებული დამოკიდებულებისა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპებისადმი. ერთმა სახელმწიფომ, ეს, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხება, გადააბიჯა საკუთარ ეროვნულ საზღვრებს ყველა სფეროში — ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, ჰუმანიტარულ სფეროშიც და საკუთარ პოზიციას მოურიდებლად ახვევს თავს სხვა სახელმწიფოებს. აბა, ვის მოეწონება ეს?“**

ამას არავინ ელოდა. დარბაზში თითქოს მეხი ჩამოვარდაო, დუმილმა დაისადგურა... მოულოდნელობის ეფექტი უზარმაზარია. ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. პუტინი კი მის ამ რევოლუციურ ნათქვამს იმგვარ რეზიუმეს უკეთებს, რომ თითქოს ხელი მოაწერა და ბეჭედიც დაუსვა: **„რუსეთი ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქვეყანაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პრაქტიკულად ყოველთვის სარგებლობდა იმ პრივილეგიით, რომ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ჩვენ დღესაც არ ვაპირებთ ამ ტრადიციაზე უარის თქმას“.**

აქ გამოჩნდა პუტინის ნამდვილი სახე. მან მთელი პლანეტის მოსახლეობის გასაგონად განაცხადა, რომ არ შეეგუება აშშ-ის ვასალად ქცეულ მსოფლიოს, მით უმეტეს, არ შეეგუება ამგვარ მდგომარეობაში მყოფ რუსეთს. ეს იყო ამერიკისთვის მიყენებული პირველი სერიოზული დარტყმა მსოფლიოში ერთპიროვნულ ჰეგემონიზმზე მისი ყოვლად თავხედური პრეტენზიის გამო.

### ნაბიჯი მეორე
**(ნიუ-იორკი, 2015 წ.)**

მიუნხენის კონფერენციის შემდეგ წლები გავიდა. პუტინის სიტყვა ისტორიას, მართალია, შემორჩა, მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში იგი მივიწყებასაც მიეცა, ვინაიდან ამერიკელებს მსოფლიოზე გაბატონების ავადმყოფურად აკვიატებულ სურვილზე არც უარი განუცხადებიათ და არც ხელი აუღიათ. და აი, 2015 წლის 28 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტი გაეროს 70-ე გენერალურ ასამბლეას დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა. ყველამ იცოდა, რომ იმ დაძაბულ ვითარებაში, რომელიც იმხანად მსოფლიოში იყო შექმნილი, პუტინის მიერ პლანეტის უმაღლესი ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვას საეტაპო მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ გაგონილმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პუტინმა ამჯერად შეტევა, ამერიკული ჰეგემონიზმის აკვიატებულ იდეასთან ერთად, ამ სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უცერემონიო ჩარევისა და ძალმომრეობრივი პოლიტიკის გატარებაზე მიიტანა: **„მსოფლიოში გრძელდება ე.წ. დემოკრატიული რევოლუციების ექსპორტი. საკმარისია, თვალი შეავლოთ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. რა თქმა უნდა, ამ რეგიონებში დიდი ხანი მწიფდებოდა პრობლემები და ხალხს ცვლილებები სურდა, მაგრამ სინამდვილეში რა გამოვიდა? აგრესიულმა საგარეო ჩარევამ, რეფორმების გატარების ნაცვლად, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ცხოვრების წესის დაუნდობელ ნგრევამდე მიგვიყვანა. დემოკრატიისა და პროგრესის ზეიმის ნაცვლად ხალხმა ძალადობა, სიღატაკე და სოციალური კატასტროფა მიიღო. ხოლო, ადამიანის უფლებები, სიცოცხლის უფლების ჩათვლით, ჩირადაც არ ღირს. სურვილი მიჩნდება, ვკითხო მათ, ვინც ეს სიტუაცია შექმნა: თქვენ ახლა მაინც თუ გესმით, რა ჩაიდინეთ? ვაგლახ, რომ ეს შეკითხვაც ჰაერში გამოკიდებული დარჩება, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი იმ პოლიტიკაზე, რომელიც თავიანთ გამორჩეულობასა და დაუსჯელობაზე უსაფუძვლო თვითდარწმუნებას ეფუძნება“.**

ვლადიმერ პუტინს ამჯერად აშშ არ უხსენებია, მაგრამ ერაყში, ეგვიპტეში, სირიაში, ლიბიაში ვითარების ამრევს რა დასახელება სჭირდებოდა?! პუტინი ნიუ-იორკშიც ისეთივე მტკიცე და შეუვალი იყო, როგორიც მიუნხენში: **„ჩვენი ასეთი გულწრფელი და პირდაპირი მიდგომის გამო რუსეთს მზარდ ამბიციებში ადანაშაულებენ. თითქოს იმას, ვინც ამაზე საუბრობს, საერთოდ, არანაირი ამბიცია არ აწუხებდეს. საქმე რუსეთის ამბიციებში როდია, საქმე ისაა, რომ მსოფლიოში შექმნილია სიტუაცია, რომლის მოთმენაც შეუძლებელია“.**

ეს ის მტკიცე განცხადება იყო, რომელსაც ამერიკელები უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ და არც დაუტოვებიათ. აშშ-ის სამხედრო დოქტრინის ახალ ვარიანტში მათ რუსეთი ამერიკისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და თითიდან გამოწურული მიზეზების მოშველიებით სანქციებზე სანქციებს უწესებენ.

### ნაბიჯი მესამე
**(დავოსი, 2021 წ.)**

პუტინმა აშშ მსოფლიოზე ბატონობისკენ თავშეუკავებელი და აღვირახსნილი სწრაფვის გამოც ამხილა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ღია ჩარევისა და ძალმომრეობრივი პოლიტიკის გატარების გამოც. **ერთადერთი, რასაც პუტინი არასოდეს შეხებია, ამერიკული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ანუ კაპიტალიზმი იყო. ვერც შეეხებოდა. კაპიტალისტური რუსეთის პრეზიდენტი კაპიტალისტურ სისტემას როგორ დაუპირისპირდებოდა,** ეს ხომ პოლიტიკური და იდეოლოგიური ნონსენსი გამოვიდოდა?! თუმცა ასეთი სასწაულიც მოხდა. მიუნხენის კონფერენციიდან თოთხმეტი წლის, ხოლო ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეიდან ექვსი წლის გასვლის შემდეგ, სულ რამდენიმე დღის წინათ, პუტინმა დავოსის ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობა მიიღო და პირადად ჩემთვის გასაოცარი და სრულიად დაუჯერებელი დებულებები წამოაყენა: **„ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური განვითარების ძველი მოდელებისა და ინსტრუმენტების კრიზისს, სოციალური დიფერენცირების ზრდას, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე ცალკეულ სახელმწიფოებში“.** სოციალური დიფერენცირების ზრდის ტენდენციების მიუღებლობაზე კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიც ლაპარაკობენ, რადგან იციან, რომ ამომრჩეველთა წინაშე ამის გარეშე ფონს ვერ გავლენ. ამიტომ ეს შეიძლებოდა იმ ზოგადი ხასიათის წინადადებად ჩაგვეთვალა, რომლის უკან რეალური შინაარსი არ იკითხება, მაგრამ შემდეგ ნათქვამმა დებულებებმა ეს ეჭვები შემირყია: **„აბსოლუტურად ნათელია, რომ მსოფლიო ვერ ივლის იმ ეკონომიკის მშენებლობის გზით, რომელიც მილიონ ადამიანზე ან თუნდაც „ოქროს მილიარდზე“ მუშაობს. ეს დესტრუქციული პოზიციაა. ეს არ არის და ვერც იქნება მდგრადი მოდელი. ბოლოდროინდელი მოვლენები, მათ შორის მიგრაციული კრიზისი, ამას ადასტურებს. დღეს მნიშვნელოვანია, რომ საერთო კონსტანტაციიდან საქმეზე გადავიდეთ. მთელი ძალისხმევა და რესურსები მივმართოთ იქით, რომ მივაღწიოთ სოციალური უთანასწორობის შემცირებას, როგორც ცალკეული სახელმწიფოების შიგნით, ასევე ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებას სხვადასხვა სახელმწიფოსა და რეგიონებში“.** შეუძლებელია ამ სიტყვებმა არ დაგვაფიქროს, ვინაიდან ეს არ ჰგავს კაპიტალისტური სახელმწიფოს პრეზიდენტის ნათქვამს, აქ სრულიად სხვა იდეოლოგიური ლოგიკა და ინტონაციები იკითხება. ცოტა ხნის შემდეგ პუტინმა კონკრეტული მიმართულებები დაასახელა იმისა, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს ეკონომიკა და როგორი უნდა იყოს სოციალური პრიორიტეტები: **„გამოვყოფ ოთხ საკვანძო პრიორიტეტს:**

**1. ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების კომფორტული პირობები, ესაა საცხოვრებელი და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კომუნალური მომსახურება;**

**2. ადამიანი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ექნება გარანტირებული სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მას მუდმივად მზარდი შემოსავლებით და, შესაბამისად, ცხოვრების ღირსეული პირობებით;**

**3. ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას მიიღებს;**

**4. ოჯახის შემოსავლების ოდენობის მიუხედავად, ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მიიღონ ხარისხიანი განათლება, რათა მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება.**

**მხოლოდ ასე შეიძლება მივიღოთ თანამედროვე ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება, ეკონომიკისა, სადაც ხალხი საშუალება კი არ არის, მიზანია. სწორედ ეს მიდგომები უძევს საფუძვლად სტრატეგიას, რომლის რეალიზებასაც ჩემი ქვეყანა ახდენს“.**

ამას რომ ისმენ, აშკარად იბნევი ადამიანი. ეს ხომ სოციალისტური პრინციპების ღია დეკლარირებაა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? საით მიდის კაპიტალისტური რუსეთი და რა არის მისი განვითარების სტრატეგია, რომელიც პუტინმა ამ გამოსვლაში ასე თამამად ახსენა? **ნუთუ პუტინი საბჭოთა კავშირსა და რუსეთში განხორციელებული კონტრრევოლუციის ტყვედ გრძნობს თავს, რომლიდანაც გამოსვლას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, მაგრამ მომავალში გეგმავს? იქნებ მას კაპიტალისტური განვითარების მაღალი სისწრაფის გამო ჯერ არ შეუძლია მკვეთრად მოხვევა, თუმცა საბოლოოდ ამისთვის ამზადებს საკუთარ ხალხსაც და სახელმწიფოსაც?** ან არაფერსაც არ გეგმავს, მაგრამ ახლა, როცა ამერიკაში მისმა დაუძინებელმა მტრებმა გაიმარჯვეს, ხოლო გერმანელებმა მოურიდებლად დაიწყეს რუსეთის საშინაო საქმეებში ხელების ფათური, რასაც მოწმობს ვინმე **ნავალნის** გახმაურებული „მკურნალობის“ ისტორია, როცა მას ანტიპუტინური ფილმი მოამზადებინეს, რომლის მნახველთა რაოდენობამ სოციალურ ქსელებში 100 მილიონს გადააჭარბა, რუსეთის პრეზიდენტს იქნებ ისე გაუჭირდა, რომ იძულებული შეიქნა, ეს სოციალისტური კოზირი გადმოეგდო, ისე, ყასიდად და ხალხის მოსატყუებლად. არაფრის მტკიცებას არ მოვყვები. რუსეთის პრეზიდენტის სამ ისტორიულ განცხადებაზე მე ჩემი გაკვირვება და ძალიან ფრთხილი ვარაუდები გამოვთქვი. რუს ხალხს კი მათი ბელადის დანაბარებიც შევახსენე, არც ერთ პოლიტიკურ დაპირებას არ ენდოთ, სანამ მასში კლასობრივ ინტერესს არ ამოიცნობთ, თორემ მოტყუებული დარჩებითო. რომელ კლასს ეკუთვნის პუტინი — პროლეტარიატს თუ ოლიგარქიას, თავად განსაჯეთ.

**ვალერი კვარაცხელია**

## «ცივი ომის» შემდეგ შემოთავაზებული ერთპოლუსიანი მსოფლიოც ვერ შედგა. რა არის ერთპოლუსიანი მსოფლიო? როგორც უნდა შეალამაზონ ეს ტერმინი, საბოლოო ჯამში, იგი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: ეს ხელისუფლების ერთი ცენტრი, ძალის ერთი ცენტრი, გადაწყვეტილების მიღების ერთი ცენტრია. ეს ერთი სიუზერენის მსოფლიოა. ეს, საბოლოო ჯამში, დამღუპველია არა მხოლოდ მათთვის, ვინც ამ ჩარჩოში ექცევა, არამედ თვითონ სიუზერენისთვისაც, ვინაიდან ანგრევს მას შიგნიდან, რასაც არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან...»

**P.S. მსოფლიოში გლობალური ცვლილებები დაიწყო. ბევრი ისეთი რამ, რაც საქართველოს ეხება, აშკარაა, რომ დიამეტრულად იცვლება. საქართველოს ხელისუფლებას კი თავი სირაქლემასავით ქვიშაში ჩაურგავს და კვლავაც ძველი იდეოლოგიური შტამპების ტყვეობაში რჩება.**

შემოგთავაზებთ აშშ-ის კონგრესში ახალი სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, დამტკიცებისას სენატორ **რენდ პოლთან** გამართული საუბრის ფრაგმენტს, რომელმაც საქართველოსთან დამოკიდებულებაში მთელი ამერიკული სამზარეულო თვალწინ გადაგვიშალა:

**რენდ პოლი:** — თქვენ ისევ უჭერთ მხარს საქართველოს შესვლას ნატოს შემადგენლობაში?

**ენტონი ბლინკენი:** — თუკი საქართველო მზადაა, დააკმაყოფილოს ნატოს წევრისთვის წაყენებული მოთხოვნები და წვლილი შეიტანოს ჩვენს კოლექტიურ უსაფრთხოებაში (ე.ი. მათ კი არ უნდა იზრუნონ ჩვენს უსაფრთხოებაზე, პირიქით, ჩვენ უნდა შევიტანოთ წვლილი მათ უსაფრთხოებაში! გესმით? საზარბაზნე ხორცია ჩვენი ფუნქცია ნატო-სთვის, ამაზე მეტი გულახდილობა რაღა გინდათ? რედ.), მისთვის კარი ღია უნდა დარჩეს.


ენტონი ბლინკენი


რენდ პოლი

**რენდ პოლი: — თუ ნატოს შემადგენლობაში საქართველოს შეყვანას მიაღწევთ, ამის გამო ჩვენ რუსეთთან უნდა ვიომოთ?**

**ენტონი ბლინკენი:** — პირიქით მგონია. ვფიქრობ, რომ საქართველოს ნატოს წევრობისთვის ძალიან სერიოზული მიზეზია რუსეთის მიერ იმ ქვეყნების წინააღმდეგ გამოვლენილი აგრესია, რომლებიც არ არიან ნატოს შემადგენლობაში და არ იმყოფებიან ნატოს ქოლგის ქვეშ.

**რენდ პოლი: — ამ ქვეყნების შეყვანა ნატოს შემადგენლობაში პროვოკაციაა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, რომ ჩვენ ვალდებული ვიქნებით, დავიცვათ ჩვენი მოკავშირეები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ხმა უნდა მივცეთ ომს რუსეთთან. მე არ შევწირავდი არც საკუთარ თავს და არც თქვენს სიცოცხლეს საქართველოს ნატოში შეყვანას. მე არ ვარ მზად, ჩემი და თქვენი შვილების საომრად გასაგზავნად საქართველოში. თქვენ ხომ გესმით, ჩვენს ირგვლივ მიმდინარეობს რთული პროცესები. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ შესაძლებელია, ჩვენი მხრიდან ნებისმიერ პროვოკაციას მოჰყვეს უმძიმესი პასუხი.**

ქართველებო, ამერიკელი პოლიტიკოსების ჩვენთვის ამ უაღრესად საყურადღებო დიალოგის ფონზე კიდევ ერთხელ უნდა შემოგკადროთ: დასავლეთისა და ნატოს გზა ჩვენთვის საბედისწეროა. ეს გზა უარსაყოფია, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამის გაკეთებას გაბედავს, ამიტომ ეს ჩვენი, ქართველი ხალხის, გასაკეთებელია!

**ვ.კ.**

ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენი ბრძენი მეფენი იშვიათად ქრისტიანული ევროპისკენაც აპარებდნენ უილაჯო მზერას... უილაჯო მზერას, რადგან, დიდი მუხრანისა არ იყოს, როდესაც საქართველო სისხლისგან იცლებოდა, ციცას ეფერებოდა ლუი XIV. ანუ, ის დასავლეთი, რომელიც დღეს რუსეთის წინააღმდეგ ძმობას გვეფიცება, მაგრამ კვალვაც „ციცას ეფერება“ და სწორედ ამ ციცას „სტრატეგიული ალერსის“ გამოა, რა ჭირიც გვჭირს ქართველებს.**

**წინამდებარე წერილზე მუშაობის დაწყებამდე გადავხედე ჩემს ბოლო მასალას „ანგლოსაქსებმა ამერიკაში ლიბერალური დიქტატურა დაამყარეს“, და აღმოვაჩინე, რომ იმ წერილის მიზანი, ერთი შეხედვით, აშშ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, 4 წლის ემოციური (თუ ასე თქმა უპრიანია) მმართველობის შეფასებას უფრო ჰგავდა, ვიდრე მიმდინარე თუ მოსალოდნელი მოვლენების ცივი გონებით ანალიზსს...**

# ნეოლიბერალების «ჯვაროსნული ლაშქრობა» მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და საქართველო

თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჩემი „ავი მუსაიფი“, ცივი გონებით იქნება ის დაწერილი თუ ცხელით, მსოფლიოში მიმდინარე თუ მოსალოდნელი პროცესებიდან გამომდინარე, ყოველთვის საქართველოს ეხება — იმაზე ფიქრს, რა საფრთხეების შემცველია მსოფლიოს გეოპოლიტიური რეალობა ჩვენი სამშობლოსთვის.

ურაპატრიოტული ბრახაბრუხის გარეშე თუ ვიტყვით, საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის განმავლობაში, როგორც ჭეშმარიტად დამოუკიდებელმა გეოპოლიტიკურმა მოთამაშემ, უწყვეტად, სულ რაღაც, 120 წელიწადს **(დავით აღმაშენებლიდან გიორგი ლაშამდე)** იარსება, თანაც, „ავად თუ კარგად“ კი არა, როგორც **ილია** მოსთქვამდა ლელთღუნიას პირით, არამედ მძლავრად, როდესაც ქართველთა მიერ შექმნილი კავკასიური იმპერია დარუბანდიდან ნიკოფსიამდე იყო გაშლილი, რომლის შიშითაც მთელი მცირე აზია ძრწოდა, ხოლოდ საქართველო საკუთარი აწმყოსა და მერმისის გამგებელი თვითონ იყო. მას შემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სვე-ბედს ისლამური ირან-ოსმალეთის იმპერიები განაგებდნენ (რომელთა შემოტევებსაც ხმლით ვიგერიებდით), ხშირად კი ორ ვეშაპს შორის არსებულ მუდმივ მტრობას საჩვენოდ იყენებდნენ ჩვენი გმირი მეფენი, იმ სიბრძნით, რომელსაც დღეს ბალანსირების პოლიტიკა ჰქვია. საუკუნეთა განმავლობაში ამ დიპლომატიურ ეშმაკობასთან შერწყმული ვაჟკაცობით შევინარჩუნეთ მამული, ეროვნული თვითმყოფადობა და მართლმადიდებლობა, ანუ ქართველობა — ეს ყოველივე ერთად და ცალ-ცალკე ერთარსება სამების დარი სიწმინდე იყო ისლამის ოკეანეში დასახრჩობად განწირული საქართველოსთვის.

„მამული, ენა, სარწმუნოება!“ — ეს სამი სიტყვა უაღრესად ტევად ეროვნულ იდეოლოგიად დაგვიტოვა დიდმა ილიამ ქართველებს და მისი დაცვა გვიანდერძა. **ჩვენი ბრძენი მეფენი იშვიათად ქრისტიანული ევროპისკენაც აპარებდნენ უილაჯო მზერას... უილაჯო მზერას, რადგან, დიდი მუხრანისა არ იყოს, როდესაც საქართველო სისხლისგან იცლებოდა, ციცას ეფერებოდა ლუი XIV. ანუ, ის დასავლეთი, რომელიც დღეს რუსეთის წინააღმდეგ ძმობას გვეფიცება, მაგრამ კვალვაც „ციცას ეფერება“ სწორედ ამ ციცას „სტრატეგიული ალერსის“ გამოა, რა ჭირიც გვჭირს ქართველებს...**

წინამდებარე წერილის შუალედური დასკვნისთვის, ოღონდ ამჯერად მცირე პერიფრაზით, ისევ დიდ ილიას უნდა მივმართო... **დიდი ხანია, ჩვენი თავი, არც ავად და არც კარგად, ჩვენადვე აღარ გვეყუდნის...**

**გეოპოლიტიკის მთავარი მოთამაშეები შეიცვალნენ, თორემ საქართველოს ბედი ახლაც სხვაგან — დასავლეთსა (ვაშინგტონში) და ჩრდილოეთში (მოსკოვი) წყდება.** ეს იყო და არის დღეს ყველაზე აქტუალური თემა თანამედროვე გეოპოლიტიკაში, რომელსაც აქტუალობა არც არასოდეს აკლდა, მაგრამ აშშ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევამ ამ თემას მეტი სიმძაფრე შეჰმატა. უფრო ზუსტად, აშშ-ის პრეზიდენტის აგრესიულმა ადმინისტრაციამ, თორემ **ჯო ბაიდენს**, რომელსაც შვილების სახელები აღარ ახსოვს და ძილის მეტი არაფერი უნდა, ვინ რას ეკითხება, ბალი 10 შაურია თუ მეტი?!

ქვემოთ აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობებზე და მასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ მოვლენებზე გვექნება საუბარი, რადგან დღეს ვაშინგტონსა და მოსკოვში არა მხოლოდ საქართველოს, სრულიად პოსტსაბჭოთა სივრცის ბედი წყდება. მეტიც — რადგან, 100%-ანი ალბათობით, რუსეთი უკან დახევას აღარ აპირებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს თეთრ სახლსა და წითელ კრემლში შეიძლება სრულიად მსოფლიოს ბედი გადაწყდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთ რამეზე შევთანხმდეთ — თანამედროვე მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი. არც „გუშინ“ იყო ერთიანი, მაგრამ აშშ-ის ახალმა ხელისუფლებამ გამყოფი ხაზი კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩინა. აქედან გამომდინარე, დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ — მსოფლიოს ორად გაყოფა ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, ამიტომ დღევანდელი გეოპოლიტიკური ვითარება უფრო ვრცლად გავშალოთ...

მაგალითად — „ყველას მინუს ერთი, ანუ, ყველას მინუს რუსეთი“; კიდევ უფრო ზუსტად —„დასავლეთი (აშშ) აღმოსავლეთის (რუსეთი) წინააღმდეგ“. უზუსტესად, აი, რომ იტყვიან, „ათიანშიო“ — „ნეოლიბერალების „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“, როგორც დავასათაურე კიდეც წინამდებარე წერილი.

**ათეული წლებია, ნეოლიბერალიზმის მთავარი მტერი, მსოფლიოს ტოტალური ლგბტ-ზაციის გზაზე გადაულახავი წინაღობა, უპირველესად, მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიაა.** და ამ შინაარსის იმდენი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, რომ მხოლოდ მათი სათაურების ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა, მაგრამ, როგორც მსოფლიოში მიმდინარე ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე ჩანს, ჯერჯერობით, მგონი, გვაჯობეს ამ სატანისტმა ძაღლიშვილებმა.

როგორც ერთ „პოსტში“ **აღვნიშნე, ჯო ბაიდენის გაპრეზიდენტება ზარზეიმით აღნიშნეს მსოფლიოს ლიბერასტ-პედერასტებმა და ზეიმიდან მალევე ქმედებებზე გადავიდნენ — აშშ-ის მეთაურობით ახალი ძალით გაჩაღდა ახალი ცივი (ჯერჯერობით საინფორმაციო) ომი მართლმადიდებელი რუსეთის წინააღმდეგ, რადგან კარგად უწყიან, რომ მართლმადიდებლობაა ერთადერთი ჭეშმარიტად ქრისტიანული ეკლესია** და, იქიდან გამომდინარე, რომ მოსკოვის საპატრიარქოს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი, 300 მილიონიანი, მართლმადიდებელი მრევლი ჰყავს, მსოფლიო პატრიარქიც, პრაქტიკულად, სრულიად რუსეთის პატრიარქი **კირილეა** და არა თურქეთის მოქალაქე, რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი **ბართლომე,** რომლის ტახტი სტამბოლშია და არა კონსტანტინოპოლში, რომელიც არც დე იურე და, მით უმეტეს, აღარც დე ფაქტო, მრავალი საუკუნეა, აღარ არსებობს. სხვათა შორის, ე.წ. მსოფლიო პატრიარქის „მოღვაწეობის“ შედეგიცაა, რომ ერთ დროს ბრწყინვალე ბიზანტიური ტაძარი აია-სოფია კვლავ მეჩეთად გადაკეთდა.



**დიდი ხანია, ჩვენი თავი, არც ავად და არც კარგად, ჩვენადვე აღარ გვეყუდნის. გეოპოლიტიკის მთავარი მოთამაშეები შეიცვალნენ, თორემ საქართველოს ბედი ახლაც სხვაგან — დასავლეთსა (ვაშინგტონში) და ჩრდილოეთში (მოსკოვი) წყდება**

დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **ივანე მრისხანეს** ოცნებამ ფრთები შეისხა და მოსკოვი, პრაქტიკულად, მესამე რომია და მეოთხე იმიტომ აღარ იქნება, რომ რუსეთთან ცივი თუ ცხელი ომი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ომსაც ნიშნავს; რუსეთთან, რომლის ერი და ბერი ერთია და ამ ერთობას, ანუ სახელმწიფოებრიობას გარე თუ შიდა საფრთხეებისგან ივანეზე არა ნაკლებად მრისხანე ვლადიმერ პუტინი იცავს.

რუსეთთან ცივი ომის „ოპერიდან“ იყო **ალექსეი ნავალნის** გათავისუფლების მოთხოვნით 23 დეკემბერს გამართული „გრანდიოზული“ საპროტესტო აქციები, რომელთა მონაწილენიც უცხოეთისთვის რუსეთის პოლიციის სისხლიანი სისასტიკის საჩვენებლად თავზე კეტჩუპს ისხამდნენ. „ავტორიტეტული“ გამოცემების პირველ გვერდებზე დაბეჭდილმა „სისხლიანმა“ ფოტომ მეორე დღესვე მოიარა მთელი დასავლეთის მედია, ხოლო კეტჩუპიანი დემონსტრანტის აღიარებით ჩვენებებზე, იმავე დასავლეთის „თავისუფალ“ მედიას ხმა არ ამოუღია... სამაგიეროდ, რუსეთის პოლიციის მოგონილი სისასტიკე მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილმა პოლიტიკოსმა დაგმო და **ვლადიმერ პუტინს** ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვეს რუსული დემოკრატიის ვარსკვლავის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. კაპიტოლიუმის შტურმის შემდეგ აშშ-ის სპეცების ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა: „ჩვენ კარგი მახსოვრობა და გრძელი ხელები გვაქვს“-ო და მართლაც ამოიცნეს 152 კაცი, რომლებსაც 10 წელზე მეტი რეალური „სროკი“ ემუქრებათ...

რუსეთი უკან დახევას აღარ აპირებს-მეთქი და, როგორც აღმოჩნდა, არც რუსები უჩივიან სკლეროზს, არც მათ ჰქონიათ მოკლე ხელები — აქციების მიმდინარეობისას პოლიციელებზე თავდამსხმელი 18 პირი ამოიცნეს და დააკავეს. ასეთი ქმედების ჩამდენ ხულიგნებს წარსულში მსუბუქად აჯარიმებდნენ და იმ ჯარიმებს სოროსის ფონდი იხდიდა. ახლა კი კანონდამრღვევები, ნურას უკაცრავად, ცრემლებს აღვარღვარებენ და დედიკოებს იფიცებენ, მეტს აღარ ვიზამთო, მაგრამ, როგორც ჩანს, „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ და ყველა ხულიგანი, სოროსის ბაზებში სპეციალურად მომზადებული ყველა „ბოევიკი“ სერიოზულ „სროკს“ გამოჰკრავს ხელს.

ალბათ, ამ „უსამართლობის“ ბრალი იყო ის, რომ 31 იანვარს ნავალნის გათავისუფლების მოთხოვნით განმეორებით დანიშნულ აქციაზე რეგიონებში ხალხი სანთლით საძებარი იყო. მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვში მოხდა მცირე „შეჯახებები“, რომელთა მონაწილენიც ასევე „ვირის აბანოში“ მიაბრძანეს.

გასულ კვირას სტრასბურგში ევროსაბჭოს სხდომა გაიმართა. ამ ორგანიზაციაში ყოფილა ანტირუსული დაჯგუფება თუ ფრაქცია 30 დეპუტატის შემადგენლობით, რომელსაც მრავლისმეტყველი სახელი ჰქვია — „ბალტიკა-პლუსი“. ამ „პლუსში“, რა თქმა უნდა, საქართველოს რუსოფობი დეპუტაციაც იგულისხმება. მართალია, იმ დღეს მათ მიკროფონთან არ უაქტიურიათ, მაგრამ უკრაინის აშკარად შექანებულმა დეპუტატმა **ოლეგ გონჩარენკომ** ნამდვილი ისტერიკა მოაწყო ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვის რეზოლუციის მიღების მოთხოვნით და ამაზე კენჭისყრასაც მიაღწია. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის გარიცხვის მომხრე ლამის მხოლოდ „ბალტიკა-პლუსი“ აღმოჩნდა და რეზოლუცია სამარცხვინოდ ჩავარდა. სამაგიეროდ „სამადლობელი სიტყვით“ გამოსულმა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა **პეტრე ტოლსტოიმ** და მისმა მოადგილე **ალექსეი სლუცკიმ** (არ ვიცი, რა დამსახურებისთვის, მაგრამ თურმე საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ყოფილა ჩვენი ბიძინასავით), რომ იტყვიან, ქვაქვაზე არ დატოვეს „ბალტიკა-პლუსის“ იმ არგუმენტებიდან, რომელთა გამოც ითხოვდნენ ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვას — **პეტრე ტოლსტოიმ პირდაპირ განაცხადა: ყირიმი ყოველთვის იყო, არის და იქნება რუსეთის განუყოფელი ნაწილი, ხოლო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელთა წინააღმდეგ საქართველომ სამხედრო ძალა გამოიყენა, აღარასოდეს დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაშიო...**

**დღეს ვაშინგტონსა და მოსკოვში არა მხოლოდ საქართველოს, სრულიად პოსტსაბჭოთა სივრცის ბედი წყდება. მეტიც — რადგან, 100%-იანი ალბათობით, რუსეთი უკან დახევას აღარ აპირებს; გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს თეთრ სახლსა და წითელ კრემლში შეიძლება სრულიად მსოფლიოს ბედი გადაწყდეს**

**დავით მხეიძე**

**რუსეთს საქართველოს სრული ანექცია რომ ჰქონდეს განზრახული, აქამდე ვერ მოახერხებდა თუ ამერიკა და ევროპა შეაშინებდნენ? ზუსტად 24 საათში დაამთავრებდა საქმეს და, ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ აღშფოთებისა და შეშფოთების მეტი, ხელში არაფერი შეგვრჩებოდა. ვერც ის „ჯაველინები“ გვიშველიდა, 75 მილიონად რომ შემოგვასაღეს, და ვერც ის დრონები, რომელთა ყიდვასაც ახლა აპირებენ და არაერთ მილიონს მიათხლიშავენ.**

ვაქცინაციის დილემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქედმოხრილი ჯონსონი და წაქეზებული საქართველო

**„ქედს ვიხრი თქვენი და თქვენი მთავრობის შეუპოვრობის წინაშე, რომელსაც იჩენთ რუსეთის ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევაში“, — ეს არის ამონარიდი იმ წერილიდან, რომელიც ბრიტანეთის პრემიერმა გიორგი გახარიას მოსწერა. აბა, ისე როგორ იქნებოდა, ბორის ჯონსონის წერილი მაშინვე თავს ზემოთ არ აეფრიალებინა ხელისუფლებას და არ ეთქვა, რომ ბრიტანეთი მხარს გვიჭერს და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების სიაში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავიაო.**


ბორის ჯონსონი


გიორგი გახარია

**კავშირი, რომლიდანაც გაიქცა ზესახელმწიფო დიდი ბრიტანეთი (პოლონეთს და კიდევ რამდენიმეს გასვლაზე თვალი უჭირავთ), ჩვენთვის საოცნებოა. ვიღაც იტყვის, ბრიტანეთისა და ჩვენი მასშტაბები სხვადასხვაა, შედარებით დაბალი რანგის ქვეყანას მაინც შევედაროთო, და აგერ, ბატონო, საბერძნეთი, რომელიც ევროკავშირში იყო და რა მიიღო მისგან? — დეფოლტი, ქვეყნის გაკოტრებულად გამოცხადება, რამდენიმე ვადამდელი არჩევნები, ხელისუფლების რამდენიმე ცვლილება და ვალი, რომელსაც, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვერ გაისტუმრებს. რიგში კი კიდევ რამდენიმე ქვეყანა დგას**

სრული სერიოზულობით გეუბნებით: გვგონია, რომ ხელისუფლებამ, პოლიტიკოსებმა სიტყვა „სტრატეგიის“ (საიდანაც არის ნაწარმოები „სტრატეგიული“) მნიშვნელობა არ იციან. აი, როგორ არის ეს სიტყვა ახსნილი ლექსიკონში: „სტრატეგია ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული სიტყვაა თანამედროვე მენეჯმენტში. მიუხედავად ამისა, მისი შეთანხმებული ერთი დეფინიცია არ არსებობს. ერთმანეთისგან განასხვავებენ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სტრატეგიებს. სტრატეგიაზე საუბრისას, პირველ რიგში, ასოცირება ხდება სტრატეგიულ გეგმასთან, რომელიც ხშირად დაწერილი დოკუმენტია. სტრატეგიული მენეჯმენტი უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, ისე მის აღსრულებას. ასევე ის ინტეგრირებული მოდელია, რომელიც აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ორგანიზაციის ყველა ფუნქციურ დანაყოფს ჰქონდეს განვითარების საერთო სტრატეგია; შიდამენეჯერული პროცესებითა და პროგრამული აქტივობებით აღწევს სასურველ შედეგს; ოპერაციონალური და ტაქტიკური გადაწყვეტილებებით ქმნის ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების გეგმას“.

სტრატეგიული გეგმა დაწერილი დოკუმენტიაო და რაღაც ვერ ვიხსენებთ, ჩვენ და ბრიტანეთს რაიმე გვქონდეს დაწერილ-გაწერილი. რაც შეეხება მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ ამერიკას, **რაღაცებს კი ვაწერთ ხოლმე ხელს (დიახ, რაღაცებს), მაგრამ არავინ გვეუბნება, რეალურად რა ვადაზეა ეს სტრატეგია გათვლილი, რას მოიცავს, ანუ საიდან მოვდივართ და საით მივდივართ. ჰო, ისიც აღარ ვიცით უკვე, საიდან მოვდივართ, რადგან, თუ ძირძველი ევროპელები ვართ, მაშინ ევროპა კარს რატომ არ გვიღებს, და, თუ ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია, მაშინ რატომ გვეუბნება სამი საუკუნის ისტორიის არმქონე ამერიკა, ცივილიზებულ ცხოვრებას ჩვენ გასწავლითო.**

ისევ ბრიტანეთსა და მათ პრემიერს დავუბრუნდეთ. 30-წლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში, **რა გაუკეთებია ისეთი ბრიტანეთს, რომ გამოვიდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე და თქვას: აგერ, ბატონო, ბრიტანეთს ამის და ამის გამო მადლობაო?!** — არც არაფერი ასეთი წერილების გარდა და გვერწმუნეთ, **ანალოგიურ წერილებს ბრიტანეთის ყველა პრემიერი წერს ხოლმე. რასაც ჩვენ გვწერენ, ზუსტად იმავე შინაარსის წერილები მისდით აფრიკის ქვეყნებს, უკრაინას, მოლდოვას, ევროპის განვითარებად სახელმწიფოებს — მათ, ვინც არამხოლოდ ბრიტანეთს, არამედ ევროპასა და ამერიკას სწორედ რუსეთთან საბრძოლველად სჭირდება. ამ წერილებით გათამამებულებმა, ჩვენ და ჩვენნაირებმა მაღალი ტრიბუნებიდან უნდა ვიყეფოთ, რუსეთს ოკუპანტი ვეძახოთ,** რის შემდეგაც ევროპის ზესახელმწიფოებს — ამერიკასა და ბრიტანეთს შესაძლებლობა და, რაც მთავარია, საფუძველი ექნებათ იმისა, რომ რუსეთს მორიგი სანქციები დაუწესონ, დიდი ბაზრებიდან განდევნონ, თავად დამკვიდრდნენ (უარეს შემთხვევაში კი ჩვენს ხარჯზე სარფიანად ევაჭრონ) და, საზოგადად, მათი ოცნება ხომ ისაა, რომ რუსეთი მარტივ მამრავლებად დაიშალოს და შემდეგ სამ უზარმაზარი ტერიტორიის ბატონ-პატრონები თავად გახდნენ.

იმაზე თუ უფიქრია ვინმეს, **რუსეთს საქართველოს სრული ანექცია რომ ჰქონდეს განზრახული, აქამდე ვერ მოახერხებდა თუ ამერიკა და ევროპა შეაშინებდნენ? ზუსტად 24 საათში დაამთავრებდა საქმეს და ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების“ აღშფოთებისა და შეშფოთების მეტი ხელში არაფერი შეგვრჩებოდა. ვერც ის „ჯაველინები“ გვიშველიდა, 75 მილიონად რომ შემოგვასაღეს და ვერც ის დრონები, რომელთა ყიდვასაც ახლა აპირებენ და არაერთ მილიონს მიათხლიშავენ.** გამალებული შეიარაღება გაუმართლებელია მაშინ, როცა ელემენტარულად ადამიანური რესურსი არ გაგაჩნია იმისა, რომ გრძელვადიანი და მასშტაბური სამხედრო ოპერაცია აწარმოო. შესაბამისად, ერთადერთი სწორი გამოსავალი ასეთ სიტუაციაში მოლაპარაკებაა, მაგრამ რად გინდა, „სტრატეგიული პარტნიორები“ ამის შესაძლებლობასაც კი არ გვაძლევენ. **საკმარისია, სადმე რეალურად დადგეს საკითხი საქართველოსა და რუსეთს შორის პირისპირ მოლაპარაკებისა, საქმეში მაშინვე „მეგობრები“ ერევიან და დიალოგის შესაძლებლობას ჩანასახშივე კლავენ. ეს სიმწარე არაერთხელ გვიგემია და მომავალშიც აუცილებლად ვიგემებთ,** თუმცა...

იგივე ბრიტანეთი ევროკავშირიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და ამას არც ნანობს. კავშირიდან გასვლის მთავარ მიზეზად ბრიტანელებმა თავიანთი ეკონომიკის ვარდნა და გირვანქა სტერლინგის გაუფასურება დაასახელეს. ევროპელი ექსპერტები ამბობდნენ, რომ ცალკე მყოფი ბრიტანეთი დაიღუპებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ევროპელები ყოველთვის მართლები არ არიან და სტრატეგიული პარტნიორიც (ამ შემთხვევაში ბრიტანეთი) შეიძლება იოლად გაიმეტონ, ჩვენ კი ცხოვრების მიზნად სწორედ ევროკავშირი ვაქციეთ და აკი თქვა კიდეც **არჩილ თალაკვაძემ,** — მთავარი, რასაც 2024 წლამდე გავაკეთებთ, იქნება ის, რომ სწორედ 2024-ში განაცხადს შევიტანთ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზეო. ე.ი., **კავშირი, რომლიდანაც გაიქცა ზესახელმწიფო დიდი ბრიტანეთი (პოლონეთს და კიდევ რამდენიმეს გასვლაზე თვალი უჭირავთ), ჩვენთვის საოცნებოა. ვიღაც იტყვის, ბრიტანეთისა და ჩვენი მასშტაბები სხვადასხვაა, შედარებით დაბალი რანგის ქვეყანას მაინც შევედაროთო, და აგერ, ბატონო, საბერძნეთი, რომელიც ევროკავშირში იყო და რა მიიღო მისგან? — დეფოლტი, ქვეყნის გაკოტრებულად გამოცხადება, რამდენიმე ვადამდელი არჩევნები, ხელისუფლების რამდენიმე ცვლილება და ვალი, რომელსაც, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვერ გაისტუმრებს. რიგში კი კიდევ რამდენიმე ქვეყანა დგას.**

რატომ არ გაუწოდეს დახმარების ხელი საბერძნეთს ევროკავშირის სხვა წევრებმა? იმიტომ, რომ ევროკავშირში რეალურად ორი მოთამაშეა ისეთი, რომლებზეც დანარჩენები მუშაობენ. **გერმანიასა და საფრანგეთს ოფიციალურად აქვთ გამოცხადებული ორსიჩქარიანი ევროპის კონცეფცია, რაც საქმით იმას გულისხმობს, რომ ევროპაში „პირველ სიჩქარეზე“ უნდა იყვნენ ისინი, ევროპის დანარჩენი ქვეყნები კი მათ აყვავებას და კეთილდღეობას უნდა ემსახურონ, ე.ი. „მეორე სიჩქარით“ იარონ. ევროკავშირში გაწევრების რეალური შანსი მხოლოდ მაშინ გაგვიჩნდება, თუ კი ისინი „ორსიჩქარიანის“ ნაცვლად „სამსიჩქარიანი“ ევროპის კონცეფციას წამოაყენებენ, ე.ი. მსახურების მსახურები დასჭირდებათ. აი, ამ მსახურების მსახურად შეიძლება, რომ მიგვიღონ.**

სიმართლე გითხრათ, არ გვეგულება მსოფლიოში სხვა სახელმწიფო, რომელიც ასეთ ყურადღებას უთმობდეს რომელიმე სხვა ქვეყნის მეთაურის რიგით, და თანაც, პროვოკაციულ, წერილს. ჰო, რეალურად ეს რიგითი წერილია, მაგრამ, კარგად თუ დავუკვირდებით, გვაქეზებს კიდეც. **უნდა დავიჯეროთ, რომ ბრიტანეთი ჩვენ გვერდითაა და რუსეთს უფრო დიდ გულზე უნდა შევუტიოთ. მერე ამერიკის სენატის რომელიმე სენატორიც გამოგზავნის ანალოგიურ წერილს და საერთოდ ექსტაზში ჩავარდება ქართული პოლიტიკური სპექტრი.** სწორედ ექსტაზსა და ეიფორიაში მყოფები აკეთებენ ხოლმე ისეთ განცხადებებს, რომელთა ახსნაც შემდეგ უჭირთ, მაგრამ სწორედ ამ განცხადებებს საუცხოოდ იყენებენ იგივე ბრიტანეთი, ევროპა და ამერიკა. დასხდებიან ხოლმე შემდეგ მსოფლიო მამები, მიიღებენ ახალ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და... ისევ და ისევ დიდი ფული, რომელიც ამოძრავებს სამყაროს და სწორედ ფულის გამოა, რუსეთის დაქუცმაცება რომ სურთ ზესახელმწიფოებს. **საამისოდ ისინი იყენებენ ყველა ბერკეტს და ერთ-ერთი ბერკეტი საქართველო და მისი დარი ქვეყნებია.**

ურიგო არ იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება ყურადღებას ერთ საინტერესო დეტალს მიაქცევს. **ბრიტანეთის, ევროპისა თუ ამერიკის პოლიტიკური ელიტის გააქტიურება დროში ასი პროცენტით ემთხვევა რაიმე სამიტის ან დიდი სახელმწიფოების მეთაურთა შეკრების მოახლოებას.** ისინი დაახლოებით ერთი თვით ადრე აკეთებენ საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს (სხვა ქვეყნებსაც არ ივიწყებენ), შემდეგ ეუბნებიან, რომ გამოხატონ პოზიცია რუსეთის მიმართ, შემდეგ ამ დოკუმენტებს იდებენ წინ და მსჯელობენ, როგორ დაუმძიმონ ყოფა რუსეთს. საფუძველი სწორედ ის განცხადებებია, რომლებიც მათივე წაქეზებით კეთდება და სანქციების გახანგრძლივების გადაწყვეტილებასაც „სუფთა სინდისით“ იღებენ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ერთ წრეზე სიარული. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ **ამ მოწვევის პარლამენტმა საგარეო კურსად სწორედ დასავლეთი დაადგინა და დოკუმენტურად დაადასტურა, რომ რუსეთისკენ არ გაიხედავს. ეს იმ პირობებში, როცა ბირთვული შეიარაღების არმქონე, მაგრამ ყველაზე მეტად განვითარებულმა ქვეყნებმა (ნორვეგია, დანია, ირლანდია, ფინეთი, შვედეთი) აღნიშნულ თამაშში მონაწილეობა აღარ მიიღეს,** აღარც რუსულ ბაზარს უგანეს და ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. ეს ურთიერთობა სასიკეთოდ მათ ეკონომიკასაც ეტყობა და მოსახლეობას ხომ საერთოდ — ბედნიერების ინდექსში პირველობას სწორედ სკანდინავიური ქვეყნები არ თმობენ.

„გაერთიანებული სამეფო მომავალშიც მტკიცედ დაუჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ასევე თქვენს მისწრაფებებს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით. ნატოს ალიანსს საფუძვლად უდევს დემოკრატიული ღირებულებებისადმი მტკიცე ერთგულება“, — ესეც ჯონსონის წერილიდანაა.

ანალოგიური განცხადება თავის დროზე საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმაც** გააკეთა, თუმცა შემდეგ, როცა პრეზიდენტი აღარ იყო და „დავარცხნილად საუბრის“ ვალდებულება აღარ ჰქონდა, პირდაპირ თქვა: საქართველოსა და უკრაინას ნატოში არავინ მიიღებს, ეს უტოპიაა და რუსეთს პირისპირ ამ ორი ქვეყნის გამო არავინ დაუდგებაო. გავა დრო და ჯონსონიც აუცილებლად იმავეს იტყვის, მაგრამ ჯერ არა, ჯერ ის დიდი ბრიტანეთის პრემიერია, ქვეყნის, რომელიც ევროკავშირიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, ჩვენ კი სწორედ ამ კავშირისკენ ვისწრაფვით.

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ამ ახალ წელს დავრეკე და დამდეგი მივულოცე ჩემს აფხაზ მეგობრებს, არაერთმა დიდი სინანულით მითხრა, რომ ის, რაც 1990-იანებში მოხდა, იყო ძმათამკვლელი ომი. ისინი ხშირად ახსენებენ ამ სიტყვას და მათ შორის ის ხალხიც, რომელიც უშუალოდ ომობდა. აი, ეს არის ის, რაც მე იმედს მაძლევს, რომ ჩვენ შორის ჯერ კიდევ არ არის ყველა კავშირი გაწყვეტილი“.**

### გიორგი შერვაშიძე:



# რა მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონდეს დღეს საქართველოს, ვინც არ უნდა იყოს ჩვენი პარტნიორი, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარების, მასთან შეთანხმების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრი ილუზიაა

**ამ დღეებში აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ ერთ-ერთ ადგილობრივ მედიასაშუალებასთან ინტერვიუში საქართველოზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ, მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, რომელიც მძიმე წარსულის ლოგიკური შედეგია, მხარეებმა საერთო ენა უნდა გამონახონ. მისი თქმით, როდესაც კონფლიქტი არსებობს, ან უნდა ისაუბრო, ან იომო, მაგრამ „ომი ახლა არავის სურს, ამიტომ საუბარია საჭირო“... „ომიდან 30 წელი გავიდა, სულ მტრული ურთიერთობები ხომ არ გვექნება? ჩვენ მეზობელი ქვეყნები ვართ და დიალოგი უნდა დავიწყოთ. ჩემი წინადადება არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი ხვალვე დაიწყება, ვინაიდან ამისთვის ორივე მხარის ნებაა საჭირო...“ შამბას განმარტებით, ქართულ მხარეს დიალოგის სურვილი აქამდე არ გამოუხატავს, ამიტომ შეუძლებელია პროცესის წარმართვა. ინტერვიუში შამბამ ასევე ახსენა რკინიგზა, რომელიც სომხეთს რუსეთთან აზერბაიჯანის გავლით დააკავშირებს და რომელიც უზარმაზარ მოგებას მოუტანს ორივე ქვეყანას: „ქართული მხარისგან ასეთი რამ ჯერ არ მომისმენია. ფორმატი განსხვავებული შეიძლება იყოს და ახლაც არსებობს — ჟენევის მოლაპარაკებები გალის რაიონში ენერგეტიკის საკითხებზე და სხვ. როდესაც ეს ვთქვი, ვგულისხმობდი იმას, რომ საქართველოსთან კომუნიკაციების საკითხების განხილვა შეგვეძლო. მაგალითად, რკინიგზის საკითხი რუსეთმა სომხეთთან აზერბაიჯანის გავლით მოაგვარა, არადა, ეს მარშრუტი, აფხაზეთზე რომ გასულიყო, გაცილებით მოკლე იქნებოდა. ახლა საქართველო და აფხაზეთი ამ პროცესის მიღმა დარჩნენ. აქ ხომ მილიონობით დოლარზეა საუბარი...“**

**ცნობისთვის:** სერგეი შამბამ საქართველოსთან დიალოგისა და ურთიერთობების ნორმალიზების აუცილებლობაზე ერთ-ერთ ინტერვიუში ადრეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ომიდან სამი ათეული წლის შემდეგ მშვიდობიანი მოლაპარაკებები აუცილებელია. მან ასევე ყურადღება სავაჭრო ურთიერთობებზეც გაამახვილა, თუმცა ქართული მხარე მის განცხადებებს არ გამოხმაურებია.

**რა გზავნილია შამბას განცხადება ჩვენი ქვეყნისთვის და რა ბერკეტები არსებობს შედეგზე ორიენტირებული დიალოგის გასამართავად? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გიორგი შერვაშიძე.**

**— ბატონო გიორგი, სერგეი შამბამ ამას წინათ განაცხადა, რომ ომიდან 30 წელი გავიდა და საქართველოსთან დიალოგი აუცილებელია. მისი თქმით, ამისთვის ორივე მხარის მზადყოფნაა საჭირო, თუმცა საქართველოს მსგავსი სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს. დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება მან რამდენიმე თვის წინათაც გააკეთა... რა გზავნილია საქართველოსთვის შამბას განცხადება და რა შესაძლებლობები არსებობს მოლაპარაკებებისთვის?**

— შამბასგან მსგავსი შინაარსის შეფასებები ადრეც მოგვისმენია. თუმცა ამ რანგში, ანუ ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, ეს პირველია და, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას საჭიროებს. ახლა ვიღაცამ შეიძლება თქვას, ვინ არის შამბა, მერე რა, რომ რაღაც განცხადება გააკეთა, რეალურად რა შეიცვლებაო. ცხადია, მეც შორს ვარ იმ აზრისგან, რომ როგორც კი დავიწყებთ მოლაპარაკებებს, აფხაზები უარს იტყვიან დამოუკიდებლობაზე და საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას მოისურვებენ. ამ ეტაპზე ეს საკითხი ხომ არც დგას. მთავარია, დაიწყოს რაღაც დადებითი ძვრები დიალოგისთვის და როგორმე გამოვიდეთ ამ გაყინული მდგომარეობიდან, რომელიც, უკვე სამი ათეული წელია, გრძელდება. ეს უძრაობა კი არ არის, ეს არის კიდევ უფრო დაშორება ქართველებისა და აფხაზების, იმიტომ, რომ ცხოვრება მიდის, თაობები იზრდებიან და ამ ხნის განმავლობაში სულ უფრო მცირდება ის კავშირები, რომლებიც ისტორიულად არსებობდა ჩვენ შორის. რაც შეეხება შეკითხვას, რა გზავნილია ჩვენთვის შამბას განცხადება, ფაქტია, რომ უნდათ მეზობელთან კარგი, ნორმალური ურთიერთობა. ეს ჩემი აზრია, თუმცა, ნურავინ გაიგებს და მიიღებს ამას ისე, თითქოს ისინი ხვალ-ზეგ უარს იტყვიან დამოუკიდებლობაზე... აქვე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ხაზგასასმელი, რომელზეც ბევრი რატომღაც არ ამახვილებს ყურადღებას. **როდესაც იქიდან მხრიდან საჯაროდ კეთდება განცხადება, რომ დიალოგი აუცილებელია და მუდმივ მტრობაში ვერ ვიქნებით, ეს მხოლოდ ერთი პიროვნების ნააზრევი არ არის,** გნებავთ, შამბა აიღეთ და გნებავთ, სხვა რომელიმე...

**— გინდათ, თქვათ, რომ შამბას განცხადება კიდევ უფრო მაღალი პოლიტიკური ეშელონების პოზიციას შეიძლება წარმოადგენდეს?**

— რა თქმა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შამბასაც და ნებისმიერ სხვას სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მსგავსი პოზიციების ასე საჯაროდ გამოხატვა უფრო შორიდან შეიძლება იყოს ნაკარნახევი...

**— რას გულისხმობთ?**

— შეიძლება, რაღაც გზავნილი მოუვიდათ მათგან, ვინც მფარველობთ, — აბა, დაიწყეთ და იქნებ, როგორმე დაალაგოთ ურთიერთობებიო. ჩემი აზრით, ეს სავსებით ლოგიკურია იმ ფონზე, როცა ძალიან ბევრი პოლიტიკოსი რუსეთიდან საჯაროდ საუბრობს ქართულ-აფხაზური დიალოგის შესაძლებლობებზე, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემი ვარაუდია.

**— ქართული მხარის პოზიციაზე რას იტყვით? ადეკვატურია ჩვენი ხელისუფლება მსგავსი გზავნილების მიმართ?**

— სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება მსგავს განცხადებებს დღემდე უპასუხოდ ტოვებს. ეს ფაქტია და მას აქვს თავისი ახსნა, რომელიც ბევრისთვის გასაგებია...

**— რა არის ან შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

— მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება, პრაქტიკულად, არად აგდებს აფხაზური მხარის მიერ დიალოგის დაწყებაზე ნათქვამ ყველა განცხადებას, არის გარე ფაქტორები. იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც გამოცხადებულია ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად, ეს მიუღებელია. მიზეზიც გასაგებია: მას, როგორც მსოფლიო ჰეგემონობაზე პრეტენზიის მქონე ზესახელმწიფოს, ქართველებსა და აფხაზებს შორის არ სჭირდება არანაირი კონსტრუქციული დიალოგი, რომელიც მის როლს გამორიცხავს. რაც შეეხება რეალურ შესაძლებლობებს დიალოგისთვის, ამის საშუალება ძალიან ბევრია, მათ შორის იმ კავშირების სახით, რომლებიც ჩვენ ისტორიულად გაგვაჩნდა. სხვათა შორის, **როდესაც ამ ახალ წელს დავრეკე და დამდეგი მივულოცე ჩემს აფხაზ მეგობრებს, არაერთმა დიდი სინანულით მითხრა, რომ ის, რაც 1990-იანებში მოხდა, იყო ძმათამკვლელი ომი. ისინი ხშირად ახსენებენ ამ სიტყვას და მათ შორის ის ხალხიც, რომელიც უშუალოდ ომობდა. აი, ეს არის ის, რაც მე იმედს მაძლევს, რომ ჩვენ შორის ჯერ კიდევ არ არის ყველა კავშირი გაწყვეტილი.** თუმცა, ყველაფერი უნდა გადაწყდეს პოლიტიკურ დონეზე... აქვე მინდა, მოკლედ შევეხო ერთ საკითხსაც, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობები იძახიან, რომ თურმე ჩვენ ისე უნდა განვვითარდეთ, აფხაზებს თვითონ მოუნდეთ საქართველოსკენ შემობრუნება. განვითარებას რა სჯობს, მაგრამ ჩნდება კითხვა — **თანამედროვე დასავლური, ნეოლიბერალური გაგებით რასაც ჰქვია განვითარება, მისაღებია ისეთი ტრადიციების მქონე ხალხისთვის, როგორიც აფხაზები არიან?**

**«ეს ერთიმეორეს გულისხმობს: დაიწყება აფხაზებთან რეალური დიალოგი — ე.ი. რუსეთთან მიღწეულია შეთანხმება, მოგვარდება რუსეთთან ურთიერთობა — ე. ი. იქნება აფხაზებთან დიალოგი»**

**— დავუბრუნდეთ ხელის შემშლელ ფაქტორებს, რომლებიც, შესაძლოა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზებას აფერხებს, ეს ძალები წინა ხელისუფლების დროსაც მოქმედებდნენ?**

— ერთ კონკრეტულ ფაქტს გავიხსენებ და დასკვნები თვითონ გამოიტანეთ. 2004 წელს, როდესაც თანამდებობა დავტოვე, რამდენიმე თვეში, თუ არ ვცდები, ეს იყო 2005 წელი, ჩავედი სოხუმში. იქ, რა თქმა უნდა, მელოდებოდნენ და კარგადაც მიმიღეს. შევხვდი იმჟამინდელ პრეზიდენტ **ბაღაფშს** და ამ შეხვედრაზე პირდაპირ ითქვა, რომ 2004 წლიდან მხარეებს შორის, პრაქტიკულად, ყველანაირი თანამშრომლობა შეწყდა. ეს იყო ნათქვამი იმ კონტექსტში, რომ ურთიერთობების აღდგენა გარკვეულ დონეზე აუცილებლად უნდა მომხდარიყო...

**«თანამედროვე დასავლური, ნეოლიბერალური გაგებით რასაც ჰქვია განვითარება, მისაღებია ისეთი ტრადიციების მქონე ხალხისთვის, როგორიც აფხაზები არიან?»**

სხვათა შორის, ამის შემდეგ მქონდა ბედნიერება, იქ ჩამეყვანა ესტონეთის ელჩი საქართველოში და გავმართეთ შეხვედრები, მათ შორის პრეზიდენტთანაც. მაშინაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის, პრაქტიკულად, შეწყდა ყველანაირი თანამშრომლობა და უნდა აღმდგარიყო, მაგრამ ლაპარაკი დარჩა ლაპარაკად, იმიტომ, რომ ქართულმა მხარემ შეხვედრების გაგრძელება აღარ მოისურვა. რატომ და რის გამო, შეფასებებისგან თავს შევიკავებ, ეს იყო 2007 წელს, ერთი წლის შემდეგ კი, 2008 წლის აგვისტოში, რაც მოხდა, ყველამ ვიცით...

**— ხელისუფლების პოზიცია, წინასიც და ამჟამინდელისაც, უცვლელია, — მოლაპარაკებების წარმოება მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით შეიძლება. ასე უპასუხა თავის დროზე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პუტინის განცხადებას, რომელიც საქართველოსთან დიალოგისთვის მზადყოფნას შეეხებოდა. ასეთი მიდგომები მომგებიანია დღეს ჩვენთვის და რა არის ამ ვითარებიდან გამოსავალი?**

— ერთი რამ აშკარაა: **რა მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონდეს დღეს საქართველოს, ვინც არ უნდა იყოს ჩვენი პარტნიორი, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარების, მასთან შეთანხმების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრი ილუზიაა.** აი, ასეთია ჩვენი ობიექტური მოცემულობა, რომელიც არ იცვლება და, ალბათ, კარგა ხანს არ შეიცვლება, ამიტომ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ; ეს ერთიმეორეს გულისხმობს — დაიწყება აფხაზებთან რეალურ შედეგზე ორიენტირებული დიალოგი — ე.ი. რუსეთთან მიღწეულია შეთანხმება, მოგვარდება რუსეთთან ურთიერთობა — ე.ი. იქნება აფხაზებთან დიალოგი. თუმცა აქ აღსანიშნავია ისიც, რომ თვით რუსული მხარეც უამრავ შეცდომას უშვებს საქართველოს მიმართ. ამას ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსიც აღიარებს. რაც შეეხება გამოსავალს, ცხადია, ძალიან რთულია ერთი ხელის მოსმით შეცვალო ყველაფერი, როცა რეგიონში ყველას თავისი ინტერესი აქვს, მაგრამ იდეაში ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ამოსავალ წერტილს საკუთარი ინტერესები უნდა წარმოადგენდეს. საქართველო, რა თქმა უნდა, არ არის დიდი მოთამაშე და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია, მაგრამ **პოლარიზებულ მსოფლიოში, სადაც ყველა საკუთარი გავლენის გასაფართოებლად იბრძვის, საქართველო არ უნა იქცეს დიდი გეოპოლიტიკური ცენტრების ინტერესთა შეჯახების წერტილად. ეს გამოიწვევს იმას, რომ აქ ყველა საკუთარ მიზანს მიაღწევს, საქართველო კი დარჩება უკუსვლის გზაზე. საბოლოოდ ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ დაკარგულის დაბრუნება კი არა და, რაც გვაქვს, იმასაც სამუდამოდ დავკარგავთ...**

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მოღალატეობრივ რიტორიკას კარგად იყენებს მეზობელი აზერბაიჯანი, რომლის ტელევიზიებიც გადაცემას გადაცემაზე აკეთებენ, რომლებშიც დავითგარეჯას წარმოაჩენენ მათი ალბანელი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობად და ამის არგუმენტად სწორედ მოღალატე ქართველების ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები მოჰყავთ“.



ლევან ჩაჩუა:

# გარეჯი, რა თქმა უნდა, საქართველოა და მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ჰყავს ჩვენს ქვეყანას მამულიშვილები, რომლებიც მას თუნდაც სიცოცხლის ფასად არ დათმობენ!

**28 იანვარს საპატიმროდან ახალგამოშვებული ივერი მელაშვილის მიერ „ტვ პირველის“ ეთერში გაკეთებულმა სკანდალურმა განცხადებამ, რომ დავითგარეჯის მონაკვეთი საქართველოსი არ არის და აზერბაიჯანი მას არასოდეს დათმობს, საზოგადოება უკიდურესად აღაშფოთა. შოკისმომგვრელმა სიტყვებმა, რომლებიც ღალატში ბრალდებულმა „კარტოგრაფმა“ სტუდიაში მყოფი ე.წ. პროდასავლური ოპოზიციისა და უცხოეთიდან დაფინანსებული „არასამთავრობოების“ ოვაციების ფონზე წარმოთქვა, ბევრი რამ ცხადყო... მათ შორის ფრაზამ, რომ „ვიღაც ბერის კელიებთან პოზირება“ არ ნიშნავს, სადავო მონაკვეთი საქართველოს ეკუთვნის, მისი ეკლესიისა და საპატრიარქოსადმი უარყოფითი დამოკიდებულებაც ნათლად წარმოაჩინა. თუმცა, საზოგადოებისთვის არანაკლებ შემაშფოთებელი და გამაღიზიანებელი ის განცხადებები აღმოჩნდა, რომლებიც მელაშვილის მოღალატეობრივი გამოსვლის შემდეგ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა გააკეთეს. მაგალითად, აკაკი ბობოხიძემ განაცხადა, რომ დავითგარეჯის სადავო ნაწილი არ არის საქართველო და ლოზუნგით, რომ „გარეჯი საქართველოა“ მათ აშანტაჟებენ: „დიახ, გარეჯის რაღაც ნაწილი არ არის საქართველო“, ხოლო „ნაცმოძრაობის“ ახალარჩეულმა თავმჯდომარე ნიკანორ მელიამ განაცხადა: „ვუსმენ პატრიოტ, უტეხ მელაშვილს და არ მესმის, როგორ არ უნდა აენთო ბრძოლის ჟინით“...**

**«ეს პოლიტელიტა ყურმოჭრილი მონაა ე.წ. ფასილიტატორების... რა ტერმინებს აღარ იგონებენ ხალხისთვის ტვინის ასარევად?! ეს მონური დამოკიდებულებაა თავიდათავი ყველა უბედურების — ვისაც მოისურვებენ, დააჭერინებენ; ვინც უნდათ, გამოაშვებინებენ და ვინც უნდათ, გმირადაც გამოაცხადებინებენ. აი, ამ მარიონეტების თეატრს უყურებს მორჩილად ქართველი საზოგადოება»**

მელაშვილის გამოსვლას გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი ამირან გულუაშვილი გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბრალდებულების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება არ ნიშნავს მათ გამართლებას. მისი თქმით, პროცესი ჯერ არ დასრულებულა და აშკარაა უმძიმესი დანაშაული, რომლის ჩამდენი კონკრეტული პირები პასუხს აუცილებლად აგებენ.

**რა ძალები დგანან ღალატში ბრალდებული „კარტოგრაფების“ უკან, ვის დაკვეთას ასრულებდნენ ისინი და არის თუ არა გამოძიება მზად, საქმე ბოლომდე მიიყვანოს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ციხიდან გირაოთი გათავისუფლებულ ივერი მელაშვილის მიერ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გაკეთებულმა განცხადებამ, რომ გარეჯის სადავო მონაკვეთი საქართველო არ არის, სრულიად საქართველო ჩააგდო შოკში. მან პირდაპირ ეთერში აღიარა ის, რასაც გამოძიება ედავება (ზუსტად ეს შეფასება მისცა ამ განცხადებას პროკურატურის წარმომადგენელმაც). გარდა ამისა, აგდებულად მოიხსენია ბერები, რომლებიც გარეჯში მოღვაწეობენ... რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი, რა დავინახეთ ამ განცხადებით და რას უნდა ველოდოთ მომავალში?**

— მელაშვილი გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოეშვათ, თუკი გამოძიებასთან ითანამშრომლებდა და დაასახელებდა დამკვეთებს. მხოლოდ ერთი და ორი პიროვნება, რომლებსაც დანაშაულს ედავებიან, კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ დამკვეთებიც. ყველასთვის ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორი პიროვნების დონეზე არ წყდება ასეთი მასშტაბის საქმეები. თუმცა, საკითხავია, არსებობს თუ არა პოლიტიკური ნება, რომ ეს საქმე დროულად დასრულდეს.

**— თქვენი აზრით, ეს ნება არ არსებობს?**

— ხელისუფლებამ ბრალდებულების გამოშვებით პროცესი გააჭიანურა. ციხეში რომ დაეტოვებინათ ბარლდებულები, მაშინ შესაბამის ვადებში უნდა დაემტკიცებინათ მათთვის ბრალი, გამოევლინათ დამკვეთები და ყველასთვის მიესაჯათ სამშობლოს ღალატისათვის. ახლა კი დროში შეზღუდულები აღარ არიან და სწორედ ამიტომ აღარ უწერია ამ პროცესს დასასრული... არადა, ყველა მტკიცებულება არსებობს, მათ შორის ამოღებული გადამალული რუკები და ვიდეოჩანაწერები, რომ შემსრულებლებისთვის გვერდით მიესვათ დამკვეთებიც. ასე კი პროკურატურა აღარ არის მოქცეული ჩარჩოებში და შეიძლება ეს პროცესი ესასრულოდ გაჭიანურდეს. ბევრს, ალბათ, გაუჩნდება შეკითხვა: კი მაგრამ რისთვის შეიძლება სჭირდებოდეთ ეს? პასუხი მარტივია: თემა მუდმივად იარსებებს, აქტუალობას არ დაკარგავს და პოლიტიკური საჭიროებისამებრ გამოიყენებენ...

**— ამით ხელისუფლება მიიღებს პოლიტიკურ სარგებელს?**

— არამხოლოდ ხელისუფლება, ამით გარკვეულ პოლიტიკურ სარგებელს მისი ე.წ. პროდასავლური ოპოზიციაც მიიღებს, მათი გათვლა ხომ საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. რაც შეეხება რეალურ მდგომარეობას, რეალურად ხდება ის, რომ დავითგარეჯა გაყიდულია და აზერბაიჯანის მხარეს უკვე საავტომობილო გზა გაჰყავს უდაბნოდან ჩიჩხიტურის მონასტრებამდე. ეს არის სრული კატასტროფა და ეროვნული ტრაგედია, რომელშიც დამნაშავეა **სააკაშვილის** მოღალატე ხელისუფლებაც და „ქართული ოცნებაც“.

**— ინტერვიუს დასაწყისში თქვით, მელაშვილსა და ილიჩოვასთან ერთად პასუხი დამკვეთებმაც უნდა აგონო. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა წინა ხელისუფლებას, როცა ტერიტორიები უცხო სახელმწიფოს გადასცა?**

— აქ, ალბათ, მოხდა გარკვეული დანაშაულებრივი შეთანხმება, საუბარია ძალიან დიდ კორუფციულ გარიგებაზე და ეს, რა თქმა უნდა, გამოსაძიებელია. კულუარული ინფორმაციით, სააკაშვილის ხელისუფლება წელიწადში 80 მილიონ შავ ფულს იღებდა აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის მანიპულაციებით, რაზეც, როგორც ვიცი, 2-3 წლის თავშეკავების შემდეგ „ოცნებასაც“ წაუცდა ხელი, თუმცა ამ თემაზე ახლა მტკიცებით ფორმაში საუბარი შეუძლებელია.

**— იმ ფონზე, როცა ყველა და მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხშირად საუბრობენ დამკვეთებზე, ამდენი ხანს რატომ არ ან ვერ მოხერხდა მათი გამოვლენა?**

— შეკითხვას შემოგიბრუნებთ: **გახარია** თავის დროზე მტკიცედ აცხადებდა: პოლიტპატიმრები არ გვყავს და აქ ვსვამ წერტილსო. გულისხმობდა **უგულავასა** და **მერაბიშვილს**, მაგრამ მეორე დღეს ორივე გამოაშვებინეს ციხიდან. რატომ მოხდა ასე?!

**— გინდათ, თქვათ, რომ ხელისუფლებაზე გარკვეული გარე ძალები ზემოქმედებენ?**

— რა თქმა უნდა, ეს პოლიტელიტა ყურმოჭრილი მონაა ე.წ. ფასილიტატორების... რა ტერმინებს აღარ იგონებენ ხალხისთვის ტვინის ასარევად! **ეს მონური დამოკიდებულებაა თავიდათავი ყველა უბედურების — ვისაც მოისურვებენ, დააჭერინებენ; ვინც უნდათ, გამოაშვებინებენ და ვინც უნდათ, გმირადაც გამოაცხადებინებენ. აი, ამ მარიონეტების თეატრს უყურებს მორჩილად ქართველი საზოგადოება.** სხვათა შორის, ნაცებს **ბაიდენის** გაპრეზიდენტებით უფრო მიეცათ გული და აქტიურ მხარდაჭერას ელოდებიან. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოსთვის მოიცალოს... რაც შეეხება ისევ გარეჯის თემას, მინდა, გამოვეხმაურო ერთ საკითხს — **ბოლო დღეებია, სოციალური ქსელებითა თუ სხვადასხვა „ლიბერალური“ მედიასაშუალებით მიდის ღალატის გამართლება და გაიძახიან:, დიახ, დავითგარეჯის სადავო მონაკვეთი საქართველოს არ ეკუთვნის, ოღონდ ისტორიულად კი არა, დღევანდელი მდგომარეობითო.** იმ ხალხის გასაგონად ვიტყვი, რომ **მათ მოღალატეობრივ რიტორიკას კარგად იყენებს მეზობელი აზერბაიჯანი, რომლის ტელევიზიებიც გადაცემას გადაცემაზე აკეთებენ, რომლებშიც დავითგარეჯას წარმოაჩენენ მათი ალბანელი წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობად და ამის არგუმენტად სწორედ მოღალატე ქართველების ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები მოჰყავთ. ეს ერთი, ახლა მეორე — ისტორიაზე რომ ამახვილებენ ყურადღებას, აზერბაიჯანული პროპაგანდა იმას კი არ ამბობს, ისტორიულად საქართველოსი იყო, მაგრამ ახლა ჩვენიაო, ისინი ამბობენ, რომ გარეჯი საერთოდ არ არის ქართული კულტურის ნიმუში, ის ალბანური კულტურის ძეგლია, ჩვენ კი ამ კულტურის სამართალმემკვიდრეები ვართო...**

**— კი მაგრამ ალბანეთი ხომ ქრისტიანული, მართლმადიდებელი ქვეყანა იყო? აზერბაიჯანი ოდესმე ყოფილა ქრისტიანული სახელმწიფო?**

— რა თქმა უნდა, არა. აბსურდია ეს ყველაფერი, მაგრამ რას ამტკიცებენ, იცით? ოდესღაც, ჩვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ მერე ისლამის ნათელი მივიღეთო. აი, ასეთი ისტორიული უკულმართობის გამართლებას უწყობს ხელს ქართველი ხალხის მიერ არჩეული სულგაყიდული ოპოზიცია და მასთან, ე.წ. ფასილიტატორების დირექტივით, კოაბიტაციაში მყოფი ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს იკადრებს, ოღონდ ხელისუფლებაში ყოფნის ვადა გაიხანგრძლივოს.

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ნიკო კეცხოველი** ბრძანებდა: „მიეცით ნებისმიერ ერს დავითგარეჯი და მას ისტორია ექნება“... ხვდებით, რამხელა ღალატთან გვაქვს საქმე და როგორი სტრატეგიული მნიშვნელობის დატვირთვა აქვს იმავე აზერბაიჯანისთვის ამ უნიკალური ძეგლის თავის ისტორიასთან მიბმას?

**— რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველომ შეინარჩუნოს ეს ტერიტორია, შეინარჩუნოს კულტურული და სულიერი მემკვიდრეობა?**

**— არსებობს ხალხური გამოთქმა: „ჯერ ღმერთს არ ეღალატების, მერე — გარეჯსა და მამულსა!“ გარეჯის ღალატზე სტუდენტი ახალგაზრდობა რომ არ რეაგირებს, ჩემთვის ესაა ყველაზე სამწუხარო და სავალალო!**

რაც შეეხება გამოსავალს, ასეთი „ნაც-ქოცური“ პოლიტიკური ელიტის დღის წესრიგის პირობებში, სამწუხაროდ, არანაირი ოპტიმიზმის საფუძველი არ მაქვს. ესენი ერთად ღალატობენ ეკლესიას, სამშობლოსა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ, სანამ საზოგადოება თავის მოტყუების რეჟიმშია, უკეთესობის მოლოდინი ნუ გვექნება. თქვენი გაზეთის მეშვეობით კითხვით მივმართავ მათ, ვინც ეს მოღალატე პოლიტელიტა აირჩია: **ახლა მაინც თუ ხვდებით, ქოცებად და ნაცებად დაყოფილო „ელექტორატო“, რომ ტყუილად გაპირისპირებენ ერთმანეთს და სინამდვილეში ერთად ღალატობთ ეკლესიასაც და სამშობლოსაც?! როდემდე უნდა მოიტყუოთ თავი?! იცოდეთ, რომ თქვენი რჩეულების მიერ ჩადენილ ღალატში პირადი პასუხისმგებლობა გეკისრებათ და მოგიწევთ კიდეც, როცა წმ. დავითგარეჯელისა და 6 000 მოწამე ბერის წინაშე წარდგებით, თუ არ შეინანებთ და თქვენი რჩეულების მიერ ჩადენილი ბოროტი საქმეების გამოსწორებას არ შეუდგებით...** ქოცებო, თქვენ მაინც თუ ხვდებით, რომ არჩევნების წინ გარეჯის თემის გააქტიურება მხოლოდ გრძნობებზე თამაშსა და საკუთარი სკამების შენარჩუნებას ემსახურებოდა?! ხომ გაინაღდეს თავისი და ახლა ხელს აფარებენ დამკვეთებს?! ვერც იმას აცნობიერებთ, როგორ გამოგიყენათ **ივანიშვილმა**, — თქვენ ხომ მის მიერ კანდიდატად წამოყენებულ უსულგულო საგანსაც კი მისცემდით ხმას, — და შეგატოვათ „ჩიჩილაკს“?!

აზერბაიჯანმა უკვე დაიწყო საავტომობილო გზის გაყვანა დავითგარეჯამდე. „ბედნიერი ჩვენი ერი“ კი იმაზე ფიქრობს, რაი ვჭამოთ, რაი ვსვათ და რით შევიმოსოთ...

მაგრამ გარეჯი, რა თქმა უნდა, საქართველოა! და ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს ქვეყანაში მამულიშვილები, რომლებიც სიცოცხლის ფასად არ დათმობენ მას. ეს უნდა იცოდეს შიდა და გარეშე მტერმაც...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მესამე სამყაროს ქვეყნები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შექმნილია ვაქცინა, რომელსაც შეუძლია მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იხსნას, მაგრამ არც თავად ეკარებიან და არც სხვებს აკარებენ. არადა, მაშინ, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო, მაგრამ ზესახელმწიფოების ინტერესი ადამიანების სიცოცხლეზე მეტად ფასობს.**

# ადამიანთა უტილიზაცია არაერთხელ ახსენეს ხმამაღლა თუ კულუარულად და...

**„ფაიზერ-ის ვაქცინის პირველი დოზები საქართველოში თებერვლის ბოლომდე შემოვა. მადლობა ჩვენი ქვეყნისა და პირადად ჩემს მეგობარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორ ტედროს ადანომ გებრეისუსს საქართველოს უპრეცედენტო მხარდაჭერისთვის. ეროვნული გეგმის შესაბამისად, ვაქცინის მიღებისთანავე ჩვენი მედპერსონალის ვაქცინაცია დაიწყება. ვაქცინა მუშაობს!“— ეს განცხადება საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ სოციალურ ქსელში თავის ოფიციალურ გვერდზე გააკეთა.**



ტედროს ადანომ გებრეისუსი

**შეზღუდვა მსოფლიოს 100-მდე ქვეყანას, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოს, შეერთებულ შტატებს, კანადასა და ავსტრალიას შეეხება. ევროკომისიის გადაწყვეტილებას სწორედ ზემოხსენებული ჩვენი მეგობარი ტენდროს ადანომი არ დაეთანხმა, ასე არ შეიძლებაო, მაგრამ იმავე ადანომს ხმა არ ამოუღია, როცა ითქვა, ჯერ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები აიცრებიან, შემდეგ მეორე და ბოლოს მესამე რიგის ქვეყნებიო**

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ-ჯერობით არავინ იცის, მუშაობს თუ არა ვაქცინა. ესეც არ იყოს, საქართველოში 30 ათასამდე ვაქცინა შემოაქვთ და ისიც იმიტომ, რომ მედპერსონალის ნაწილი აიცრას. წორედ ნაწილი, რადგან სრულად მედპერსონალის აცრა ვერ მოხერხდება, რადგან მათი ოდენობა 46 ათასზე მეტია. ამ 30 ათასი ვაქცინით აიცრება სამედიცინო სფეროს 15 ათასი წარმომადგენელი და, რადგან ვაქცინა ორჯერ უნდა გაკეთდეს, მეტს ფიზიკურად ვერ ავცრით. ცოტა სასაცილოა, მაგრამ ამ ეტაპზე **არ აცრიან იმ მედმუშაკებს, რომლებაც კოვიდ-19 გადაიტანეს და, შესაბამისად, იმუნიტეტი შენარჩუნებული ექნებათ, სულ ცოტა, 3 თვის განმავლობაში.** რაც შეეხება რიგითი ადამიანების საყოველთაო აცრებს, ვაქცინა, სავარაუდოდ, შემოდგომის ბოლოს გვექნება, თუმცა არავინ იცის, რა ეღირება; არც ის იციან, რა ოდენობის იქნება და არც ის, კვლავ Pfizer-ს შემოიტანენ თუ სხვას.

ჯერ ფასით დავიწყოთ და მერე იმით დავინტერესდეთ, რატომ არის ტენდროს ადანო ჩვენი ან, საერთოდ, ვინმეს მეგობარი. როცა ვირუსი მსოფლიოს მოედო და ვაქცინაზე მუშაობა დაიწყო, **ბილ გეიტსმა** დაუფარავად განაცხადა, რომ ვაქცინის ფასი, სულ ცოტა, ასი დოლარი უნდა ყოფილიყო და, თუ მას მოქალაქეები ვერ შეწვდებოდნენ, ვერც პრობლემას ვერ ხედავდა ამაში. **ადამიანთა უტილიზაცია არაერთხელ ახსენეს ხმამაღლა თუ კულუარულად და ციფრებიც ამას ამბობს — ვირუსის შედეგად, ძირითადად, ხანდაზმული ხალხი იხოცება.** სხვათა შორის, დაახლოებით ოთხი წლის წინათ, როცა ვირუსის ხსენებაც არ იყო, ერთ-ერთმა ქართველმა ემიგრანტმა თქვა, მეშინია: ესპანეთის მთავრობამ ერთ დღეს არ მოინდომოს და მოხუცები არ დახოცოს, რადგან მათგან სარგებელს ვერ იღებს, ისინი ბანკში შენახული ფულით ცხოვრობენ, არაფერს აწარმოებენ და სამედიცინო დახმარება უფასოდ ეკუთვნითო. ის ქართველი თავის ბებოს გამო ჩიოდა, — არ მომიკლან, უმუშევარი არ დავრჩეო. სხვათა შორის, ესპანეთის მთავრობას არ დაუმალავს, რომ მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით პენსიონერები ყოველწლიურად 5 ათას ევროზე მეტს ახარჯვინებდნენ სახელმწიფოს. ასე იყო სხვა ქვეყნებშიც და...

შორს ვართ შეთქმულების თეორიისგან, მაგრამ ფაქტია, რომ ვირუსი, პირველ რიგში, სწორედ პენსიონერებს დაერია და, რაც მთავარია, ვაქცინის ფასით უკმაყოფილება არაერთმა ცნობილმა გვამმა გამოთქვა. **ვაქცინა, რომლის ფასი 19-დან 26 დოლარამდე მერყეობს, ვერ იძლევა ისეთ შემოსავალს, რომ რამდენიმე მილიარდერს კიდევ არაერთი მილიარდის დამატების შესაძლებლობა მისცეს** და, ჰოი საოცრებავ, **სწორედ ამ უკმაყოფილების ნიადაგზე გაირკვა, რომ ვაქცინის წარმოების მიმართ პრობლემებია და თანაც როგორი — ევროკავშირის წევრი ქვეყნებს დაპირებული 80 მილიონი ვაქცინის ნაცვლად მწარმოებელი მხოლოდ 30 მილიონს, ანუ 60%-ით ნაკლებს მიაწვდის.** ეს პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ წარმოების გასაუმჯობესებლად ვაქცინის ფასის გაზრდაა საჭირო, მაგრამ, სანამ ეს მოხდება, **ევროკომისიამ მიიღო რეგულაცია, რომელიც ევროკავშირში წარმოებული ვაქცინების ექსპორტზე კონტროლის დაწესებას გულისხმობს. შეზღუდვა მსოფლიოს 100-მდე ქვეყანას, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოს, შეერთებულ შტატებს, კანადასა და ავსტრალიას შეეხება. ევროკომისიის გადაწყვეტილებას სწორედ ზემოხსენებული ჩვენი მეგობარი ტენდროს ადანომი არ დაეთანხმა, — ასე არ შეიძლებაო, მაგრამ იმავე ადანომს ხმა არ ამოუღია, როცა ითქვა, ჯერ განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები აიცრებიან, შემდეგ მეორე და ბოლოს მესამე რიგის ქვეყნებიო.** მასობრივ აცრებზეა საუბარი, თორემ მედპერსონალისთვის ასე თუ ისე საკმარისი ოდენობას ყველა ქვეყანა მიიღებს.

იმავე ადანომის მითითებით, გასულ კვირას ჩინეთის ქალაქ უჰანში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩავიდნენ იმის შესასწავლად, რა მოხდა წელიწადზე მეტი ხნის წინათ და რა იყო ვირუსის გავრცელების მიზეზი. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფი წელიწადზე მეტ ხანს ელოდა იმ კერის შესწავლას, რომლიდანაც ყველაფერი დაიწყო, და როგორ გგონიათ, ჩინელებს რაღაც რომ ჰქონოდათ გაფუჭებული, ერთ წელიწადში კვალის წაშლასა და დაფარვას ვერ მოახერხებდნენ? ჰოდა, ლოგიკური კითხვა გვაქვს — **რისთვის გადადგა ეს ნაბიჯი იმავე ადანომმა და ხომ არ ჰგავს ეს ყველაფერი ადამიანებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობას?** ერთ წელიწადში, ჩინური ეკონომიკის ტემპებით, ახალ უჰანს ააშენებდნენ და დაახვედრებდნენ ჯანმოს წარმომადგენლებს. რაც შეეხება ჩვენთან მეგობრობას, მეგობარი მაშინ იქნებოდა ბატონი ადანო, თუ ვაქცინას ყველა სხვა ქვეყნისთვის ლიმიტირებულად გამოყოფილ ოდენობაზე მეტს მოგვაწვდიდა, მაგრამ ასე არ მოხდა, ასე არ ხდება და მადლობასაც იმიტომ ვეუბნებით, რომ, საერთოდ, არ გადაიფიქრონ და ის 30 ათას ცალამდე ვაქცინაც სახვეწარი არ გაგვიხდეს.

შორიდან ისე ჩანს (ჰო, საქართველო შორსაა, ახლოს არავინ უშვებს და იმიტომ ვამბობ შორიდან-მეთქი), რომ მსოფლიო შეიშალა ვაქცინაციაზე და, რაც დრო გავა, მით უფრო მოიმატებს ვაქცინის ფასი. შთაბეჭდილებაც ისეთია, რომ **ყველაფერი, რაც ხდება, სწორედ ვაქცინის გასაძვირებლად კეთდება,** რათა მწარმოებლებმა მთელი მსოფლიოსგან ფული იშოვონ. ამ პირობებში თითქოს უცნაურია რუსეთის მიმართ დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულება. **რუსმა მეცნიერებმა უკვე შექმნეს ვაქცინა და მასიური აცრები დაიწყეს. ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ ციფრებით, რუსული ვაქცინის გამოყენების შედეგ სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია, ანუ რუსული ვაქცინა, უბრალოდ, კარგი კი არა, ძალიან კარგია.** მიმდინარე აცრების პარალელურად, რუსეთში ორი სხვა ვაქცინაც შექმნეს და უახლოეს მომავალში მათ წარმოებასაც დაიწყებენ. საინტერესოა, რომ საშინაო მოხმარებისთვის ვაქცინის ფასი 10 დოლარია, ხოლო სხვა სახელმწიფოს დაახლოებით 26 დოლარის გადახდა უწევს. რუსული ვაქცინის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა მსოფლიოს 39 ქვეყანამ და რუსეთი მზად არის, არა მხოლოდ ვაქცინა მიჰყიდოს მსურველს, არამედ წარმოებაც აუწყოს და მსურველმა ქვეყანამ შეძლოს როგორც ვაქცინის შეძენა, ისე მისი წარმოება. **რუსული ვაქცინის წარმოება უკვე იწყება ბრაზილიაში, თურქეთში, ყაზახეთში, უნგრეთში და ბელორუსში. ასეთ პირობებში საქართველოსთვის იდეალური ვარიანტი სწორედ აღნიშნული ვაქცინის წარმოების დაწყება იქნებოდა — პუტინს ოფიციალურად აქვს გამოცხადებული, რომ განურჩევლად ყველას დაეხმარება, ვინც რუსეთს მიმართავს. ბოლო ხმაზე რომ გაჰკივიან, — 2023 წლამდე ცხოვრების ძველ კალაპოტს ვერ დაუბრუნდება მსოფლიოო, ხომ ნიშნავს იმას, რომ 2023 წლამდე ვაქცინაციის თემა აქტუალური იქნება. ჰოდა, თუ რუსეთისგან ვაქცინასა და მისი წარმოების უფლებას მივიღებთ, კარდაკარ კი არ ვივლით და ხელს კი არ გავიშვერთ, ვაქცინა მოგვყიდეთო, არამედ ვაქცინის გაყიდვის შესაძლებლობა გვექნება და პარალელურად საქართველოშიც მასობრივ აცრას უპრობლემოდ ჩავატარებთ. თანაც, სახელმწიფოს ადგილზე ნაწარმოები ვაქცინით აცრა გაცილებით იაფი დაუჯდება, ხოლო ვაქცინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ეკონომიკას წელში გამართავს.** მაგრამ ამისთვის საჭიროა რუსეთთან დალაპარაკება, რომლის უფლებასაც დასავლეთი არ გვაძლევს. ჩვენც წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ გვაქვს, თორემ აგერ, თურქეთი მშვენივრად დაელაპარაკა და შეთანხმებასაც მიაღწია. იგივე გააკეთა მოლდოვამ, რომლის მოსახლეობა ცოტა ხნის წინათ რევოლუციური შემართებით ცხოვრობდა, გადატრიალებაც მოაწყვეს და მერე მიხვდნენ, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის.



საზოგადოდ, პატრიოტი ხელისუფლება მოქმედებს ისე, რაც წაადგება, უწინარესად, მის ქვეყანას. წარმატებული ევროპული ქვეყნების ლიდერები თანასწორობასა და ტოლერანტობაზე ჩვენს დასამოძღვრად რომ მუდმივად საუბრობენ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, პირველ ადგილზე ყოველთვის თავიანთი ქვეყნის ინტერესებს აყენებენ. ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ მალე რომელიმე ევროპული ქვეყანა რუსეთს ვაქცინის მიყიდვასა და წარმოების აწყობას სთხოვს. ჩვენ კი იმავეს გაკეთების უფლებას არ მოგვცემენ და თითს დაგვიქნევენ. საქართველოს ხელისუფლება ამ თითის დაქნევას ვერ შეეწინააღმდეგება და ქვეყნის ინტერესზე წინ დასავლეთის ინტერესს დააყენებს.

ვაღიაროთ, რომ ასეთი მიდგომები, ამგვარი ბუნდოვანი გადაწყვეტილებებია იმის მიზეზი, რომ მსოფლიოში ძალიან ბევრ ადამიანს ვირუსის არსებობის, უბრალოდ, არ სჯერა და ეს ყველაფერი ხელოვნური ჰგონია. ეჭვები ტედროს ადანოს მიერ გასულ კვირას მიღებულმა გადაწყვეტილებამ უფრო გააძლიერა, როცა უჰანში დელეგაცია ახლა გაგზავნა და არაფრისმომცემი ნაბიჯი გადადგა. ამასთანავე, შექმნილია **ვაქცინა, რომელსაც შეუძლია, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იხსნას, მაგრამ არც თავად ეკარებიან და არც სხვებს აკარებენ.** არადა, მაშინ, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო, მაგრამ ზესახელმწიფოების ინტერესი ადამიანების სიცოცხლეზე მეტად ფასობს.

**ბესო ბარბაქაძე**

„წლევანდელ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მსოფლიოში ნარკოტიკების მოხმარების ზრდის ტენდენცია გრძელდება, რომელიც ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, ურბანიზაციით, ნარკომან მოზარდთა რაოდენობის კატასტროფული მატებით, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესებით და ამჯერად — პანდემიის ფაქტორითაც“.

SOS!
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სანამ კორონავირუსს ლოკდაუნით ვებრძვით, ნარკომანიამ მხრები გაშალა

## გაეროს 2020 წლის ნარკოანგარიში საქართველოს რაკურსით

**— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა ოფისმა 2020 წლის მსოფლიოს ნარკოანგარიში გამოაქვეყნა. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში თავმოყრილია ინფორმაცია გაეროს წევრი ქვეყნების ნარკოპოლიტიკის შედეგიანობის შესახებ, გაანალიზებულია წევრი სახელმწიფოების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გაცემულია რეკომენდაციები ახალი COVID-19-ის ფონზე მსოფლიოში არსებული გამოწვევების დასაძლევად, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ასათიანის სახელობის ფსიქიატრიისა და ნარკომანიის სამეცნიერო ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა ლეჟავამ.**

წარმოდგენილია ოპიატების, კოკაინის, ამფეტამინის ტიპის სტიმულატორების, კანაბისის — მარიხუანის — და ახალი ფსიქოაქტიური სუბსტანციების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნების ვითარება, რომელიც ხასიათდება უმძიმესი შედეგებით მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ქვეყნების ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედებით. ლაპარაკია ნარკოტიკების პრობლემის მდგრად განვითარებაზე, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ასეთია მთავარი აქცენტები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანების, საზოგადოებისა და სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სამწუხაროდ, მჭიდროდ უკავშირდება ნარკოტიკების პრობლემას. არაკეთილსაიმედო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კი ხელს უწყობს ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული პრობლემების ზრდას, მათ შორის, სოციალური პირობების გაუარესებას, გაუნათლებლობას, დაუსაქმებლობას და ა.შ. გაეროს ყოველწლიურ ანგარიშებში მეორდება, რომ **ნარკომანიის მანკიერი წრის გასარღვევად, მარგინალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიკური არასახარბიელო პერსპექტივის დასაძლევად საჭიროა ამოქმედება სახელმწიფო პროგრამებისა, რომლებიც დააკავშირებს ანტინარკოტიკულ ღონისძიებებს ეფექტიან მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ნარკომანიის პრევენციის ღონისძიებებს და მიმართული იქნება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ, ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისკენ.**

წლევანდელ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მსოფლიოში ნარკოტიკების მოხმარების ზრდის ტენდენცია გრძელდება, რომელიც ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, მათ შორის, ურბანიზაციით, ნარკომან მოზარდთა რაოდენობის კატასტროფული მატებით, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესებით და ამჯერად პანდემიის ფაქტორითაც. ამ მავნე წრის გასარღვევად, გაეროს დასკვნის მიხედვით, არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ნარკომანიის პრევენციის, მკურნალობა-რეაბილიტაციის, სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფუძნება ჭეშმარიტი, სტატისტიკური მონაცემების მეცნიერულ ანალიზზე. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ეს ღონისძიებები, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

**ნარკომანიის პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, დანაშაულის შემცირებას, სოციალური უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებასა და, საერთოდ, საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას.**

ასეთია გაეროს მთავარი მესიჯი, რომელსაც დავუმატებ, რომ დღეს **საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის გასაღები, როგორც არასდროს, საზოგადოების ხელშია. სწორედ საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ნარკომანიაც ერთგვარი პანდემიაა ქვეყნისთვის და მის გადასალახად ისეთი ერთსულოვნება გვჭირდება, როგორც ბოლო პერიოდში ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ გამოვიჩინეთ.** მე ამას ბრძოლას არც დავარქმევდი, ესაა საზოგადოებრივი შეგნების, განწყობის, სამოქალაქო ძალის წარმართვა ნარკოდანაშაულისა და ნარკოტიკების მოხმარების აღსაკვეთად.

**— ანგარიშში, როგორც ვიცით, დიდი ადგილი დაეთმო COVID-19-ის უკიდურესად უარყოფით გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.**

— დიახ, ასეა. COVID-19-ის დასაძლევად განხორციელებულმა ლოკდაუნებმა, წერტილოვანმა, თუნდაც დროებითი ხასიათის სხვა შეზღუდვებმა შეიძლება გაამწვავოს მოსახლეობის დაუცველი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ანტინარკოტიკული პროგრამების კავშირი განვითარების სფეროს ღონისძიებებთან ერთად, რომელთაც ჩვენი მთავრობა გეგმავს კრიზისის ნეგატიური ეფექტის შემცირების მიზნით, იმედია, ხელს შეუწყობს COVID-19 პანდემიით გამოწვეული, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით დარღვევების მქონე პირების რაოდენობის შემდგომი ზრდის პრევენციას, მაგრამ საამისოდ დღეს, როდესაც გვიახლოვდება COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისი, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, შემცირებული სახელმწიფოებრივი რესურსები მაქსიმალურად მივმართოთ ეფექტიანი ზომების დასაფინანსებლად და არ დავხარჯოთ ისეთი ღონისძიებების მხარდასაჭერად, რომლებსაც არ გააჩნია სამეცნიერო საფუძველი ან დაბალი შედეგიანობით ხასიათდება.

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ნაწილია და გახსნილი საზღვრების პირობებში, ნებისმიერი ძვრა ეხება სამყაროს იმ ნაწილსაც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ მეტი ან ნაკლები დოზით. ახალი **კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის დონის მკვეთრი დაცემა და ამის გამო ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც წაახალისებს ადამიანებს ნარკობიზნესისკენ საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნა კი ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარების მატებას, ისევე როგორც ხდებოდა წარსულში. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად გასცემს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს გაერო, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამ.**

**— რას ურჩევთ თქვენ, როგორც დარგის ექსპერტი, საქართველოს ხელისუფლებას?**

— COVID-19-ის პანდემიამ თვისობრივად შეცვალა ნარკოპრობლემის ხასიათი. ეს თავისთავად ცხადია. ჩვენს მთავრობას კი ვურჩევ იმას, რასაც გაეროს გენერალური მდივანი **გუტერეში** საჯაროდ აცხადებს: შექმნილ სიტუაციაში **მეცნიერული ანალიზის ნდობა და სამეცნიერო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა პანდემიის დამარცხების ძირითადი იარაღია. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის პრევენციის ოფისი იმეორებს, რომ, როგორც ყოველთვის, ანალოგიური იარაღი უნდა იქნეს გამოყენებული მსოფლიო ნარკოპრობლემების აღსაკვეთად.**

«ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის დონის მკვეთრი დაცემა და ამის გამო ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც წაახალისებს ადამიანებს ნარკობიზნესისკენ საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვების მოხსნა კი ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარების ზრდას, ისევე როგორც ხდებოდა წარსულში»



გელა ლეჟავა

ასეთი მიდგომა დღეს უკიდურესად აუცილებელია, რადგან პანდემიამ მნიშვნელოვნად გაამძაფრა ნარკომანიის პრობლემა მსოფლიოში.

ნარკოსიტუაციის გაუარესება მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას შეეხო, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. მიზეზი მარტივია: ქართველი ერი გერმანელების, იტალიელების, ფრანგების, თუნდაც პორტუგალიელების, ჩეხებისა და სხვა ერებისგან განსხვავებით მეტად მცირერიცხოვანნი ვართ. მათგან განსხვავებით ჩვენში ნებისმიერი მცირე პროცენტის დანაკარგი შეუქცევად პროცესებს, ანუ რაოდენობრივ კლებას გამოიწვევს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ყველა ევროპული ქვეყანა ჯანდაცვაზე და, მათ შორის, ნარკომანიის პრობლემების პრევენციაზე მკურნალობასა და რეაბილიტაციაზე ჩვენზე გაცილებით მეტ თანხას ხარჯავს, ნათელი გახდება, რომ ქართველებს ამ პრობლემის მიმართ გამძაფრებული ყურადღება გვმართებს. **ზიანის მომტანია იმ დილეტანტი ვაიექსპერტების მოსაზრებები, რომელთა დასასაბუთებლად უცხოეთის მაგალითებს ასახელებენ. შეიძლება შევადაროთ, ვთქვათ, ნიდერლანდების ნარკოკანონმდებლობა ქართულ ნარკოკანონმდებლობას? ნიდერლანდების მთავრობა ერთ მოქალაქეზე მხოლოდ ნარკოპრობლემებზე 120 დოლარს ხარჯავას წელიწადში; სხვები — 90, 80, სულ ცოტა 50-40 დოლარს; ჩვენ — მიზერულ ლარებს.**

ნარკოტიკებისა და დანაშაულის გაეროს ოფისის წლიურ ანგარიშში მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან სტატისტიკურ კვლევებზე დაყრდნობით მოყვანილი დასკვნები, ფაქტობრივად, მოუწოდებს მთავრობებს, მეცნიერული კვლევების საფუძველზე მიიღონ შესაბამისი ზომები, თავიანთ ქვეყნებში შექმნილი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, არ დაიშურონ ფული ამ პრობლემების მოსაგვარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში უმძიმეს შედეგებს მოიმკიან.

ესაუბრა
**ეკა ნონიაშვილი**

**რედაქციისგან:** გასულ შაბათს, 30 იანვარს, ტელეარხმა OPT-მ გადასცა დოკუმენტური ფილმების ციკლი ვლადიმერ ვისოცკის, უნიკალური რუსი ბარდის, შესახებ, რომელიც ნარკოდამოკიდებულებამ დაღუპა: 1980 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა.

ეს ის დრო იყოო (ათქმევინეს ვისოცკის ერთ-ერთ ახლობელს ფილმის ავტორებმა), როცა საბჭოთა კავშირში არაფერი იცოდნენ ნარკომანიის შესახებ.

**დასაზუსტებელია:** არ იცოდნენ კი არა, აკრძალული იყო ლაპარაკიც კი ნარკომანიაზე, ალკოჰოლიზმსა და პროსტიტუციაზე.

ეს ერთი.

**მეორე:** ჯერ კიდევ 1960 წლის 30 ივნისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა საგანგებო ბრძანებულება, რომელიც ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად იყო მიმართული. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც სახელმწიფო სექტორის მოხელეებთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერები, სამეცნიერო ხარისხების მფლობელები — **გელა ლეჟავა** და **ანზორ გაბიანი** (ღმერთმა ნათელში ამყოფოს!) შევიდნენ.

**მაშასადამე, იმხანად, რომელზეც ზემოთ მიგანიშნეთ, საქართველოში არა მხოლოდ იცოდნენ, რას ნიშნავდა „თეთრი სიკვდილი“, არამედ მასთან ბრძოლის 20-წლიანი გამოცდილებაც იყო დაგროვებული.**

**ამიტომ თავს უფლებას ვაძლევთ, მივმართოთ საქართველოს ხელისუფლებას, ყურადღებით მოეკიდოს ბატონ გელა ლეჟავას რჩევებსა და რეკომენდაციებს, მით უფრო, რომ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნით, კოვიდპანდემიისას მოიმატა დეპრესიულმა განწყობილებამ განსაკუთრებით 19-27 წლის ახალგაზრდებს შორის, რაც ხელს უწყობს ნარკომანიის გავრცელებას საზოგადოების ამ ფენაში და, საზოგადოდაც, მომავალი თაობის დეგრადაციის წინაპირობაა.**

**ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის ნარკომანიით ყველაზე უფრო დაბინძურებულთა შორის არის მოხსენიებული.**

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის კომიტეტების დონეზე უკვე განიხილეს კანონპროექტი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

**ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი არჩეული დეპუტატები არ დააყოვნებენ ამ პროექტის კანონად დამტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ნარკოპოლიტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1917 წლის 25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება ტაქტიკური თვალსაზრისით ბრწყინვალედ იყო გააზრებული. დროებით მთავრობას საკმაოდ სერიოზული ძალა (მუშები, ჯარისკაცები, მატროსები) უჭერდა მხარს, მაგრამ იმ დღეს, იმ მომენტში, იმ წუთში დროებითი მთავრობა მაინც მარტო დარჩა. დროებითი მთავრობის „მარტოობა“ დიდხანს არ გაგრძელდებოდა. საათები, შეიძლება წუთები წყვეტდა ყველაფერს. სწორედ ეს „წუთები“ არ გამოჰპარვია სტალინს. სხვა გზით ბოლშევიკები ძალაუფლებას ვერ დაეუფლებოდნენ.**

# სტალინი და ბოლშევიზმი

**მოძღვრებები, რომლებზეც ხელი მიგვიწვდებოდა, გვისწავლია, გვიმსჯელია და ჩვენი მოსაზრება გამოგვითქვამს, ბევრი არ არის, მაგრამ, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდებოდა და დღესაც გვხვდება, არის მარქსიზმი.**
*** მარქსიზმი — ეს არის ლიტერატურა. ლიტერატურა კი ძველდება, მას სინამდვილე ამარცხებს ან კვდება (ოსვალდ შპენგლერი).**
*** ლენინიზმი — გაუგებარი თეორიების გაგებული მხლართველი, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია.**
*** ტროცკიზმი — ლენინური გაუგებრობის შეგნებული გამგრძელებელი.**
*** სტალინიზმი — ბოლშევიზმის მამა, რომელიც ბუნებამ დაღუპა.**

## სტალინი და ბოლშევიზმი

უცხო სხეული, რომელსაც მე-6 საუკუნიდან აკვირდებოდნენ მსოფლიოს მოწინავე ადამიანები, საზოგადოების ნიჰილიზმს იწვევდა. სერიოზულ მეცნიერულ კვლევას არავინ აწარმოებდა. თანასწორუფლებიანობა, სოციალური თანასწორობა, უკლასო საზოგადოება — სწორედ ეს იყო ის უტოპიური ოცნებები, რომლებიც შემდგომ სახელადაც დაერქვა ამ ცრუ მეცნიერებას, როგორც უტოპია.

რუსეთში დაწყებული რევოლუციური მოძრაობა ბუნებაში მიმდინარე არახელოვნურ მოვლენებს ემსგავსებოდა, რომლის პოტენციური ძალა არათუ იკლებდა, თანდათან იმატებდა და კოლოსალური ხდებოდა. ვინ იყვნენ ამ მოძრაობის სათავეში უკიდეგანო ქვეყნის ყველა კუთხეში? ისევ და ისევ ჩაგრული კლასიდან გამოსული გმირები, რომლებიც წინ მიუძღოდნენ შიმშველ და მშიერ მოსახლეობას თავისუფლების მოსაპოვებლად. გლეხთა მეთაურებს მოწინავე ინტელიგენციამაც ხელი გაუწოდა და სხვადასხვა ლამაზი ზღაპარი შექმნა გმირ მეზობელზე, რომელმაც ქალზე მოძალადე ჯარისკაცს ხმლით თავი წააგდებინა. ერთ ზღაპარს მეორე მიჰყვა და შეიქმნა ნამდვილი ჰეროიკული რუსული ლიტერატურა, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა რუსი ხალხის გამოღვიძებაში.

რუსეთში არა ზევიდან, არამედ ქვევიდან დაიწყო ძლევამოსილი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც გაურკვევლად მიმდინარეობდა ალასკიდან აზოვის ზღვამდე. მაშინ, როცა მსოფლიოში მომძლავრდა თეორია, რომ რევოლუციამ უნდა გაიმარჯვოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, რუსმა ჯარისკაცმა გაწყვიტა იმპერიალიზმის ჯაჭვი იქ, სადაც ის ყველაზე სუსტი იყო, და რევოლუციამ ყველაზე სუსტ იმპერიაში — რუსეთში გაიმარჯვა.

უკან დარჩა კომუნისტური პარტიის მანიფესტი. მარქსისა და ენგელსის ცნობილი მოწოდება „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. რუსმა პროლეტარიატმა აჩვენა თავისი ძალა იმპერიას და იგი ბეჭებზე დასცა. **ლენინისა** და **ტროცკის** მსოფლიო პერმანენტულმა რევოლუციამ ჩაილურის წყალი დალია.

**„ლენინი მარქსისტი არასოდეს ყოფილა, არც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში და არც 1917 წელს. ლენინმა თავისი მოძღვრება — ლენინიზმი, ბლანკიზმზე დააფუძნა, თუმცა უფრო სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ლენინმა ბლანკიზმიდან აიღო მხოლოდ ცუდი, ისევე, როგორც, მხოლოდ ცუდი აიღო ანარქიზმიდან, რუსული ნაროდნიკული სოციალიზმიდან, მარქსიზმიდან. ვლადიმერ ლენინი ბლანკისტი არ იყო იმიტომ, რომ ბლანკიზმში უარყო მთავარი — გადატრიალების განხორციელება დიდი სისხლისღვრის გარეშე; ლენინი ანარქისტი არ ყოფილა, იმიტომ, რომ მას არ ჰქონია მასების რწმენა; ლენინი ნაროდნიკი არ ყოფილა, იმიტომ, რომ სოციალურად თანასწორთა საზოგადოების შექმნა მას აზრად არ გაუვლია გონებაში; ლენინი მარქსისტი არ ყოფილა, იმიტომ, რომ მან მარქსიზმში უარყო მთავარი — საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შეუვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფორსირების შეუძლებლობა.**

მაინც რა იყო ყველაზე მეტად მიუღებელი ლენინიზმში? ისტორიული კანონზომიერების უარყოფა, საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კანონების უგულებელყოფა. სწორედ ამით იყო განპირობებული ყველა სხვა უარყოფითი მოვლენა ლენინიზმში (სექტანტიზმი, ექსტრემიზმი, დიქტატურა და ა. შ.). ლენინის ილუზია პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შესახებ სრულიად გაფანტა 1905-1907 წლების რევოლუციამ. რუსეთი ის ქვეყანა იყო, რომელშიც შეიძლებოდა, მეჯინიბე ან გაკრეჭილი ბერი მეფის ტახტზე დამჯდარიყო, მაგრამ რუსეთი ის ქვეყანაც იყო, რომელშიც მეფე-მამის მისიის აღსრულება ყველას არ შეეძლო. რევოლუციამ, მისმა მსვლელობამ და მარცხმა ლენინი, როგორც მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე, გააკოტრა. იგი ახალს ველარაფერს ქმნიდა, თავს ისევ მარქსისტად ასაღებდა, კვლავ ერთ ადგილს ტკეპნიდა. ასეთ ვითარებაში რუსეთში განგებისგან განსაზღვრული მისიის აღსრულებას იწყებს **იოსებ ჯუღაშვილი** (სტალინი). რა ჰქონდა საერთო სტალინის ამ დასკვნებს უკვე ცნობილ სოციალისტურ მიმდინარეობებთან, უფრო კონკრეტულად კი მარქსიზმთან ან ლენინიზმთან? — ძალიან ცოტა, თითქმის უმნიშვნელო რამ. იოსებ სტალინი ახალ სოციალისტურ მიმდინარეობას, ახალ სოციალისტურ მოძღვრებას — **სტალინიზმს** უყრიდა საფუძველს.

**იოსებ სტალინის წინასწარმეტყველება ახდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერია დაანგრია, პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა. იოსებ სტალინის ზებუნებრივმა ნიჭმა და ენერგიამ გასაქანი ჰპოვა და სტალინი თავისი მისიის აღსრულებას შეუდგა.**

**სტალინს ამ მისიის აღსრულება მარქსის მანტიამოსხმულს მოუწია.** იმხანად სტალინს მის მიერ ახალი მოძღვრების შექმნაზე რომ დაეწყო ლაპარაკი, იგი უნდა დაპირისპირებოდა ლენინს, რაც ძალზე გააძნელებდა პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის ბრძოლას. მარქსისტის სამოსელი კი სტალინს სულაც არ უშლიდა ხელს ჩანაფიქრის აღსრულებაში“ *(პროფ. ვახტანგ გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“).*

აქ ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები კომუნისტები. საუბარია იმ ბოლშევიკებზე, რომლებმაც რუსეთი 1917 წლის რევოლუციამდე მიიყვანეს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სტალინის მოხსენება სცილდება მოკვდავი ადამიანის ქმედებას. მას უკვე შიშის განცდა დაკარგული აქვს და ხდება „უშიშარი, ვითარცა უხორცო“.

**მრისხანე 1913 წელს, როდესაც ხმალი ხმალს სცემდა და ქუჩაში სისხლის მდინარეები მიედინებოდა, ემიგრაციიდან ახალჩამოსული ლენინი, როგორც „მკვდარი მკვდარს აეფარაო“, მარქსს ამოეფარა, არადა, ის მარქსისტი არასოდეს ყოფილა.**

„იოსებ სტალინი ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმას ხვეწდა, პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს ითვალისწინებდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1917 წლის მარტიდან ოქტომბრამდე გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი უამრავი ნაშრომი. ლენინმა აშკარად იგრძნო სტალინის უპირატესობა, რადგან სტალინი ჯერჯერობით ლენინს არ ებრძოდა, ლენინის ლიდერობას საფრთხეს არ უქმნიდა და ლენინი სტალინის ნააზრევს აედევნა. ის მდევრის როლში იყო 1917 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით. **ფარულმა ალიანსმა გაამართლა: იოსებ სტალინმა თავისი მისია აღასრულა, ვლადიმერ ლენინმა ბოლშევიკური პარტიის ლიდერობა შეინარჩუნა, ხოლო ორივემ ერთად ბრწყინვალედ მოიგეს — 25 ოქტომბერს რუსეთის მთავრობა ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს, პოლიტიკური პარტიები პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს.**

1917 წლის 25 ოქტომბერს კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალება ტაქტიკური თვალსაზრისით ბრწყინვალედ იყო გააზრებული. დროებით მთავრობას საკმაოდ სერიოზული ძალა (მუშები, ჯარისკაცები, მატროსები) უჭერდა მხარს, მაგრამ იმ დღეს, იმ მომენტში, იმ წუთში დროებითი მთავრობა მაინც მარტო დარჩა. დროებითი მთავრობის „მარტოობა“ დიდხანს არ გაგრძელდებოდა. საათები, შეიძლება წუთები წყვეტდა ყველაფერს. სწორედ ეს „წუთები“ არ გამოჰპარვია სტალინს. სხვა გზით ბოლშევიკები ძალაუფლებას ვერ დაეუფლებოდნენ. ამრიგად, ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკური პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს ან ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს *(პროფ. ვახტანგ გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“).*

სტალინმა 1917 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ერთპიროვნული მმართველობით დაასრულა. მას ამ საქმეში არ დახმარებია არც მარქსი, არც ლენინი და თუნდაც არც **პლეხანოვი,** მაგრამ იმავე დღეს, როგორც კი რევოლუციამ გაიმარჯვა, დაიწყო ახალი რევოლუცია, უფრო რთული, უფრო განუჭვრეტელი და უფრო ორგანიზებული, როგორც საომარი მოქმედების, ისე მორალური და ფინანსური მხარდაჭერის მხრივ. ამ რევოლუციას ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** თორმეტთა შემოსევა უწოდა. **გაჩაღდა ომი, რომლის წამმართველი ძალა, რა თქმა უნდა, გარეშე მტერი იყო, რათა აკვანშივე დაეხრჩოთ თავისუფ-** ▶



**«ამხანაგ სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მოსმენის უნარი — ის ყოველთვის ისმენს საწინააღმდეგო აზრსა და წინადადებებს, თითქოს ყველაზე უმნიშვნელოსაც კი; მუდამ ითვალისწინებს ყველა გარემოებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას»**

**ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკური პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს ან ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს**

**მოსკოვს პატივი რომ სცენ, როგორც დედაქალაქს, ის ლამაზი უნდა გახდეს. უნდა გახსოვდეთ, რომ დედაქალაქი აძლიერებს სახელმწიფოს. ცხადია, შეცდომა დავუშვით, როდესაც მოსკოველებს განვითარების 25-წლიანი გეგმის შედგენის ნება დავრთეთ. შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება და წინასწარ განჭვრეტა ასეთი ხანგრძლივი ვადით. კერძოდ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების გათვალისწინებაც. უარი უნდა ვთქვათ 25-წლიან გეგმაზე. უფრო გონივრული იქნება ათწლიანი გეგმის შემუშავება.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ლებისთვის დაბადებული ათასთავიანი დევი. ათასთავიანი ჩვილის გადასარჩენად რუსეთს კავკასიის მთებზე მიჯაჭვული ამირანი მიეშველა და ქვეყანა არამხოლოდ პურით მოამარაგა, არამედ ბარბაროსებს, რომლებსაც ათასთავიანი ჩვილი აკვანში უნდა მოეკლათ, თავები დააყრევინა.**

1903 წელს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციებად დაყოფის შემდეგაც, ბოლშევიკების პარტიაში კვლავ მოხდა პარტიის წევრთა გათიშვა. რუსი ბოლშევიკები ყოველთვის მტკიცედ იდგნენ რუსულ ნაციონალურ ნიადაგზე და არ თმობდნენ თავიანთ ნაციონალურ და ტრადიციულ ინტერესებს; მაშინ, როდესაც უცხოეთიდან შემოსულმა კომუნისტთა ერთმა ნაწილმა ლიბერალიზმის გზა აირჩია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებშიც შიგადაშიგ გამოერივნენ განსხვავებული ორიენტაციის წარმომადგენლები, ბევრი მტკიცე ბოლშევიკად დარჩა, ზოგიერთმა კი საერთოდ დატოვა ბოლშევიკთა რიგები (მაგალითად **ჩიჩერინიც** გამოდგება).

ბოლშევიკების ფრთას არალეგალურად მართავდა სტალინი, ლიბერალების ფრთას კი — ლენინი და ტროცკი. ამ ორ ფრთას შორის ფარული ომი მიმდინარეობდა ჯერ ლენინის სიცოცხლეში, შემდეგ კი ავადსახსენებელ 37 წლამდე. **ბოლშევიკები განიხილებოდნენ როგორც პატრიოტი, ტრადიციების დამცველი, სამართლიანი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიტიკური რაზმი, რომელმაც კაციანი რუსეთი ბირთვულ სახელმწიფომდე მიიყვანა და სამართლიანობის კუნძულად აქცია.**

1952 წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა შემართებამ სახე იცვალა და მე-19 ყრილობის სარეზოლუციო ნაწილში სიტყვა „ბოლშევიკი“ საერთოდ ამოიღეს და ლიბერალურმა კომუნისტურმა პარტიამ თავისი ადგილი დაიკავა საზოგადოებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და არა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა. გავიდა სულ ოთხი თვე და ბოლშევიკებს მამაც მოუკვდათ. ლიბერალ-მოღალატე **ნიკიტა ხრუშჩოვის** ხელში ბოლშევიკებიცა და ლიბერალი კომუნისტებიც მე-20 ყრილობის დარბაზში ლორი ხრუშჩოვის ძუძუთა გოჭებს დაემსგავსნენ და მის გაბერილ მუცელს ეძგერნენ.

მე-20 ყრილობის ტრიბუნიდან ხრუშჩოვი ქვეყნის გასაგონად გაჰყვიროდა:

**1.** „სტალინმა რუკა არ იცოდა, ფრონტებს გლობუსით ხელმძღვანელობდა!“

მარშლებმა და ფრონტის სარდლებმა გაოგნებულებმა, მაგრამ შეშინებულებმა ვითომ დაიჯერეს.

**2.** „სტალინი ლოთი და მანიაკი იყო!“

სტალინის ახლობლებმა და სულიერმა მეგობრებმა „დაიჯერეს“.

**3.** „სტალინი მშიშარა იყო!“

„დაიჯერეს“ სამოქალაქო ომში მასთან ერთად მებრძოლმა რაინდებმა.

**«ლენინი ანარქისტი არ ყოფილა, იმიტომ, რომ მას არ ჰქონია მასების რწმენა; ლენინი ნაროდნიკი არ ყოფილა, იმიტომ, რომ სოციალურად თანასწორთა საზოგადოების შექმნა მას აზრად არ გაუვლია გონებაში; ლენინი მარქსისტი არ ყოფილა, იმიტომ, რომ მან მარქსისზმში უარყო მთავარი — საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შეუვალობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ფორსირების შეუძლებლობა»**



**4.** „სტალინი უსწავლელი და უცოდინარი იყო!“

„იწამეს“ მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა.

**5.** „სტალინი იყო ნეხვი!“

„დაეთანხმნენ“ ხელოვნების მუშაკები.

**6.** „თქვენც ნეხვი ხართ!“ — გაუმეორა ხელოვნების მუშაკებს ხრუშჩოვმა.

**7.** „თქვენ უნიტაზის ხვრელში ქვევიდან მომზირალი ხალხი ხართ“.

ახლა მოვუსმინოთ მიუმხრობელ ადამიანს — სახალხო კომისარს, რომელიც 1939-დან 1953 წლის თებერვლამდე 80-ჯერ შეხვდა და ესაუბრა სტალინს, ესწრებოდა პოლიტბიუროს სხდომებს, მთავრობის სხდომებს, სტალინს ხვდებოდა ფრონტზე და მშვიდობიანობის პერიოდში. ეს პიროვნება არის **ვიაჩესლავ მალიშევი,** რომელსაც სტალინთან შეხვედრები თავის პირად დღიურში ჰქონდა გადატანილი. მის ჩანაწერებს სათაურად შემდეგი სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული: „ათი წელი გავა და ამ შეხვედრებს კარგად ველარ აღიდგენს მეხსიერება“.

მალიშევის ჩანაწერები მისი სიკვდილის შემდეგ იპოვეს მის პირად სეიფში. ცეკას საერთო განყოფილების გამგის, **ვ. მილინის,** გულისხმიერებითა და მონდომებით ჩანაწერები შეინახეს ცეკას სპეცარქივში. არქივების გახსნის შემდეგ ეს ხელნაწერები მზის სიანთლეზე გამოვიდა. ვნახოთ, რას წერს სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მალიშევი სტალინის შესახებ:

**„13 სექტემბერი, 1939 წელი**

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ქვანახშირის მოპოვებაზე, ქვანახშირის მრეწველობის ცუდი მუშაობის მიზეზებზე და მიუთითა, რომ ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო **ლ.მ. კაგანოვიჩის** უცოდინარობა, სწორად გაანაწილოს ხალხი... ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა ორი მაგალითი, როგორ ცუდად ზრდის ამხანაგი კაგანოვიჩი ხალხს. მაგალითები ეხებოდა ამხანაგებს — **იზოტოვსა და დიუკანოვს.** ამხანაგმა სტალინმა პირდაპირ მიუთითა იმაზე, რომ ეს ამხანაგები არ იყვნენ მზად ქვანახშირის კომბინატის უფროსებად მუშაობისთვის. ისინი კი წარადგინეს ამ თანამდებობებზე. სტალინმა ისევ განსაკუთრებულად მიუთითა იმაზე, როგორ არის საჭირო ხალხის აღზრდა... „კარგი სტახანოველია? — დანიშნე ის შახტის უფროსად, დააკვირდი, დაეხმარე, იმუშაოს, როგორც საჭიროა, შემდგომ შეიძლება, სასწავლებლად გაიგზავნოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი წარდგენა კომბინატისა თუ ტრესტის უფროსად“. ამხანაგმა სტალინმა მიუთითა, რომ სტახანოველი, შახტის უფროსიც კი, მიჩვეულია კონკრეტული ხალხის ხელმძღვანელობას, კომბინატის უფროსმა კი უნდა იცოდეს ბალანსი, ფინანსები, სისტემურად უნდა აზროვნებდეს. ეს კი უნდა აღიზარდოს ადამიანებში. ახლა ამხანაგი იზოტოვი და დიუკანოვი უკან უნდა დავწიოთ. დავამახინჯეთ ხალხი და ვინ არის ამაში დამნაშავე? იგივე ხდება გზებისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში. ამხანაგ კაგანოვიჩთან საკადრო არეულობაა. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში იძულებული ვიყავით, აგვეკრძალა ამხანაგ კაგანოვიჩისთვის ყოველგვარი საკადრო ცვლილების განხორციელება. ძალიან ბევრი რამ გვასწავლა მეც და იქ დამსწრე ამხანაგებს სტალინის ამ შესანიშნავმა გამოსვლამ.

**21 დეკემბერი, 1939 წელი**

თავდაცვის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე (სექტემბერში) განიხილებოდა ერთი მნიშვნელოვანი სამთავრობო გადაწყვეტილება. ამხანაგი სტალინი გამოვიდა და თქვა, რომ ამ გადაწყვეტილებას ხელს არ მოაწერს. **„ის დაწერილია ბიუროკრატიული ენით, ხალხის ენაზე ლაპარაკი დაგავიწყდათ. თუ თქვენ ხალხის ენაზე ლაპარაკი დაგავიწყდათ, მე არ დამვიწყებია!“** ეს ერთი თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტია, რომელიც მომაგონდა, მაგრამ ამაში მთელი სტალინია, ნამდვილი სახალხო ბელადი.

ამხანაგი სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მოსმენის უნარი — ის ყოველთვის ისმენს საწინააღმდეგო აზრსა და წინადადებებს, თითქოს ყველაზე უმნიშვნელოსაც კი; მუდამ ითვალისწინებს ყველა გარემოებას და მხოლოდ შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.

**1 მაისი, 1948 წელი**

ვიყავით სადილზე ამხანაგ სტალინთან. ვისადილეთ ბაღში, სუფთა ჰაერზე. მოსკოვის პარტიული კომიტეტის მდივნის, ამხანაგ **პოპოვის** სადღეგრძელოში სტალინმა თქვა: „ხანდახან სადილის დროსაც ვიხილავთ ხოლმე ჩვენ საქმეებს. აი, კიდევ მინდა გამოვთქვა ერთი სურვილი ამხანაგ პოპოვისადმი. მართალია, რომ მოსკოვში გაქრა საზოგადოებრივი ტუალეტები? ამბობენ, რომ ასეა. თუ ასეა, აუცილებელია ამის სასწრაფოდ გამოსწორება. მოსკოვში უნდა მოეწყოს კარგი ტუალეტების საკმარისი რაოდენობა. ქალაქის ცენტრში ტუალეტები მიწისქვეშ უნდა გაკეთდეს. წითელ მოედანზეც აუცილებელია კარგი ტუალეტები. აი, მაგალითად, ხომ არ შეუძლია ხალხს 6-7 საათი რომ იდგეს მავზოლეუმის რიგში და არ განიტვირთოს. ეს ძნელია. ამიტომ ვუსურვოთ ამხანაგ პოპოვს, რომ შესძინოს ქალაქს კარგი საზოგადოებრივი ტუალეტები. დღესასწაულებზე იქ, სადაც ხალხმრავლობაა, ცუდი არ იქნებოდა მოძრავი ტუალეტები ავტომობილებზე“.

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა დალია ჩვენი პოლიტიკის სადღეგრძელო. მან თქვა, რომ თავის დროზე, მე-13 საუკუნეში, რუსებმა დაკარგეს იმიერკარპატეთის უკრაინა და მას შემდეგ ყოველთვის ოცნებობდნენ მის დაბრუნებაზე. სწორი პოლიტიკის წყალობით, ჩვენ შევძელით ყველა სლავური (უკრაინული და ბელორუსული) მიწების დაბრუნება და განვახორციელეთ რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების საუკუნოვანი ოცნება. დავლიოთ ჩვენი პოლიტიკის სადღეგრძელო“.

**17 ივნისი, 1949 წელი**

ტარდებოდა პოლიტბიუროს სხდომა მოსკოვის რეკონსტრუირების 25-წლიანი გეგმის თაობაზე. ბოლოს გამოვიდა ამხანაგი სტალინი და თქვა დაახლოებით შემდეგი: „ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ისეთი კარგად მოწყობილი დედაქალაქი, რომელიც სანიმუშო იქნებოდა. ავიღოთ პარიზი — ეს საყოველთაოდ აღიარებული დედაქალაქია.

ჩვენ გვჭირდება მსოფლიოს ყველა ქალაქისთვის სანიმუშო დედაქალაქი. ჩვენი სახელმწიფოს ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ დედაქალაქად პეტერბურგს. **პეტრე I**-მა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც პეტერბუტრგი გამოაცხადა დედაქალაქად. მართალია, ამას აქვს ახსნა. პეტრეს ეშინოდა ბოიარების მზაკვრობისა მოსკოვში და უნდოდა მათი ზეგავლენის აღკვეთა. ამბობენ, რომ გერმანელების სიახლოვემ პეტერბურგთან 1918 წელს აიძულა ლენინი, დედაქალაქი მოსკოვში გადაეტანა. არა. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ფიქრობდა მოსკოვის დედაქალაქად გამოცხადებაზე.

**მოსკოვს პატივი რომ სცენ, როგორც დედაქალაქს, ის ლამაზი უნდა გახდეს. უნდა გახსოვდეთ, რომ დედაქალაქი აძლიერებს სახელმწიფოს. ცხადია, შეცდომა დავუშვით, როდესაც მოსკოველებს განვითარების 25-წლიანი გეგმის შედგენის ნება დავრთეთ. შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება და წინასწარ განჭვრეტა ასეთი ხანგრძლივი ვადით. კერძოდ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების გათვალისწინებაც. უარი უნდა ვთქვათ 25-წლიან გეგმაზე. უფრო გონივრული იქნება ათწლიანი გეგმის შემუშავება.** ახლა რამდენიმე შენიშვნა პროექტის არსის შესახებ. მოსკოვის უმეტესი ნაწილი 8-10-სართულიანი სახლებით უნდა განაშენიანდეს. ქალაქის 25-30% კი — 12-14 სართულიანით. ეს უფრო ეკონომიური იქნება, ვიდრე წინადადება მოსკოვის 4-5 სართულიანი სახლებით განაშენიანების შესახებ. მრეწველობის განვითარება მოსკოვში უნდა შეჩერდეს, ხოლო საწარმოები, რომლებიც ქალაქს აბინძურებს, ქალაქიდან უნდა გავიტანოთ. საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების აშენებას უნდა მივაწვეთ“.




# ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

დემოკრატია ამერიკულად

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცნობილი დაჯგუფება — PROUD BOYS-იც („ამაყი ბიჭები“) მონაწილეობდა შტურმში, — ვარაუდობენ პროკურორები და სამართალდამცველებმა ამ დაჯგუფების 6 წევრი უკვე დააპატიმრეს, მათ შორის ერთ-ერთი ლიდერი ჯოზეფ ბიგსი. ყოფილი სამხედრო თითქოს ასამდე ადამიანს ხელმძღვანელობდა შტურმის მომენტში. PROUD BOYS-ი დონალდ ტრამპის მხარდამჭერია და დაპირისპირებულია მემარცხენე აქტივისტებთან.**

# ჩაუშვი მამა!

## როგორ აპატიმრებენ და სჯიან კაპიტოლიუმის შტურმის მონაწილეებს

**ასობით დაპატიმრებული, 5 დაღუპული, 2 თვითმკვლელობა — ასეთია შედეგები ამერიკელთა უპრეცედენტო მცდელობებისა, ძალით შეეხსენებინათ ყველასთვის არჩევანი, რომელიც ნოემბერში გააკეთეს. კაპიტოლიუმის შტურმიდან 3 კვირის შემდეგ პოლიცია კვლავ განაგრძობს ბრალდების წარდგენას შფოთისთავებისთვის. მათ შორის არიან ულტრამემარჯვენე თვალსაზრისის მომხრენი, დონალდ ტრამპის ფანატიკოსი მიმდევრები და, უბრალოდ, უცნაური პიროვნებები. როგორ აგებენ ისინი პასუხს ჩადენილის გამო?**

### სასჯელი არ დააყოვნებს

„სპორტდარბაზის მფლობელს ვიქტორვილიდან ბრალდება წაუყენეს“, „ფედერალებმა ილინოისეული მამაკაცი დააკავეს“, „სან-ანტონიოდან ორი პირი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა“ — ასეთი ცნობები ვაშინგტონში 6 იანვარს მომხდარი მოვლენების მონაწილეთა დაპატიმრების შესახებ ყოველდღიურად ვრცელდება. სულ იდენტიფიცირებულია 400 ადამიანი, დაპატიმრებულია 150 და, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ეჭვმიტანილთა სია ყოველ საათში იზრდება.

„კოლეგები სამართალდამცავი ორგანოებიდან ყველაფერს აკეთებენ“, — განაცხადა კოლუმბიის ოლქის გენპროკურორმა **მაიკლ შერვინმა.** ამას ხელს უწყობენ რიგითი ამერიკელებიც: **ბევრი ენთუზიაზმით გამოეხმაურა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თხოვნას, დაესმინათ ნაცნობები, რომლებიც შტურმში მონაწილეობდნენ. სულ ბიუროში შევიდა 200 ათასზე მეტი განცხადება, მათ შორის კანონის დამრღვევთა ნათესავებისგან“.**

**„ინციდენტი ისეთი აღმაშფოთებელია, რომ ზოგიერთმა თქვენგანმა მეგობრები და ოჯახის წევრებიც კი „ჩაუშვა“ ,** — მიმართა გფბ-ს წარმომადგენელმა **სტივენ დ’ანტუონომ** თამემამულეებს, — ასეთი არჩევანი მტკივნეულია, მაგრამ თქვენ მაინც აიღეთ ტელეფონები და აკრიფეთ ნომერი, იმიტომ, რომ იცოდით: ეს მართებული გადაწყვეტილებაა“.

### ტეხასელი ჰავლიკ მოროზოვი

18 წლის **ჯეკსონ რეფიტმა** კაპიტოლიუმის შტურმში თავისი მამის მონაწილეობის შესახებ პოლიციას აცნობა, შემდეგ ოჯახთან კავშირი გაწყვიტა და მიიმალა. **„მე უნდა ვაჩვენო ადამიანებს, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს მოწოდებაზე გამოხმაურება ნორმალური ამბავია. სწორ გზას მორალური კომპასი გვიჩვენებს“,** — თქვა ჯეკსონ რეფიტმა ტელეკომპანია ABC News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ყმაწვილმა ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისმა მამამ ოჯახში მოყვა, როგორ შეიარაღდა და წავიდა დედაქალაქში ქვეყნის დასაცავად და ყველაფერს იღებდა კამერით, რომელიც ჩაფხუტზე ჰქონდა მიმაგრებული.

**„ეს მოხვდა ყველა ახალი ამბების გამოშვებაში. თქვენ, ალბათ, ნახეთ ის — ლურჯ ქურთუკში, ჩაფხუტში კამერითა და ჯავშანჟილეტით“,** — შეახსენა ტელემაყურებელს რეფიტმა და დასძინა: „მოვლენების ადგილიდან მამა ისეთ ეს-ემ-ესებს წერდა, რომ ჩანდა, აღფრთოვანებული იყო“.

მამაკაცი, რომელიც შტურმიდან მეათე დღეს დააპატიმრეს, თითქოს შვილს ემუქრებოდა და მოითხოვდა, წაეშალა ყველაფერი, რასაც მისი კომპრომეტაცია შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში „გააკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა“. რეფიტმა ეს სიტყვები სიცოცხლისთვის სახიფათო მუქარად შეაფასა. მისი თქმით, დედამ და დამ არაფერი იცოდნენ, სანამ ტელეეკრანზე მისი ინტერვიუ არ ნახეს. **ბიჭი ახლა შიშობს, რომ სამუდამოდ გააგდებენ სახლიდან და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის გადახდას ველარ შეძლებს, ამიტომ ე.წ. კრაუდფანდინგურ** (სახალხო დაფინანსების) პლატფორმა GoFundMe-ზე სასწრაფოდ შექმნა აკაუნტი და ახლა ხალხს სთხოვს ფულის გადარიცხვას. რამდენიმე დღეში თითქმის 60 ათასი დოლარი შეაგროვა. რეფიტის დედამ დაადასტურა, რომ მამა დაემუქრა შვილებს. თითქოს ეთქვას: „თუ დამასმენთ, თქვენ გამყიდველები იქნებით, ასეთებს კი ხვრეტენ“. ამასთანავე, ქალი ხშირად იმეორებდა, რომ მისი ქმარი მოსიყვარულე მამა, ერთგული მეგობარი, ნამდვილი პატრიოტია და არავის უფიქრია, რომ მისი სიტყვები რეალური საფრთხის შემცველია.

გაირკვა, რომ მამაკაცი წევრია ე.წ. სამპროცენტიანთა ორგანიზაციისა, რომელიც ულტრამემარჯვენეთა გასამხედროებული დაჯგუფებაა. ამ დაჯგუფების წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ ტირანიისგან იცავენ ქვეყნის ფუნდამენტურ ფასეულობებს. დაჯგუფების დასახელება მომდინარეობს მცდარი მტკიცებულებისგან, რომ აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ბრიტანელების წინააღმდეგ მხოლოდ ამერიკაში გადასახლებულთა 3 პროცენტი იბრძოდა.

ასეა თუ ისე, სპეცსამსახურებმა გამოააშკარავეს ბევრი რადიკალური გაერთიანება, რომლებიც 6 იანვარს კონგრესის შენობასთან გაემართნენ თავიანთი თვალსაზრისის დასაცავად.

### მემარჯვენეთა საქმე

**ჯესიკა უტოკინსმა, დონოვან კოულმა და თომას კოლდუელმა, იუსტიციის სამინისტროს დასკვნით, ჯერ კიდევ 2020 წლის 6 ნოემბერს მოილაპარაკეს, რომ კონგრესისთვის ხელი შეეშალათ მუშაობაში. სამივე პირი ორგანიზაცია „ფიცის შემნახველთა“ (OATH KEEPERS) წევრია. მათ უკვე წაუყენეს შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდება. გამოძიების ვარაუდით, ისინი კაპიტოლიუმზე შეტევისას კოორდინირებულად მოქმედებდნენ. ახლა მათ 20 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.**



დონალდ ტრამპის მომხრეთა აქცია

**«ბევრი ენთუზიაზმით გამოეხმაურა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თხოვნას, დაესმინათ ნაცნობები, რომლებიც შტურმში მონაწილეობდნენ. სულ ბიუროში შევიდა 200 ათასზე მეტი განცხადება, მათ შორის კანონის დამრღვევთა ნათესავებისგან»**



მამის ჩამშვები ჯეკსონ რეფიტი

უფრო ცნობილი დაჯგუფება — Proud Boys-იც („ამაყი ბიჭები“) მონაწილეობდა შტურმში, — ვარაუდობენ პროკურორები და სამართალდამცველებმა ამ დაჯგფუების 6 წევრი უკვე დააპატიმრეს, მათ შორის ერთ-ერთი ლიდერი **ჯოზეფ ბიგსი.** ყოფილი სამხედრო თითქოს ასამდე ადამიანს ხელმძღვანელობდა შტურმის მომენტში. Proud Boys-ი დონალდ ტრამპის მხარდამჭერია და დაპირისპირებულია მემარცხენე აქტივისტებთან. ორგანიზაციის კიდევ ერთმა წევრმა „ტვიტერში“ გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც პარლამენტის შენობაში სიგარეტითაა გამოსახული. ფოტოს ჰქონდა წარწერა: „სალამი კაპიტოლიუმიდან“. ის ჰონოლულუში დააპატიმრეს, როცა ვაშინგტონიდან დაბრუნდა.

**შტურმის მონაწილეებს აკავშირებენ კონსპიროლოგიურ მოძრაობა QANON-თანაც. ამ მოძრაობის მიმდევრები ვარაუდობენ, რომ ტრამპი საიდუმლო გუნდთან ერთად ებრძვის ეშმაკის თაყვანისმცემლებს — პედოფილებს დემოკრატიული პარტიიდან, მედიაინდუსტრიიდან და ჰოლივუდიდან.**

აიოველი **დაგ ჯენსენი** კაპიტოლიუმში შეიჭრა მაისურით, რომელსაც ეწერა QAnon-ის სლოგანი: Trust the Plan („გწამდეს გეგმის“). მას 5 მუხლით წაუყენეს ბრალდება, მათ შორის არის შენობაში უკანონო შეჭრა, ხულიგნობა და სამართალდამცველებისადმი დაუმორჩილებლობა.

ამ მოძრაობას მიეკუთვნება **ჯეიკობ ჩენსლი**, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც Q-Shaman-ი (შამან Q). ის არის ცნობილი ნახევრად შიშველი მამაკაცი, ბეწვიანი მოსაცმელითა და რქებით თავზე, რომელსაც ეჭირა ბანერი წარწერით „მე გამომგზავნა Q-მ“ და რომლის ფოტომაც მსოფლიო მოიარა. ციხეში მან უარი თქვა პატიმრის საკვებზე და განაცხადა, რომ, შამანური დიეტის შესაბამისად, იკვებება მხოლოდ ბიოპროდუქტებით. გავრცელებული ინფორმაციით, ჯეიკობ ჩენსლი ადრე ფლოტში მსახურობდა, მაგრამ დაითხოვეს, რადგან უარი განაცხადა ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრაზე.



ტრამპის მომხრეები კაპიტოლიუმში

### ჩვეულებრივი ადამიანები

კაპიტოლიუმზე შტურმში ისეთებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან საეჭვო ორგანიზაციებთან. მედიასაშუალებების ყურადღება მიიპყრო **რობერტ ჰეკერმა,** მამაკაცმა, რომლის მაისურზეც ეწერა „Camp Auschwitz“ („ბანაკი აუშვიცი (ოსვენციმი — ნ.კ.)“. ის ვირჯინიაში დააპატიმრეს ფედერალურ შენობაში უკანონო შეჭრის გამო. რატომ აირჩია მან ასეთი სამოსი და სლოგანი კაპიტოლიუმში შეჭრისას, უცნობია, მაგრამ, ზოგიერთის აზრით, ჰეკერს სურდა, ეჩვენებინა, რომ უარყოფს ჰოლოკოსტს.

„ყმაწვილი კათედრიდან“ — **ადამ ჯონსონი შეეცადა, კაპიტოლიუ-** ▶

## შტურმის მონაწილეებს აკავშირებენ კონსპიროლოგიურ მოძრაობა QANON-თანაც. ამ მოძრაობის მიმდევრები ვარაუდობენ, რომ ტრამპი საიდუმლო გუნდთან ერთად ებრძვის ეშმაკის თაყვანისმცემლებს — პედოფილებს დემოკრატიული პარტიიდან, მედიაინდუსტრიიდან და ჰოლივუდიდან.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


აიოველი დაგ ჯენსენი კაპიტოლიუმში

◀ **მიდან გაეტანა კვარცხლბეკი, რომელზეც სიტყვით გამოსვლისას დგება ხოლმე წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი. ფოტოგრაფიებზე ის ბედნიერ ადამიანად გამოიყურება — იღიმება და ხელს იქნევს.** მისი დაპატიმრების შემდეგ ადვოკატები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ბრალის დამამტკიცებელი ფოტოები ხომ მსოფლიოს თითქმის ყველა გამოცემებში დაიბეჭდა. „არ ვიცი, ეს როგორ ავხსნა, — დაიჩივლა ერთ-ერთმა ადვოკატმა, — მე არ ვარ ჯადოქარი, არც ჩემი კოლეგაა. არსებობს ფოტოგრაფიები, რომლებზეც კლიენტი გამოსახულია ფედერალურ შენობაში სახელმწიფო საკუთრებით ხელში". მამაკაცი 25 ათასი დოლარის გირაოთი გაათავისუფლეს, მაგრამ მას ემუქრება სასჯელი კაპიტოლიუმში უკანონოდ შეჭრისა და სახელმწიფო საკუთრების მიტაცების გამო.

არკანზასელმა **რიჩარდ ბარნეტმა** სახელი გაითქვა ფოტოს წყალობით, რომელზეც ის გამოსახულია ნენსი პელოსის კაბინეტში. ბარნეტი სავარძელში ზის და ფეხები მაგიდაზე აქვს დაწყობილი. ის, აგრეთვე, გადაიღეს ქუჩაში მიმავალი, ხელში საქაღალდით, რომელიც ნენსი პელოსის კაბინეტიდან გამოიტანა, ამიტომ სხვა ბრალდებებთან ერთად მას სახელმწიფო დოკუმენტების მოპარვის ბრალდებასაც წაუყენებენ. **ნენსი პელოსის დაეკარგა კიდევ ერთი ნივთი — ნოუთბუკი. ის 22 წლის პენსილ-**


რობერტ ჰეკერი

**ვანიელმა რაილი უილისმა მოიპარა. ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა ქალის ყოფილმა შეყვარებულმა: რეილის მეგობრებმა მამაკაცს აყურებინეს ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ გააქვს ქალს პელოსის კაბინეტიდან, სავარაუდოდ, კომპიუტერი. სამართალდამცველთა აზრით, ქალს სურდა, ეს ტექნიკური მოწყობილობა რუსეთში მეგობრისთვის გაეგზავნა, რომელიც შემდეგ მას სპეცსამსახურების წარმომადგენლებს გადასცემდა.** გამოძიების ფედერალურ ბიუროში განაცხადეს, უილისს რუსებისთვის ნოუთბუკი არ გადაუცია. რაილი დააპატიმრეს და რამდენიმე მუხლით წაუყენეს ბრალდება, მათ შორის სახელმწიფო საკუთრების ქურდობა და მართლმსაჯულებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ნოუთბუკი ვერ იპოვეს, ქალი კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაათავისუფლეს და ჯერჯერობით შინ იმყოფება დედის მეთვალყურეობის ქვეშ.

დაპატიმრებულთა უმრავლესობას წაყენებული აქვს წვრილმანი დანაშაულის ბრალდება, მაგალითად, კაპიტოლიუმის ტერიტორიაზე უკანონოდ შეჭრა. ასეთი, სულ ცოტა, 74 ადამიანია. მათ 6 თვიდან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ, თუკი კაპიტოლიუმის შეჭრის მომენტში იარაღი ჰქონდათ.

სამართალდამცველების ხელში კი სულ უფრო მეტი სამხილი ხვდება და, როგორც პროკურორები ამბობენ, მძიმე დანაშაულის ჩადენის ბრალდებების რაოდენობა მოიმატებს, მაგალითად, პოლიციელებზე თავდასხმის. უკვე 15 ადამიანს წაუყენეს ეს ბრალდება, ისიც 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ შტურმში დამნაშავენი არიან სამართალდამცველებიც: **კაპიტოლიუმის პოლიცია მზად არ აღმოჩნდა მოვლენების ასეთი განვითარებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა საპროტესტო აქციის შესახებ. სამართალდამცველების დაბნეულობამ 5 ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. განყოფილების ხელმძღვანელი რობერტ კონტი იძულებული შეიქნა, მოებოდიშებინა. კაპიტოლიუმის გადასარჩენად 850 პოლიციელი გაგზავნეს, კიდევ 250 შენობის მისადგომებს იცავდა.**

შეტევის შემდეგ ქალაქში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხაზინას 8,8 მლნ დოლარი დაუჯდა.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


რიჩარდ ბარნეტი ნენსი პელოსის კაბინეტში

# აშშ-ში დააპატიმრეს ქალი, რომელსაც განზრახული ჰქონდა, ნენსი პელოსი მოეკლა


ნენსი პელოსი


ქალი, რომელიც ამბობდა, რომ სურს ნენსი პელოსის მოკვლა

**ამერიკელმა სამართალდამცველებმა დააპატიმრეს ორი ქალი, რომლებიც 6 იანვარს კაპიტოლიუმის შტურმში მონაწილეობდნენ. სამართალდამცველთა განცხადებით, ერთ-ერთ ქალს განზრახული ჰქონდა, მოეკლა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი, — იუწყება The Washington Post-ი.**

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მოიპოვა ვიდეო, რომელზეც ქალები: **დონა ბენკროფტი** და **დიანა სანტოს-სმიტი** ლაპარაკობენ თავიანთ სურვილზე, „თავში ესროლონ" **ნენსი პელოსის.**

„ჩვენ შევიჭერით კაპიტოლიუმში... შევედით შიგნით, გავაკეთეთ ჩვენი საქმე... ვეძებდით ნენსის (პელოსის), რათა მის ეშმაკისეულ თავში გვესროლა, მაგრამ ვერ ვიპოვეთ", — ამბობს ქალი ვიდეოში.

დაპატიმრებულ ქალებს წარედგინათ ბრალდება ფედერალურ შენობაში უკანონოდ შეჭრისა და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო.

**News-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# ამერიკელი კონგრესმენი კორონავირუსით დაინფიცირდა Ptizer-ის ვაქცინით ორჯერ აცრის შემდეგ



**The Washington Post-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის კონგრესის წევრს მასაჩუსეტსის შტატიდან — სტივენ ლინჩს Ptizer/BioTech-ის ვაქცინით ორჯერ აცრის შემდეგ კორონავირუსი დაუდასტურდა.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ კონგრესმენს ვაქცინის მეორე დოზა ჯო ბაიდენის ინაუგურაციამდე (20 იანვრამდე) გაუკეთეს. ცერემონიის დაწყებამდე მას ტესტირების უარყოფითი პასუხი ჰქონდა.

ლინჩი ამჟამად თავს ნორმალურად გრძნობს და ექიმების მითითებებს ასრულებს.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძე**

# მაკრონი: დიდი ბრიტანეთი ერთდროულად ვერ იქნება ევროკავშირისა და აშშ-ის ახლო მოკავშირე

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტთა დიდი ჯგუფისთვის (მათ შორის იყო The Cuardian-ის წარმომადგენელიც) ინტერვიუ მისცა.**

ინტერვიუში ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ქვეყნის საგარეოპოლიტიკური კურსი ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ, რადგან გაერთიანებული სამეფო ვერ შეძლებს, ერთდროულად იყოს აშშ-ისა და ევროკავშირის ახლო მოკავშირე.

**news-front.foto-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



ინტერვენციონიზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიეტნამში ამერიკელების შეჭრის შემდეგ ჯონ კენედი და ლინდონ ჯონსონი ამტკიცებდნენ, რომ ამერიკელი სამხედროები ეწინააღმდეგებიან ჩრდილოეთ ვიეტნამის ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, მაგრამ ვიეტნამელები თავს მიიჩნევდნენ ერთიან ერად (და მიიჩნევენ), რომელიც, პოლიტიკური მოსაზრებებით, ხელოვნურად იყო გაყოფილი ცივი ომისდროინდელი ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად.**

# Strategist-ი: რამ შეიძლება აიძულოს ბაიდენი, დაიწყოს ინტერვენცია უცხო ქვეყანაში

**ამერიკის საგარეო პოლიტიკას აქვს ტენდენცია, საგარეო და საშინაო პრობლემებს შორის აქეთ-იქით იხრებოდეს. მაგალითად, ჯორჯ ბუში-უმცროსი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის მომხრე იყო; მისი შემცვლელი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე, ბარაკ ობამა, შედარებით ნაკლებად მიისწრაფვოდა ინტერვენციებისკენ; დონალ ტრამპი კი სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მომხრე იყო. ამ ფონზე აქტუალურია კითხვა — რას უნდა ველოდოთ ჯო ბაიდენისგან? — წერს გამოცემა The Strategist-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მიმომხილველი ჯოზეფ ნაი.**






ამერიკელები ვიეტნამში

1821 წელს **ჯონ კუინსი ადამსმა** (აშშ-ის მე-6 პრეზიდენტმა — გ. გ.) განაცხადა, რომ აშშ „საზღვარგარეთ არ ეძებს მონსტრებს, რომლებიც უნდა გაანადგუროს, რადგან ქვეყანა ყველას უსურვებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და არის მხოლოდ თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველი“. მაგრამ აშშ-ს კარგა ხნის წინათ ჩამოუყალიბდა ინტერნაციონალური ტრადიციები.

ისეთი თვითგამოცხადებული რეალისტიც კი, როგორიც იყო **თეოდორ რუზველტი,** ამტკიცებდა, რომ უკიდურეს შემთხვევებში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ჩარევა „შეიძლება იყოს გამართლებული და მართებული“.

**ჯონ ფიტცჯერალდ კენედიმ** ამერიკელებს მოუწოდა, საკუთარ თავს ჰკითხონ, რისი გაკეთება შეუძლიათ არა მხოლოდ სამშობლოსთვის, არამედ სრულიად მსოფლიოსთვის.

**ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ მონაწილეობდა 7 ომსა და სამხედრო ინტერვენციაში, რომელთაგან არც ერთი არ იყო პირდაპირ დაკავშირებული დიდი სახელმწიფოების მეტოქეობასთან.** **ბუში-უმცროსის** ეროვნული უსაფრთხოების 2006 წლის სტრატეგია მიზნად ისახავდა თავისუფლების მიღწევას მსოფლიო თანამეგობრობაში.

ლიბერალური და ჰუმანიტარული ჩარევა არ არის ახალი ან მხოლოდ ამერიკული ფენომენი. ბრიტანეთშიც, აგრეთვე, მიმდინარეობდა კამათი ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე მონობასთან საბრძოლველად, კონგოში ბელგიის მიერ ჩადენილი მხეცობისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ოსმალეთის იმპერიის რეპრესიების წინააღმდეგ, მანამდე, სანამ **ვუდრო ვილსონი** (აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი) ჩაერთვებოდა პირველ მსოფლიო ომში, რათა „მსოფლიო უსაფრთხო ყოფილიყო დემოკრატიისთვის“. ასე რომ, **პრობლემა, რომელსაც ბაიდენი შეეჯახება, უპრეცედენტო არ არის.**

რა უნდა გააკეთოს აშშ-მა, სხვა სახელმწიფოს საზღვარი რომ გადაკვეთოს? გაეროს წესდებით, 1945 წლიდან შეზღუდულია ძალის გამოყენება უშიშროების საბჭოს სანქციებით. უშიშროების საბჭოში, აშშ-ის გარდა, კიდევ 4 მუდმივ წევრს (რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთსა და საფრანგეთს — გ.გ.) აქვს ვეტოს უფლება.

**რეალისტები ამბობენ, რომ სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს, თუკი ის თავიდან აგვაცილებს ძალთა ბალანსის დარღვევას, რომელზეც დამოკიდებულია მსოფლიო წესრიგი. ლიბერალები და კოსმოპოლიტები ამტკიცებენ, რომ ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს უფრო ადრინდელი ჩარევის საპასუხოდ, გენოციდისა და სხვა ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.**

პრაქტიკაში კი ამ პრინციპებს ერთმანეთს ხშირად უთავსებენ უცნაური სახით. **ვიეტნამში ამერიკელების შეჭრის შემდეგ ჯონ კენედი და ლინდონ ჯონსონი ამტკიცებდნენ, რომ ამერიკელი სამხედროები ეწინააღმდეგებიან ჩრდილოეთ ვიეტნამის ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, მაგრამ ვიეტნამელები თავს მიიჩნევდნენ ერთიან ერად (და მიიჩნევენ), რომელიც, პოლიტიკური მოსაზრებებით, ხელოვნურად იყო გაყოფილი ცივი ომისდროინდელი ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად.** დღეს აშშ-ს კარგი ურთიერთობა აქვს ვიეტნამთან.

სპარსეთის ყურეში პირველი ომის მიმდინარეობისას პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) სამხედრო ძალა გამოიყენა ქუვეითიდან ერაყის ჯარების განსადევნად და რეგიონში ძალებით ბალანსის შესანარჩუნებლად, მაგრამ მან ეს გააკეთა კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ გაეროს რეზოლუციის გამოყენებით. ის თავს რეალისტად მიიჩნევდა და უარი თქვა ჩარევაზე, რათა შეეჩერებინა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა. მაგრამ, როცა 1992 წლის დეკემბერში ამერიკულმა ტელევიზიებმა აჩვენეს საშინელი კადრები, როგორ შიმშილობს სომალიში მოსახლეობა, ამ ქვეყნის დედაქალაქ მოგდიშოში ჯარი გაგზავნა ჰუმანიტარული ოპერაციის ჩასატარებლდა.

ეს პოლიტიკა ჩაფლავდა: 1993 წლის ოქტომბერში ბუშის მემკვიდრე **ბილ კლინტონის** მმართველობის პერიოდში სომალიში 18 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა — ამ მოვლენამ 6 თვის შემდეგ ხელი შეუშალა ამერიკის ძალისხმევას, რუანდაში გენოციდი შეეჩერებინა.

რადგან საგარეო პოლიტიკა ისეთ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, როგორც საშინაო პოლიტიკა, ამერიკელი საზოგადოება ემხრობა რეალიზმს. ელიტები კი უფრო ინტერვენციონისტურ პოზიციას იკავებენ, ვიდრე საზოგადოება, რის გამოც ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ ელიტები უფრო ლიბერალურები არიან, ვიდრე რიგითი მოქალაქეები.

ყველაფრის მიუხედავად, **როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, საზოგადოება მხარს უჭერს საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ მოქმედებებს, ადამიანის უფლებების დაცვასა და ჰუმანიტარულ დახმარებას. თავის წიგნში „აქვს თუ არა მნიშვნელობა მორალს? პრეზიდენტები და საგარეო პოლიტიკა რუზველტიდან ტრამპამდე“ ნაიმ აჩვენა, რომ არ არსებობს ერთობლივი კონცეფცია, რომელიც მიესადაგება ყველა შემთხვევას. ცოტა მიზეზია იმისა, რომ საზოგადოებას ექნება ერთობლივი თანმიმდევრული აზრი.**

მაგალითად, სპარსეთის ყურეში დაწყებულ მეორე ომში ინტერვენციის ამერიკული მოტივები არაერთმნიშვნელოვანი იყო. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები კამათობდნენ, ჰქონდა თუ არა რეალისტური ან ლიბერალური ჩარევის ხასიათი 2003 წელს ერაყში შეჭრას. ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის ზოგიერთი საკვანძო ფიგურა, ისეთები, როგორებიც არიან **რიჩარდ ჩეინი** და **დონალდ რამსფელდი,** რეალისტები იყვნენ, შეშფოთებულნი იმით, რომ სადამ ჰუსეინს ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი; ასევე იმით, რომ ჰუსეინის მოქმედების გამო შესაძლებელი იყო, ძალთა ბალანსი დარღვეულიყო რეგიონში, მაგრამ ადმინისტრაციაში მყოფმა „ნეოკონსერვატორებმა“, რომლებიც წარსულში ლიბერალები უფრო იყვნენ, წინა პლანზე წამოწიეს დემოკრატიის განვითარება და აშშ-ის ჰეგემონიის შენარჩუნება. ადმინისტრაციის გარეთ ზოგიერთმა ლიბერალმა ომს ადამიანის უფლებების სფეროში ჰუსეინის საზიზღარი რეპუტაციის გამო დაუჭირა მხარი, თუმცა ბუში-უმცროსის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რადგან გაეროს მხარდაჭერა ვერ მიიღო, როგორც მისმა მამამ სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს.

ფართო თვალსაზრისით, **ჩარევა** მიეკუთვნება ისეთ ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს სხვა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებზე და ეს საქმეები შეიძლება იყოს საინფორმაციო მუშაობა, ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა, ბლოკადა ან კიბერშეტევა, უპილოტო საფრენი აპარატებიდან დარტყმები და სამხედრო ინტერვენცია. მორალური თვალსაზრისით, თუ როგორი სიძლიერის იქნება იძულება, დამოკიდებულია იმაზე, როგორი სიძლიერით ითელება ფეხქვეშ ადგილობრივთა უფლებები და არჩევანის თავისუფლება.



პრაქტიკული თვალსაზრისით, სამხედრო ჩარევა სარისკო ინსტრუმენტია. სხვა ქვეყანაში შეჭრა ერთი შეხედვით რთული არ არის, მაგრამ უპრობლემოდ არასდროს დასრულებულა.

შედეგების თვალსაზრისით, ხშირად საშუალებებიც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მიზნები. **სად გაჩერდება ბაიდენი დემოკრატიის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებებისთვის დაცვისკენ მიმართულ ინტერვენციის სპექტრში? იმედს იძლევა ის, რომ ადრე ბაიდენს ახასიათებდა საღი აზრისა და მომხდარის გაგება-გაანალიზება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ სიურპრიზებიც ხდება და მოვლენებს თავისი გააქვს.**

**ჩარევა მიეკუთვნება ისეთ ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენს სხვა სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებზე, ეს საქმეები კი შეიძლება იყოს საინფორმაციო მუშაობა, ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერა, ბლოკადა ან კიბერშეტევა, უპილოტო საფრენი აპარატებიდან დარტყმები და სამხედრო ინტერვენცია. მორალური თვალსაზრისით, თუ როგორი სიძლიერის იქნება იძულება, დამოკიდებულია იმაზე, როგორი სიძლიერით ითელება ფეხქვეშ ადგილობრივთა უფლებები და არჩევანის თავისუფლება**

regnum.ru-ზე
გამოქვეყნებული მასალის
მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პოლიციამ ქალის დამწვარი სხეული იპოვა

**ცნობილი ადვოკატი იჯარის ფულის გამო გააუპატიურეს და დაწვეს. ეს შოკისმომგვრელი შემთხვევა ბრაზილიაში მოხდა. დამწვარი გვამი 50 წლის იურისტი ქალის — პატრისია სა ფორტესისა 23 იანვარს იტაიპავას რაიონში (პეტროპოლისი, რიო-დე-ჟანეიროს შტატი) იპოვეს.**

ქალი წინა ღამეს გაიტაცეს. მისი ავტომანქანა ერთ-ერთი მიყრუებული რაიონის შესასვლელთან იპოვეს. პოლიციამ ცხელ კვალზე ოპერატიულად შეძლო სავარაუდო დამნაშავის დაპატიმრება: იგი აღმოჩნდა კალატოზი **როჟერო სანტოსი,** რომელიც თავისი საყვარლის სახლში იმალებოდა, მაგრამ პოლიციამ მალე იპოვა. „დამნაშავემ აღიარა დანაშაული", — იუწყება ადგილობრივი გამოცემა Metropoles. გაირკვა, რომ სანტოსი თავს დაესხა ადვოკატს იჯარის ფულის ასაღებად, მაგრამ, რადგან პატრისიას ნაღდი ფული თან არ ჰქონდა, გაიტაცა იგი და გააუპატიურა. შემდეგ რამდენჯერმე ჩაარტყა ქალს თავში, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. დანაშაულის კვალის დასაფარავად კალატოზმა გვამს მანქანების საბურავები დააყარა და ცეცხლი წაუკიდა.

დამნაშავეს დიდი ხნით მოუწევს ციხეში ჯდომა.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## პირველი ნაბიჯი ჯოჯოხეთის უფსკრულისკენ

**2021 წლის 20 იანვარს აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „გენდერული იდენტურობის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის თავიდან აცილების შესახებ", — იუწყება თეთრი სახლის ვებგვერდი.**



ბრძანებულების თანახმად, „ყველა ადამიანს უნდა მივუდგეთ კანონის საფუძველზე, მათი გენდერული იდენტურობის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად".

„ყველა ადამიანს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. მიუხედავად იმისა, ვინ არის და ვინ უყვარს. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სწავლის საშუალება, არ უნდა აღელვებდეთ, რომ საშუალებას არ მისცემენ, ისარგებლოს ტუალეტით, გასახდელით ან დაკავდნენ სასკოლო სპორტით".

ტუალეტებით სარგებლობის წესების ხსენებას პრეზიდენტის ბრძანებულებაში, უკაცრავად, მაგრამ ძველ საბჭოთა მასობრივი მოხმარების ტუალეტების კედლებზე მიწერილი „უბორნიის პოეტების" ლექსიკის ნიმუშების ყროლი სუნი ასდის:

„Товарищи, друзья
На пол с**ь нельзя,
Для этого есть яма,
Держите ж**у прямо".

უკანალის დასამიზნებლადაა აშშ-ის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულების პათოსი.

ალბათ, ეს პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად ამერიკის საგანმანათლებლო სისტემას — მამათმავლებისთვის კომფორტის უზრუნველყოფა: მოზარდებისთვისაც და უფროსებისთვისაც.

ამასთანავე, „უფროსებს უნდა შეეძლოთ, იმუშაონ თავიანთი პროფესიის მიხედვით, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ არ დაითხოვენ იმის გამო, ვისთან მიდიან სახლში, ან მათი ტანსაცმელი არ შეესაბამება სექსუალურ სტერეოტიპებს", — მითითებულია ბრძანებულებაში.

ცოტაც და, რომ მიეთითებინათ, თავიანთი პროფესიული საქმიანობის დაუბრკოლებლად შესრულებისთვის ქუჩის ნებისმიერ მონაკვეთში დგომის უფლებაც მიეცეთო, გაიხარებდნენ თბილისელი სექსმუშაკები, რომლებსაც ცირკის ახლოს, ტროტუარზე, ხიდის ყურეში საველე „ოფისი" ჰქონდათ მოწყობილი... მაგრამ ვერ მოუსწრო მათ ბაიდენის ბრძანებულებამ, რომელსაც ქართული ინტერპრეტაციით ჩვენებიც გადმოიღებდნენ: ტირაჟიდან გამოვიდნენ ის უბედური მახინჯმანები, ასეთი „სტავკა" რომ ჰქონდათ: „სეანსი" 5 მანეთი.

„სტავკაც" და ის ადგილიც გაუქმებულია: ნეოლიბერალური თავისუფლების კუნძული ყოფილ ჩელუსკინელების ქუჩაზე...

აშშ-ის პრეზიდენტი წუხს იმის გამო, რომ „შავკანიან ამერიკელ ტრანსგენდერებს სამუშაო ადგილზე ხელს უშლის გაუმართლებლად მაღალი დონე დისკრიმინაციის, ძალადობის ისეთი დონე, რომელიც მსხვერპლით მთავრდება".

ჰოოო! ეს საკითხი ჩვენც გვაღელვებს, რადგან შავკანიანებში ვინ ვინ არის, გარკვევა კი არა, მშობლიური პოლიტიკური ტრანსგენდერების ამოცნობაც გაგვჭირვებია.

არადა, ცოტანი არ არიან.

# ვინ არიან ისინი, ამორალური და ანტიბუნებრივი სამყაროს მშენებლები?



**თანამედროვე დასავლური მედია უსიტყვოდ ემორჩილება იმ ადამიანების კორპორაციების მკაცრ კონტროლს, რომლებიც ქმნიან გლობალურ ჩრდილოვან მთავრობას.**

სრული უფლება გაქვთ, იუმორით ან ფილოსოფიურად აღიქვათ მსჯელობა მსოფლიო მთავრობის შესახებ, მაგრამ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს საფინანსო სისტემას მართავენ, მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საშუალებებს ფლობენ, ხალხებისა და მსოფლიოს ბედიღბალს განაგებენ საკუთარი კაპიტალის დაცვისა და გამრავლების პრინციპიდან გამომდინარე, ერთმანეთთან ცალსახად ურთიერთობენ და არაჩვეულებრივად დიდი გავლენა აქვთ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შესაბამისად, ამერიკული მასმედია არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე რეგულარულად, მეთოდურად იწყებს ამერიკელი საზოგადოების შიგნიდან დაძაბვას, მთელი კლასიკური მანქანა, კლასიკური მედიით დაწყებული და მაუწყებელი თავებით დამთავრებული, დაპირისპირებული ბანაკების შექმნასა და პოლარიზაციაზეა ორიენტირებული. ეს ვიღაცას, რა თქმა უნდა, სჭირდება!

2004 წელს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, შუბლებით რატომ აჯახებენ ერთმანეთს დასავლელი ტექნოლოგები უკრაინაში არსებულ ორ ბანაკს. მხოლოდ 10 წლის შემდეგ გავიგეთ, ვის რატომ და რისთვის სჭირდებოდა ასეთი რამ. ნებისმიერი დაპირისპირების ორგანიზატორმა იცის, ფაქტობრივად კი არა, არამედ მათსავე მასმედიაში ვინ დაარწმუნებს მასებს მაინცადამაინც საკუთარ გამარჯვებაში, ხოლო ვინც შეეწინააღმდეგება, მათ მორალურად და ფიზიკურად მოსპობენ.

შედეგად გაიმარჯვეს ყველა ჯურის ნაციონალისტებმა, ჰომოსექსუალებმა და სოროსის ძუძუნაწოვებმა; ნორმალურ ადამიანებს კი, რომლებსაც ახსოვთ და პატივისცემით ეპყრობიან ისტორიას, გააჩნიათ სინდისი და ღირსება, ანადგურებენ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად.

მედიის სივრცეში პანდემიის შედარებით სწორად გამოყენების ფონზე, იმ იმიტაციური პროცესის ფონზე, რომელსაც აშშ-ში არჩევნები ეწოდება, ბაიდენის დანიშნული ადმინისტრაციის ფონზე და არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ — მთელ მსოფლიოში შეგნებულად და მეთოდურად პოლარიზებული ბანაკების შექმნის ფონზე, ყალიბდება მყარი თვალსაზრისი, რომ დგება დაპირისპირების ეტაპი ნორმალურებსა და მათ შორის, ვინაც უარი თქვა მორალზე, ბუნების მიერ ყველა საკითხში შთანერგილ საბაზო პრინციპებზე.



როცა ხედავ, როგორ ეხმარება ერთ მხარეს ყველა — მასმედიაც, მსხვილი ბიზნესიც, რომელიც მსოფლიოს მართავს, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში ფსონი დადებულია გონებაშეზღუდულობაზე, გარყვნილებაზე, პედერასტობაზე და ა.შ. და ა.შ.

რჩება შთაბეჭდილება, რომ იქმნება ახალი ტრენდი, როცა ხელისუფლების ორგანოები ფორმირდება მხოლოდ დებილებისგან, რომელთა მართვაც გაცილებით იოლია, ხოლო ადამიანებად მიიჩნევენ მხოლოდ მათ, რომლებსაც სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება გიჟები ვუწოდოთ. და **სწორედ მედია და მის უკან მდგომი ადამიანები განსაზღვრავენ, ვინ არის პრეზიდენტი, ვინ — არა; ვისი სიცოცხლეა მნიშვნელოვანი, ვისი კი — არა; რა ფერის უნდა იყოს ფეხბურთელთა გუნდის კაპიტნის სამკლაური და რომელი ბაფთა აიკრძალოს.**

დგება უკანასკნელი ფაზა სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებისა, როცა არც ერთი საშუალება სამარცხვინო არ იქნება, რადგან ჩვენმა მტრებმა ფსონი დადეს ამორალურ და ბუნების საწინააღმდეგო სამყაროზე, რომელიც, როგორც მათ სჯერათ, ყველასთვის კომფორტული იქნება.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როინ მეტრეველი: დავითგარეჯის მონასტერთა სრული კომპლექსის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა და კუთვნილება უძველესი დროიდან დღემდე აქსიომური ჭეშმარიტებაა და ვიმედოვნებთ სახელმწიფოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც არსებული მასალის (წყაროები, ლიტერატურა, ტრადიცია) გათვალისწინებით სამართლიანი იქნება.**

# მელაშვილს იმედი აქვს, გაიმარჯვებს, თუ საქართველო ტერიტორიას დაკარგავს?!

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ამ დღეებში საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია აზერბაიჯანთან სადემარკაციო-სადემილიტაციო კომისიის წევრთა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებამ. საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „მნიშვნელოვანია არა ის, თუ პიროვნულად ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, არამედ გვაინტერესებს, მართლა ასხვისებს თუ არა ვინმე სახელწიფოს მიწებს, გვაქვს თუ არა შესაძლებლობა ამ პრობლემის მოგვარებისა“. ეკლესია იმედოვნებს, რომ „გამოძიება ისეთივე შემართებითა და მიზანდასახულობით მიმდინარეობს, როგორითაც დაიწყო და გააჩინა იმედი“. მთავრობა კი გვატყობინებს, რომ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის სამთავრობო კომისიების ექსპერტებმა საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთები მოინახულეს და გეოდეზიური აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს, ხოლო ექსპერტთა მუშაობის შედეგები განსახილველად წარედგინება საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის კომისიებს სხდომაზე განსახილველად.

**მაგრამ რა უნდა განიხილონ, როცა ორივე მხარემ კარგად იცის, რომ დავითგარეჯა საქართველოსია, განსხვავებით ივერი მელაშვილისგან, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია საქართველო-აზერბაიჯანს შორის სადავო სივრცეს არ წარმოადგენს და, როგორც თვითონ ამბობს, იმედი აქვს, გაიმარჯვებს (?!). ე. ი. თუ საქართველო ტერიტორიას დაკარგავს, მელაშვილი და მისნაირები გაიმარჯვებენ?!**

საბედნიეროდ, შადიმანებს საქართველოში არასდროს გაუხარიათ. იმედია, ამჯერადაც ასე იქნება. ქვემოთ კი მკითხველს ვთავაზობთ აკადემიკოს **როინ მეტრეველის** წერილს **„დავითგარეჯა ოდითგანვე საქართველოსი იყო“**, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვის უფრო დაეჯერება.



**აქსიომური ჭეშმარიტება – გარეჯა, შესაბამისად გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, დასაბამიდან საქართველოსია**

## დავითგარეჯა ოდითგანვე საქართველოსი იყო

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების პრობლემა გასული საუკუნიდან მომდინარეობს. **მიზეზი დავისა XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებაა** (ამის შესახებ ქვემოთ). ამჯერად, ჩვენ გვინდა, ისტორიულ ასპექტში წარმოვადგინოთ აქსიომური ჭეშმარიტება — **გარეჯა, შესაბამისად გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, დასაბამიდან საქართველოსია.**

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, დავითის ლავრა თბილისიდან დაახლოებით 70 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. გარეჯა არის მთა კახეთის ქედზე. მისი სიმაღლე 2500 მეტრამდეა. გეოლოგებს მთის აგებულება წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზედა იურულ-ვალანჟირული ძლიერ დანაოჭებული მერგელებითა და მერგელიანი თიხაფიქლებით აგებული. ნიშანდობლივია, რომ მთის კალთები ძირიდან შუამდე შემოსილია წიფლის ტყეებით. ზედა ნაწილი სუბალპური მდელოებითაა (გამოიყენება საძოვ-რებად) დაფარული.

**სწორედ გარეჯის კლდოვან მთებში VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის მიერ დაარსებულ იქნა მონასტერი.** დამაარსებელი დავით გარეჯელი იყო (აქედან სახელ-წოდება „დავითგარეჯა“). იგი ქ. ანტიოქიიდან მოსულა და მონასტრის პირველი წინამძღვრობაც თავს უდვია. დავით გარეჯელის თაოსნობით მისმა მოწაფეებმა დოდომ და ლუკიანემ გარეჯის სანახებშივე დააარსეს ახალი მონასტრები.

საერთოდ ასურელი მამების საქართველოში წამოსვლის თაოსანი იოანე ზედაზნელი ყოფილა. დავით გარეჯელის შემდეგ მოწაფეებთან ერთად სწორედ ის ჩამოსულა. წყაროებში იხსენებიან „ათორმეტი“ ან „ათცამეტი ასურელი მამანი“. სინამდვილეში, როგორც ჩანს, ისინი მეტნი ყოფილან. ისტორიამ შემოგვინახა ზოგიერთი ასურელი მამის სახელი. ესენი (ზემოდასახელებულების გარდა) არიან: აბიბოს ნეკრესელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი (ხირსელი), ისიდორე სამთავნელი, მიქელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, პიმენი, ნათანე და იოანე.

**გარეჯა (შესაბამისად, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი) ძველ ქართულ პროვინციაში – კუხეთში მდებარეობდა. ეს მხარე მოიცავდა მდინარეებს – არაგვისა და მტკვრის სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი ქ. რუსთავი იყო.** ასურელი მამების სახელთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის განმტკიცება, ბევრი მონასტრის აშენება – მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია („გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“), მათ ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობის გაქრისტიანებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. **გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი დავითის ლავრა იყო. თანდათან ჩამოყალიბდა ცენტრისგან დაშორებული სამონასტრო კომპლექსის ქსელი: წამებული, ნათლისმცველი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები. ვერანგარეჯა, პირუკულმართი, პატარა ქვაბები, დავითგარეჯის მონასტრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.** მონასტერთა კომპლექსს განსაკუთრებული ამაგი დასდო დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.), გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადისაგან და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ დაწინაურებას.

ნიშანდობლივია, რომ გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს ანტონ გნოლისთავისძეს, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა მიქელ კათალიკოსთან, გარეჯში გაუგრძელებია საქმიანობა. მეფე თამარს (1179-1213 წწ.) სწორედ აქედან ჩამოუყვანია: „მოიყვანა ანტონი გლონისთავისძე გარეჯით... დასვეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისხევი და მწიგნობართუხუცესობა“. **ჟამთააღმწერელი შეშფოთებული აღწერს ბერქა ყაენის სარდლობით მონღოლთა ლაშქრის მიერ გარეჯისა და მისი მიდამოების დარბევას:** „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორისპირი, და მოვიდა ლაშქარი თბილისამდე და მრავალი სულ ქრისტიანე მოსწყდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯასათა“.

**დავითგარეჯის მონასტრები განსაკუთრებით წარმატებულნი გახდნენ დემეტრე II თავდადებულის (1270-1289 წწ.) მეფობის დროს**. ამ პერიოდში ქვეყანაში დაწინაურებული იყო (ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები ეკავა) ტიპური მედროვე, გასომხებული ქურთის შთამომავალი სადუნ მანკაბერდელი. იგი ძირითადად საკუთარ წინსვლასა და სიმდიდრის დაგროვებას ცდილობდა. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას კარგი საქმეც გაუკეთებია (ცხადია, აქ დიდი იქნებოდა დემეტრე თავდადებულის როლიც): „ქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელ დღეთა ცხოვრებისა მისისასთა მან მისცა ყალანი (სალაშქრო) და მალი (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი) ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლა ქვეყანა გარეჯისა და მსახურებდეს მეფეს დიმიტრის ერთგულად“.

**დავითგარეჯა XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს (1299/318-1346 წწ.), გაფართოვდა, განვითარდა და ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ძალად იქცა. დამანგრეველი იყო თემურ-ლენგის შემოსევები (1386-1403 წწ.), რომლის რვაგზისმა შემოსევამ მძიმე დღეში ჩააგდო ქვეყანა და შესაბამისად სამონასტრო ცხოვრება. დაიმცრო დავითგარეჯაც.** საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია ალექსანდრე I-ის (დიდი) მეფობა (1412-1442 წწ.), რომელმაც, როგორც თავად აღნიშნავს საგანგებო სიგელში, საქართველოდან ურჯულოები განდევნა და ქვეყანას მყუდროება და სიმშვიდე მოუპოვა. მის სახელთანაა დაკავშირებული სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიის აღდგენა. ამასთან დავითგარეჯა სწორედ სვეტიცხოველს შესწირა. მძიმე იყო სპარსელთა შემოსევები (1616-1617 წწ.), — დავითგარეჯა დაარბიეს. მონასტრებმა პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგა თეიმურაზ I-ის დროს (1606-1648 წწ.), კერძოდ, 1639 წელს. **XVIII საუკუნეში დავითგარეჯა კვლავ მეფის დაქვემდებარებული იყო. მონასტერს გამგებლობაში ჰქონდა სოფლები და ვრცელი მამულები. აქ მოსახლენი დავითგარეჯის ყმებად ითვლებოდნენ. მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.**

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლადაა აღიარებული. განსაკუთრებულია მისი მოხატულობაც. დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მთავარი ეკლესიებისა და სატრაპეზოების მოხატულობა. დავითგარეჯის მხატვრობას მნიშვნელოვნად ხდის ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები. **აღსანიშნავია ბერთუბნის ეკლესიის ფრესკა მეფე თამარი და ლაშა-გიორგი, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში — მეფე დემეტრე II თავდადებული.** დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, განსაკუთრებულია უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის აფსიდის მოხატულობაც; საინტერესოა უდაბნოს მთავარ ეკლესიაში მოხატული სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ დავითგარეჯის მონასტერში სხვადასხვა დროს საქმიანობდნენ ცნობილი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი: დემეტრე I, ონოფრე გარეჯელი (XVII-XVIII სს.), ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIII სს.), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს.) გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს.), გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვ.

შემორჩენილია ქართული წარწერები, მათ შორის VI-VII საუკუნეების ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სტელაზე.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გათხრებმა (აკად. კ. ფიცხელაური და სხვ.) დაადასტურა, რომ ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული აღნიშნული მხარე ადამიანის მიერ უკვე ათვისებულია, ხოლო ბრინჯაო-ადრერკინის ხანის რამდენიმე დასახლება და სამაროვანია აღმოჩენილი, რომელიც აღმოსავლურ-ქართული კულტურის ორგანული ნაწილია.** ამგვარად, აქ ჩვენს წინაპრებს კომპაქტურად უცხოვრიათ ძვ. წ. VI ს-ში ეკოლოგიური პირობების გაუარესებამდე. შემდეგ კი, შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიას საძოვრებად იყენებდნენ.

1924 წლიდან მონასტრის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის ფედერაციის აღმასრულებელი კომისიის დადგენილებით (საქართველოს აჯანყების შემდეგ!) აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა იმ საბაბით, რომ იქაური მომთაბარე მწყემსები საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ. ეს დანაშაულებრივი ქმედება იყო საქართველოს ხელისუფლებისა.

დღეისათვის საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი დავითგარეჯის მო-

**გარეჯა (შესაბამისად, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი) ძველ ქართულ პროვინციაში – კუხეთში მდებარეობდა. ეს მხარე მოიცავდა მდინარეებს – არაგვისა და მტკვრის სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი ქ. რუსთავი იყო**

# ილია ჭავჭავაძე: წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგამ და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება»

### ორივე მხარემ კარგად იცის, რომ დავითგარეჯა საქართველოსია, განსხვავებით ივერი მელაშვილისგან, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია საქართველო-აზერბაიჯანს შორის სადავო სივრცეს არ წარმოადგენს და, როგორც თვითონ ამბობს, იმედი აქვს გაიმარჯვებს (?!). ე. ი. თუ საქართველო ტერიტორიას დაკარგავს, მელაშვილი და მისნაირები გაიმარჯვებენ?!

ნასტრის ამაღლებულ მთაგორიან ნაწილზე გადის. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის 1919 წლის 16 ივნისს დადებული „თავდაცვითი ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც საშიშროების შემთხვევაში ერთად დაიცავდნენ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, ხელშეკრულებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებზე ან იმაზე, რომ დავით გარეჯის სატაძრო კომპლექსი „ალბანური კულტურის“ ძეგლია (ამჟამად არის ამის დასაბუთების ფუჭი მცდელობა) და არა ქართული ქრისტიანული სიწმინდე.

ეს ადგილები 1921 წელს მოინახულა და შეისწავლა აკად. გ. ჩუბინაშვილმა. მთავრობის სახელზე გაგზავნილ „გარეჯის ექსპლუატაციის“ საექსპერტო დასკვნაში ის აღნიშნავს თუ რა უზარმაზარ კულტურულ ღირებულებათა მატარებელია ეს უნიკალური ქართული ქრისტიანობის ძეგლი. 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „დავითგარეჯის მღვიმური მონასტრები“, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს გარეჯის კომპლექსის შესახებ.

ზოგი რამ უახლესი ისტორიის შესახებ:

მღვდელ-მონაზონმა გერმოგენმა 1918 წელს დაბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ 2 და 14 იანვრის ნომერში ვრცელი ინფორმაცია „დავით გარეჯის უდაბნოს აკლება“. მამა გერმოგენი იტყობინებოდა: **აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც ცხვარს ყარაიას ველზე აძოვებდნენ, ზამთრის სადგომებად მოითხოვეს საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ნაგები და მოხატული დავით გარეჯისა და უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები; თავს დაესხნენ ლავრას, გაძარცვეს მონასტრები, გაანადგურეს ჯვარ-ხატები და გადაწვეს იქაურობა, წერაქვებით დაშალეს ნაგებობები. იმხანად ეს ვანდალიზმი აღკვეთეს.** შემდგომ პერიოდში თვით საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაულებრივი აქტი: ყოველ-გვარი წესის დარღვევით 1922 წლის 28 იანვრიდან ყარაიასა და უდაბნოს დიდი ნაწილი სპეციალური დადგენილებით (როგორც საძოვრები და არა კულტურის ძეგლები!) საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა. ამ „საძოვრებში“ აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის, დემეტრე II თავდადებულის და ქტიტორთა დიდებული ფრესკებით. **ლავრა მომთაბარე მწყემსების თავშესაფარი გახდა**.

ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 30 აპრილის დადგენილებით, ელდარის სტეპი აზერბაიჯანის სსრ გადაეცა. ადმინისტრაციულმა საზღვარმა დავით გარეჯისკენ გადაინაცვლა, რომელიც ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა.

1925 წლის 17 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების კომისრების — ა. გეგეჭკორისა და ი. ბუნიათზადეს შეხვედრა სიღნაღისა და ზაქათლის მაზრების („უეზდების“) საზღვრების სადავო მონაკვეთების თაობაზე. გადაწყდა, საზღვარი ალაზანზე დარჩენილიყო, ხოლო გარეჯის მიმდებარე საძოვრები „შრომითი გამოყენების პრინციპით“ მიემაგრა აზერბაიჯანს, რადგან ისინი თითქოს „ფაქტიურად მათ შრომით სარგებლობაში იმყოფებოდა“. ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით, დავით გარეჯის მონასტრის კულტურის ძეგლების დაცვა დაევალა საქართველოს სსრ თბილისის მაზრის აღმასკომს. გამოიყო შეიარაღებული მცველების საშტატო ერთეულები. მოხდა რამდენიმე შეტაკება ძეგლის მცველებსა და აზერბაიჯანელ მწყემსებს შორის, რომელთაც ეწა-



დათ საქონლის ზამთრის სადგომად გამოეყენებინათ სამონასტრო ნაგებობები. 1926 წლის იანვარში ეს კონფლიქტური სიტუაცია განხილულ იქნა „ზაკ კრაიკომის“ სხდომაზე, რომელმაც კანონიერად ცნო 1922 წლის ხელშეკრულება „საძოვრების გამოყენების თაობაზე“. 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ახალი დადგენილება „გარეჯის ზამთრის საძოვრების და ელდარ სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ“. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარმა ჩიჩხიტურის სერსა და იქ მდებარე კოშკზე გაიარა. პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საბუთი რუსულ ენაზეა შედგენილი და გამოქვეყნებულია.

ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ეს უძველესი ქართული კულტურისა და განათლების ძეგლი ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებიდან მოყოლებული, ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტად არის გამოცხადებული. 2008 წლის 24 ოქტომბრიდან გაეროს 33-ე სესიაზე შეტანილია „იუნესკოს“ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა წინასწარულ ნუსხაში. ამ კომპლექსს აზერბაიჯანელები „ქეოქ-დაღს“ ანუ „მღვდლის მთას“ უწოდებენ. პრობლემა მისი ტერიტორიული კუთვნილებისა, აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, „ღიად რჩება“. **აზერბაიჯანულმა საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველო უარს ვერ იტყვის თავის კულტურულ მემკვიდრეობაზე, რაც განმტკიცებულია უამრავი წყაროებითა და დოკუმენტური მასალითაც.** უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, გამოვთქვა რწმენა, რომ მოვნახავთ საერთო ენას და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად დავიცავთ ქართულ სიწმინდეებს.

**ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ყველა მონასტრით საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს.** ეს შეიძლება გადაწყდეს მთავრობათშორისი მოლაპარაკების შედეგად. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხში უნდა დაიკავოს უაღრესად პრინციპული პოზიცია. ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა თავის ინტერვიუში (გაზ. „ასავალ-დასავალი“) განმარტა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოლაპარაკების საფუძველზე საკითხი პრაქტიკულად გადაჭრილი იყო. შემდგომში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ საბოლოოდ დადებითი სურათი ვერ მოგვცა (საქმე ეხება დაახლოებით 500 ჰა სადავო მონაკვეთს). იქნებ მონაცვლეობის პრინციპზე დაყრდნობით შევძლოთ პრობლემის მართებულად გადაჭრა. **ხაზს გავუსვამთ, რომ დავითგარეჯის კომპლექსს არავითარი კავშირი არა აქვს არც აზერბაიჯანის და არც ისტორიული ალბანეთის, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან.** იგივე მდგომარეობაშია გობის საეპისკოპოსო საყდარი და ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია საინგილოში. ცნობილია, რომ **აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დამდგენ I რესპუბლიკის სამთავრობო კომისიაში (1918-1921 წწ.) მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილი და პ. ინგოროყვა.** 1919 წელს „საქართველოს რესპუბლიკის“ სამხედრო სამინისტროს ეგიდით გამოსულ **ივ. ჯავახიშვილისეულ გამოკვლევას: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და თანდართულ რუკას თავისი დიდი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს.** ასევეა **პ. ინგოროყვას ნარკვევი: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“** *(რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, თბ., 1990, გვ. 13-15).* დიდ მეცნიერთა ნაკვლევი მასალა უსათუოდ გასათვალისწინებელია საქართველოს რეალური საზღვრების ობიექტური დადგენისათვის.

ამგვარად, **დავითგარეჯის მონასტერთა სრული კომპლექსის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა და კუთვნილება უძველესი დროიდან დღემდე აქსიომური ჭეშმარიტებაა და ვიმედოვნებთ სახელმწიფოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც არსებული მასალის (წყაროები, ლიტერატურა, ტრადიცია) გათვალისწინებით სამართლიანი იქნება.**

აკადემიკოსი
**როინ მეტრეველი**

* * *

ქართველ ერს აქვს იმის ისტორიული გამოცდილება, თუ რას ნიშნავს მუდმივი საფრთხე და მუდმივი მოლოდინი იმისა, რომ რამე სასიკეთოდ შეიცვლება. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მყოფნი ველოდით, რომ ერთხელაც იქნებოდა და სამართლიანობა გაგვიხსენებდა და გვიხსნიდა ისლამური აღმოსავლეთისგან, რომლისთვისაც XVII-XVIII საუკუნეებში ლამის მხოლოდ ჯიშიანი ტყვეების წყარო ვიყავით.

ის ისლამური სახელმწიფოები იყო სწორედ ის მონსტრი, რომელიც საქართველოსა და ქართველობას პირისაგან მიწისა აღგვით ემუქრებოდა.

საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩვენ წინაშე კვლავ დგას საკითხი: **გვინდა თუ არა, ვიყოთ ისტორიის სუბიექტები? გვაქვს თუ არა აქ, შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ მიწაზე, არსებობის ნება?**

ისტორიულმა ბედმა სწორედ ილიას პირით დაგვავალდებულა, გვეარსება და ფეხზე მოსიარულე მიცვალებულის თვითკმაყოფილებით არ გვეცხოვრა. ჩვენ, თითოეულ მოქალაქეს, არ გვაქვს უფლება, მოვიხსნათ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ჩვენს სამშობლოს თავს ხდება; გულგრილად ვუცქიროთ, როგორ ვკარგავთ ტერიტორიებს, როგორ მოძლიერდნენ ყოველივე ქართულის მაგინებელნი და დღეს ეს შადიმანები, რომლებიც თავიანთი ზრახვების დაფარვას არც კი ცდილობენ, ხმამაღლა, უტიფრად როგორ აკეთებენ ქვეყნის საზიანო საქმეს.

თავის დროზე ილიამ და მისმა თაობამ დასვეს კითხვა, რომელიც დღესაც პასუხს ელოდება: **ჩვენ, როგორც ერთიან სხეულს, გვსურს თუ არა აქ და ახლა არსებობა?**

თუ გვსურს, უპირველესად, საკუთარ ისტორიას, ჩვენს ფესვებს უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა, და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა. დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა“ (ილია).

ჩვენ არ ვართ ის ხალხი, „რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის“. ილიას მთავარი დანატოვარი — მართლად და პატიოსნად აზროვნების უნარი — კვლავ ჩვენს უპირველეს ქრისტიანულ მოვალეობად და ხსნად უნდა მივიჩნიოთ. რამეთუ ერი, „რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის“, დასაღუპადაა განწირული; **„ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგამ და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება... ულმობელი კანონი ისტორიისა, ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა“.**

როგორც ილია აღნიშნავს, **„წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისაო.** ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება ისეთივე შეურყეველი და გარდაუვალია, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია. ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას. მის მიზიდულობას, მის აზრს და საგანს არსებობისას. ის წმიდათა წმინდას და რომელიც მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. **ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგამ და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა, ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.**

**შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა, შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი და რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი — ავად.** რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის იხარჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უმაგისოდ, თვითონ შვილი რაც უნდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

**...რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს, ჩვენი ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა... ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით კი რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად, უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.**

**რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?..“**

**ჩვენ, თითოეულ მოქალაქეს, არ გვაქვს უფლება, მოვიხსნათ პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ჩვენს სამშობლოს თავს ხდება; გულგრილად ვუცქიროთ, როგორ ვკარგავთ ტერიტორიებს, როგორ მოძლიერდნენ ყოველივე ქართულის მაგინებელნი და დღეს ეს შადიმანები, რომლებიც თავიანთი ზრახვების დაფარვას არც კი ცდილობენ, ხმამაღლა, უტიფრად როგორ აკეთებენ ქვეყნის საზიანო საქმეს**

დავიწყებული სახელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1950 წელს დღის წესრიგში კვლავ დადგა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხი. და გადაწყდა 1951 წელს, როცა საქართველოში დასასვენებლად ჩამოსულ სტალინს ლიკანში ეწვევა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი.**

**თბილისის მეტროპოლიტენი, რომელიც ქალაქში გადასაადგილებლად ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო საშუალებაა, ყოველდღიურად 400-დან 450 ათასამდე მგზავრს ემსახურება. მისი მოკლე ისტორია სულ რამდენიმე სტრიქონში ჩაეტევა.**

1951 წლის 29 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ მიიღო დადგენილება.

1952 წელს ჩამოყალიბდა თბილისის მეტრომშენის სამმართველო, 1953 წელს კი დაიწყო გადასარბენი გვირაბებისა და პირველი შახტების მშენებლობა. საქმეს მოსკოვის მეტროს ერთ-ერთი მშენებელი, ინჟინერი **შალვა დანელია** ჩაუდგა სათავეში. თბილისის მეტრო, რომელიც ოფიციალურად 1966 წლის 11 იანვარს გაიხსნა, თავდაპირველად 6 სადგურისგან შედგებოდა: „დიდუბე“, „ელექტროდეპო“ (შემდგომ — „გოცირიძე“), „ოქტომბერი“ (შემდგომ — „ნაძალადევი“), „სადგურის მოედანი“, „მარჯანიშვილი“ და „რუსთაველი“. მისი სიგრძე 6,5 კილომეტრს შეადგენდა.

„მე, როგორც თბილისის მოტრფიალეს, უეჭველად მახარებს ქართული მეტროს დაბადება. გამოგიტყდებით, არც კი მჯეროდა, თუ კონკიდან მეტრომდე ასე მცირე დრო დაგვჭირდებოდა“, — თქვა მაშინ ქართული თეატრისა და კინოს კორიფე **ვასო გოძიაშვილმა.**

1967 წლის 7 ნოემბერს მეტროს ახალი სადგურები შეემატა: „თავისუფლების მოედანი“, „ავლაბარი“ და „300 არაგველი“; 1971 წლის 10 მაისს — კიდევ ორი სადგური — „ისანი“ და „სამგორი“. 1979 წლის სექტემბერში კი მეტროპოლიტენის მეორე ხაზი ჩადგა მწყობრში, რომელმაც სადგურის მოედანი საბურთალოს რაიონს დაუკავშირა. შემდეგ, 1985 წლის 7 ნოემბერს — „ღრმაღელე“ და „გურამიშვილი“, ხოლო 9 დეკემბერს „ვარკეთილი“ გაიხსნა. 15-წლიანი პაუზის შემდეგ განახლდა მშენებლობა, რომელიც 2000 წლის 3 აპრილს სადგურების: „ვაჟა ფშაველასა“ და „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (2017 წლის 16 ოქტომბერს) ამოქმედებით დაგვირგვინდა.

განახლდა და შეკეთდა მეტროპოლიტენის ვაგონები, აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად.

„საქართველო და მსოფლიო“ დედაქალაქის ამ უნიკალური სატრანსპორტო საშუალების საიუბილეო თარიღს ეხმაურება 1997-2000 წლებში „თბილმეტრომშენის“ გენერალური დირექტორის **ბიძინა სონღულაშვილის** წერილით, რომლის ბეჭდვას დღეს ვიწყებთ.

# სტალინის მიერ ნებადართული, ანუ როგორ ყალიბდებოდა თბილისი ევროპულ ქალაქად



მშენებლობა მიდის ზემოთ და მიდის ქვეშ

## ვიქტორ გოცირიძის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის მეტროპოლიტენის 27-კილომეტრიანი ხაზისა და 21 სადგურის მშენებლობა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი საგზაო და სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაში როგორც საქართველოში, ასევე ჩვენს სამეზობლოში



ბიძინა სონღულაშვილი



მეტროსადგური „კრასნიე ვოროტა“



„კრასნიე ვოროტას“ შესასვლელი

### როგორ აჯობა აღიარებულ ამერიკელ სპეცს ხოტეველმა ახალგაზრდა ინჟინერმა

ერთ დროს საბჭოთა კავშირის სამუშაო ლოზუნგი იყო „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!“

დღესაც დასავლეთისკენ მივყავართ ზურგის ქარს.

მაგრამ ჩვენს ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ არც ისე ყოფილა, რომ მაჩანჩალის როლით დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ.

რუსი ავტორები, მათ შორის ჟურნალისტი **ვლადიმერ გოლოვინი** (ჟურნალი „რუსკი კლუბ“, 2019 წელი) წერს, რომ გვირაბების მშენებელთა წრეში კარგად ცნობილი ამერიკელი ინჟინერი **ჯორჯ მორგანი,** რომელიც მოსკოვის მეტროს მშენებლობაში 1938 წელს კონსულტანტად ჩაერთო და პირველი რიგის დამთავრებამდე აქტიურად მუშაობდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დამარცხდებოდა რაჭის სოფელ ხოტეველ ახალგაზრდა ქართველ ინჟინერ **ილარიონ გოცირიძესთან** პროფესიულ ჭიდილში, რომელიც მსოფლიოში არნახული, უნიკალური ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა-გამოყენებას შეეხებოდა.

არადა, ასე მოხდა.

პრობლემა მეტროს სამთაღოვანი სადგურის მშენებლობას ეხებოდა, რომელსაც კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევდა მორგანი. გოცირიძე თავისაზე იდგა. საკითხი პერმანენტულად განიხილებოდა უმაღლეს პარტიულ ორგანოებში გამართულ თათბირებზე და, გოცირიძე ყოველთვის მხოლობით რიცხვში რჩებოდა — 21-ე შახტის უფროსის ინოვაციას მხარს არავინ უჭერდა.

თუმცა მშენებლობის კურატორი **ლაზარე კაგანოვიჩი,** ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი, **იოსებ სტალინის** თანამებრძოლი, ეტყობა, გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო გოცირიძის სიმართლეში და არ ჩქარობდა მესამე თაღის მშენებლობის აკრძალვის შესახებ განკარგულების გაცემას.

აქტიურობდა მორგანი, რეგულარულად რაღაცას უკირკიტებდა — ათვალიერებდა, აკვირდებოდა, იწერდა, ინიშნავდა და მოხსენებით ბარათებს ყოველდღიურად აწვდიდა **კაგანოვიჩსა** და **ნიკიტა ხრუშჩოვს**, რომელიც მაშინ მოსკოვის პარტიის ქალაქკომის მდივანი იყო და მისთვის ჩვეული მელაძუობით გამოირჩეოდა — თავს იკავებდა საკუთარი პგოზიციის გამჟღავნებისგან...

ბოლოს და ბოლოს გოცირიძის იდეამ გაიმარჯვა და მშენებლობაც ბრწყინვალედ განხორციელდა. ეს მოხდა 1935 წელს. გოცირიძის გვარი ისტორიაში ჩაიწერა.

მორგანმა ბოდიში მოუხადა ილარიონს: „ვაღიარებ, რომ მართალი არ ვიყავი. მსოფლიო მეტრომშენებლობაში ამგვარი შემთხვევა არ მომხდარა. ამიტომ მეც ვერ დავუჭერდი თქვენს წინადადებას მხარს და ვერც იმის გარანტიას გავცემდი, რომ ნაგებობა ამგვარ უზარმაზარ წნევას გაუძლებდა და არ ჩამოინგრეოდა“. წერს წიგნს — „მოსკოვის მეტროპოლიტენი საუკეთესოა მსოფლიოში“. ილარიონ გოცირიძის, რომელსაც ყველა ილიას ეძახდა, გაანგარიშება სწორი გამოდგა.

მისი ხელქმნილი ნაგებობა სანიმუშო, ლეგენდად იქცა: 1939 წელს მიიღო ნიუ იორკის საერთაშორისო გამოფენის გრანპრი; დიდი სამამულო ომის დროს ამ მეტროსადგურში იყო განლაგებული მოსკოვის საჰაერო თავდაცვის შტაბის სამეთაურო პუნქტი, აქედან ხელმძღვანელობდნენ მოსკოვის თავდაცვის ოპერაციებს; 1941 წლის ნოემბერში აქ გაიმართა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა იოსებ სტალინი და მთელი ქვეყნის გასაგონად წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები — „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“ მეტროპოლიტენის ამ სადგურს აფარებდა თავს ათასობით მოსკოველი დაბომბვების დროს...

ომის პერიოდში გოცირიძის საქმიანობა არ აფიშირდებოდა, ცნობილია მხოლოდ, რომ იგი საბრძოლო წითელი დროშის, სუვოროვისა და კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენებით. 1947 წელს იგი სტალინური პრემიის ლაურეატი გახდა. მალე მას სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ნიშნავენ და მოძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორის წოდებას ანიჭებენ, რაც სამხედრო გენერალ-პოლკოვნიკობას უდრის.

უფროსი ძმის კვალს მიჰყვება **ვიქტორი,** რომელიც უმაღლეს განათლებას იღებს მოსკოვის ავტოსაგზაო მშენებლობის ინსტიტუტში და მოსკოვის მეტროს მშენებლობაზე მოხალისედ მუშაობის შემდეგ ბრუნდება თბილისში. ომი დროს ხალმძღვანელობს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო გადაზიდვების განყოფილებაში სარკინიგზო ეშელონების დაუბრკოლებლად მოძრაობას.

ბატონ ვიქტორზე ჩვენს პუბლიკაციაში დაწვრილებით ვილაპარაკებთ. მანამდე კი ვთქვათ, რომ გოცირიძეების ოჯახმა სამი სახელოვანი, საქვეყნოდ სახელგანთქმული შვილი გაზარდა. მესამე ძმა — **მიხეილ გოცირიძე** (1905-1993) ქალაქ ძერჟინსკის საპატიო მოქალაქე იყო. აქ დააარსა ქიმიური ქარხანა, რომელსაც წლების განმავლობაში ედგა სათავეში, ვოლგა-ვიატკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქიმიური, ნავთობგადამმუშავებელი, რეზინისა და სამედიცინო მრეწველობის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. დაჯილდოვებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

### თბილისის მეტროპოლიტენი მისი ხელქმნილი ძეგლია

ვიქტორ გოცირიძის (1910-1995) „სტატისტიკური“ ბიოგრაფია ასეთია: ინჟინერ-გვირაბმშენებელი, საქ- ▶

# ცნობილმა ინჟინერმა, პროფესორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პეტრე წულუკიძემ, რომელიც 1937 წელს მოსკოვის მეტრომშენის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში კონსულტაციისთვის მიიწვიეს, ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა: „მოვა დრო, თბილისშიც აშენდება მეტროპოლიტენი და მაშინ თბილისელებსაც ექნებათ მოსკოველთა ყოველმხრივი დახმარების იმედი".

დავიწყებული სახელები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ართველოს დამსახურებული ინჟინერი (1961), საპატიო რკინიგზელი (1944), თბილისის საპატიო მოქალაქე (1988), ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილე (1941-1946), ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსი (1941-1952), „თბილმეტრომშენის" სამმართველოს უფროსის მოადგილე (1952), „თბილმეტრომშენის" სამმართველოს უფროსი (1957-1987). სოციალისტური შრომის გმირი (1980), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977 წ), საქართველოს VI-VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიღებული ჰქონდა მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

**ვიქტორ გოცირიძის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის მეტროპოლიტენის 27-კილომეტრიანი ხაზისა და 21 სადგურის მშენებლობა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი საგზაო და სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაში როგორც საქართველოში, ასევე ჩვენს სამეზობლოში.**

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირს ეკონომიკის ყველა სფეროში აკლდა სპეციალისტები. პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა ე.წ. მუშფაკები. სწორედ აქედან დაიწყო ვიქტორ გოცირიძის ცხოვრების ძნელი გზა. სწავლა რთული იყო — უსახსრობას, მატერიალურ გაჭირვებას, შიმშილს ემატებოდა რუსული ენის სუსტი ცოდნა, არც სახელმძღვანელოები ჰყოფნიდა, მოუწყობელი და მოუხერხებელი იყო საერთო საცხოვრებელი. უჭირდათ ახალგაზრდებს, მაგრამ სწავლობდნენ და პარალელურად მუშაობდნენ სახელოსნოებში, ლაბორატორიებში, საწარმოებში.

1930 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტში გააგზავნეს.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში საავტომობილო მრეწველობის სწრაფი განვითარება დაიწყო. გაჩნდა ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ავტოქარხანა. ახალ საწარმოს კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდებოდა. კადრები მოსკოვის საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტს უნდა მოემზადებინა. სტუდენტები სწავლას საწარმოში მუშაობას უთავსებდნენ. 1931-32 წლებში მოსკოვის მეტროს პირველი რიგის მშენებლობაში 75 ათასი კაცი მონაწილეობდა — ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარგზავნილი, მათ შორის იყვნენ ცნობილი ქართველი სპეციალისტებიც: **ილია გოცირიძე, ელიზბარ მინდელი, გიორგი ნასიძე, ნიკოლოზ ესაკია, დავით ბრელიძე, არნოლდ კარტოზია, ილია სარჯველაძე, შალვა ნიჟარაძე, ერმალოზ მამულია, კონსტანტინე და შოთა დიდებულიძეები, ნიკოლოზ** და **შალვა დანელიები, პეტრე წულუკიძე,** მოგვიანებით — **აკაკი ჩიხლაძე, ბუდუ ფაჩულია** და **გივი ციმინტია.** გამოჩენილი სამთო ინჟინრების გვერდით მუშაობდა მეხუთე კურსის სტუდენტი ვიქტორ გოცირიძეც.

1934 წელს, მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სადგურ „კრასნიე ვოროტას" მშენებლობაზე, 21-ე შახტში ცვლის უფროსად განაგრძო საქმიანობა, იქიდან სადგურ „კიროვსკაიაზე" გადაიყვანეს, სადაც მძიმე ტრავმა მიიღო. სამხედრო ვალდებულება ბელორუსიაში მოიხადა.

1937 წელს თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებაში, მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე მყოფი, ხელმძღვანელობდა ახალი სკოლების მშენებლობას.


მშენებლობის პროცესში


პირველი მგზავრები

**თბილისში მეტროპოლიტენის აშენების იდეა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იშვა. ამ იდეას განსაკუთრებით უჭერდა მხარს იმ წლებში ქალაქის მთავარი არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი, ღრმად განათლებული, უაღრესად ნიჭიერი ადამიანი, თბილისის დიდი პატრიოტი. 1937-40 წლებში მისი თაოსნობით პირველი საძიებო სამუშაოებიც კი ჩატარდა**


ილარიონ გოცირიძე


ვიქტორ გოცირიძე


მიხეილ გოცირიძე

## და ხვალ იყო ომი

თბილისური ცხოვრების სიმყუდროვე მეორე მსოფლიო ომმა დაარღვია. ომის დროს ამიერკავკასიის ფრონტის თბილისის სადგურის სამხედრო კომენდატურაში სამხედრო დისპეტჩერად მუშაობდა; შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო შტაბში სამხედრო ინფორმაციის განყოფილების უფროსის თანაშემწედ დანიშნეს.

ასიათასიანი არმიის შეტევითი ოპერაციების უზრუნველსაყოფად ფრონტს საშუალოდ ყოველ 20 წუთში 30 ვაგონი შეიარაღება, საბრძოლო მასალა და სურსათი, ანუ დღე-ღამეში 2 ათასზე მეტი ვაგონი უნდა მიეღო. ცხადია, რომ მებრძოლებიც გადასაყვანი იყვნენ.

ამიერკავკასიის რკინიგზას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანების შესრულება დაეკისრა. საქმე ეხებოდა ფრონტისთვის გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების შეუფერხებელ მიწოდებას — ბათუმიდან საბრძოლო ხომალდები საწვავით მარაგდებოდა. ვიქტორ გოცირიძე გადაზიდვების ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული ქერჩის ნახევარკუნძულის რკინიგზის, არმავირ-ტუაფსისა და მოზდოკი-არმავირის სარკინიგზო ხაზების აღდგენით სამუშაოებში.

**თავდაცვის კომიტეტმა ფრონტისპირა რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მოსთხოვა, წითელი არმიის ნაწილების უკან დახევის შემთხვევაში მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობის დაუყოვნებლივ გაყვანა, რათა მტრისთვის არ დაეტოვებინათ არც ერთი ორთქლმავალი, არც ერთი ვაგონი, არც ერთი კილოგრამი პური, არც ერთი ლიტრი საწვავი. ქონება, რომლის გატანაც ვერ მოხერხდებოდა, ადგილზე უნდა გაენადგურებინათ.** ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს სამხედრო ტვირთის გადაზიდვის, უზარმაზარი ევაკუირებული ქონების, ასეულობით მილიონი მანეთის ღირებულების დანადგარების მიღების, გადატვირთვის გარდა დაცვის უზრუნველყოფაც ევალებოდათ.

რკინიგზელების დაუწერელი კანონებით, რაოდენ რთულიც გინდა ყოფილიყო ვითარება, საკუთარი ძალებით თავადვე უნდა ჩაექროთ ხანძარი და დაენაწევრებინათ საბრძოლო მასალებით დატვირთული შემადგენლობა. სპეციალური ქვეგანაყოფების მოსვლამდე თვითონ უნდა გაეთავისუფლებინათ რკინიგზის ვაკისი აუფეთქებელი ავიაბომბებისგან, გაეყვანათ მატარებლები მტრის ცეცხლის რკალიდან, დაუყოვნებლივ აღედგინათ დანგრეული გზები და კავშირგაბმულობა, არ შეეფერხებინათ მოქმედი არმიის ნაწილების ჭურვებით, საწვავით, იარაღით, სურსათითა და ფურაჟით მომარაგება, აღედგინათ დანგრეული ხიდები.

1942 წლის 27 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ხაზის ზედმეტი სავაგონო პარკისგან გასათავისუფლებლად მიზანშეწონილად ჩაითვალა 33 ათასი ვაგონისა და 800 ორთქლმავლის ამიერკავკასიაში გადმოყვანა. ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებმა ეს საქმეც წარმატებით დაძლიეს.

ვიქტორ გოცირიძე 24-საათიანი რეჟიმით მუშაობდა. პირადად აკონტროლებდა დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. რკინიგზელებმა ფრონტისა და ზურგის ყველა უმნიშვნელოვანესი დავალება ბრწყინვალედ რომ შეასრულეს, მისი დამსახურებაც იყო. იმხანად იგი ჯერ სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ კი — ამავე სამსახურის უფროსად. 1952 წლიდან კი მთელი შეგნებული ცხოვრება მეტროპოლიტენისა და მიწისქვეშა სხვა ნაგებობების მშენებლობას მიუძღვნა.

**თბილისში მეტროპოლიტენის აშენების იდეა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იშვა. ამ იდეას განსაკუთრებით უჭერდა მხარს იმ წლებში ქალაქის მთავარი არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი, ღრმად განათლებული, უაღრესად ნიჭიერი ადამიანი, თბილისის დიდი პატრიოტი. 1937-40 წლებში მისი თაოსნობით პირველი საძიებო სამუშაოებიც კი მოეწყო.**

ცნობილმა ინჟინერმა, პროფესორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა **პეტრე წულუკიძემ,** რომელიც 1937 წელს მოსკოვის მეტრომშენის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში კონსულტაციისთვის მიიწვიეს, ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა: „მოვა დრო, თბილისშიც აშენდება მეტროპოლიტენი და მაშინ თბილისელებსაც ექნებათ მოსკოველთა ყოველმხრივი დახმარების იმედი".

თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული განაშენიანების თავისებურებები, ვიწრო, ციცაბო დახრილობის ქუჩები ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ცენტრალურ ნაწილში და სუსტად განვითარებული განივი მოძრაობა აფერხებდა მიწისზედა ტრანსპორტის საჭირო მასშტაბით განვითარებას. მოსახლეობის სწრაფი გამრავლების კვალობაზე საგრძნობლად გაიზარდა ქუჩაში მოძრაობაც. ქუჩა გადაიტვირთა ტრამვაის ვაგონებით, ტროლეიბუსებით, ავტობუსებითა და მსუბუქი ავტომანქანებით. ეს ძალზე ართულებდა მოძრაობას, განსაკუთრებით პიკის საათებში.

## მშენებლობა იწყებოდა ასე

1940 წელს თბილისში, ყოფილ ლენინის მოედანზე, ვაგზლის მოედანსა და ყოფილ 26 კომისრის სახელობის რაიონის მოედანზე მწვანედ შეღებილი ლობეები აღმართეს, რომელთა იქით მიწას ბურღავდნენ, აფეთქებდნენ, საინჟინრო სამუშაოებს ასრულებდნენ. მეტროს მშენებლობა იწყებოდა.

ომის დროსაც სამუშაოები არ შეწყვეტილა...

1950 წელს დღის წესრიგში კვლავ დადგა თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხი. და გადაწყდა 1951 წელს, როცა საქართველოში დასასვენებლად ჩამოსულ სტალინს ლიკანში ეწვევა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 1952 წლის აგვისტოში თბილისის მეტროპოლიტენის პოლიტსამმართველო შეიქმნა. სამმართველოს უფროსად დაინიშნა **მიხეილ მაღრაძე.**

მშენებლობა დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული საპროექტო დავალების შესაბამისად, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 823,7 მილიონ მანეთს შეადგენდა (1950 წლის ფასებით).

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის პირველ უფროსად **გიორგი ნასიძე** დამტკიცდა, რომელმაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში მეტროპოლიტენის ინსტიტუტი დაამთავრა და მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე დიდი გამოცდილება შეიძინა; შემდგომ იგი შავი ზღვის სანაპირო გვირაბებისა და ხიდების მშენებლობის უფროსად გადაიყვანეს.

ვიქტორ გოცირიძე დაინიშნა მშენებლობის უფროსის პირველ მოადგილედ, **შალვა დანელია** — მთავარ ინჟინრად. თბილისის მეტროპოლიტენში სამუშაოდ მოვიდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც მოსკოვის მეტროს თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გვირაბების მშენებლობაზე კარგი სკოლა ჰქონდათ გავლილი. მაგალითად, სამმართველოს მთავარი ტექნიკური განყოფილების უფროსად დაინიშნა **ალექსანდრე ხუციშვილი**, რომელიც მანამდე ლენინგრადის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე ცვლის უფროსად მუშაობდა.

მეტროს მშენებლობის თავდაპირველი ვარიანტით უნდა აგებულიყო 9 სადგური. აქედან ორი მიწისზედა — „დიდუბე" და „ელექტროდეპო", შვიდი მიწისქვეშა — ახლანდელი „ნაძალადევი", „ვაგზლის მოედანი", „მარჯანიშვილის მოედანი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი", „ავლაბარი", „300 არაგველი"...

დიდი საქმე დაიწყო.

მაგრამ 1953 წლის 7 სექტემბერს მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ ელოდა: ამ დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თბილისის მეტრომშენებლობის ლიკვიდაციის შესახებ დადგენილება გამოიტანა. ამავე დადგენილებით, კიევსა და ბაქოში მეტროს მშენებლობები დააკონსერვეს. ამ მომენტისთვის თბილისში უკვე გაყვანილი იყო კილომეტრზე მეტი სიგრძის გვირაბი სადგურებს — „ვაგზლის მოედანსა" და „მარჯანიშვილს" შორის. 150 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უკვე შესრულებული იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კომპანია SOCCKET.INC-მა შექმნა ფეხბურთის ბურთი, რომელიც პატარა ელექტროსადგურიცაა. ის ენერგიას გამოიმუშავებს იმ მომენტებში, როცა ფეხბურთელები მას ფეხს ურტყამენ. რამდენიმესაათიანი თამაშის შემდეგ მთელი საღამოს განმავლობაში დიოდური ნათურის მუშაობა უზრუნველყოფილია.




# ალტერნატიული ენერგიის 10 უცნაური წყარო

ენერგიის ალტერნატიული წყაროების მოძიება თანამედროვე ადამიანისთვის აქტუალური საკითხია. ახლახან რუსეთმა განაცხადა, რომ აპირებს წყალბადის ენერგიის მიღებასა და მის ექსპორტს. ანალოგიური განზრახვა აქვთ, ევროკავშირს, აშშ-ს, იაპონიასა და სხვა ქვეყნებს. ჰიდროელექტროსადგურების, მზის პანელებისა და ქარის ენერგიის გარდა, ზოგიერთ ქვეყანაში არის ენერგიის უჩვეულო წყაროები, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ.



## 1. ელექტროსადგური, რომელიც შოტლანდიურ ვისკიზე მუშაობს

კომპანია Helius Energy-მ ააგო მსოფლიოში პირველი ელექტროსადგური, რომელიც შოტლანდიური ვისკის დისტილიზაციის თანმდევ პროდუქტებზე მუშაობს. ამ პროცესის მიმდინარეობისას გამოიყოფა ნახშირწყალბადის დიდი მასა, რომლის დაწვით შეიძლება ენერგიის მიღება.

პროექტში პარტნიორის სტატუსით ჩართულია Rotles Whisky-ის მწარმოებელი კორპორაცია.



## 2. ფეხბურთის ბურთი Soccket-ი

კომპანია Soccket.Inc-მა შექმნა ფეხბურთის ბურთი, რომელიც პატარა ელექტროსადგურიცაა. ის ენერგიას გამოიმუშავებს იმ მომენტებში, როცა ფეხბურთელები მას ფეხს ურტყამენ. რამდენიმესაათიანი თამაშის შემდეგ მთელი საღამოს განმავლობაში დიოდური ნათურის მუშაობა უზრუნველყოფილია. იდეალური ვარიანტია მიყრუებულ ადგილას გამოსაყენებლად.



## 3. OTEC – ელექტროსადგური ჩინეთის სანაპიროსთან

უკვე რამდენიმე ათეული წელია, შექმნილია ტექნოლოგია, რომელიც ოკეანის ზედაპირისა და სიღრმის ტემპერატურების სხვაობის საფუძველზე ენერგიის გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა. ორიოდე წლის შემდეგ კი ჩინეთის ნაპირთან გამოჩნდება OTEC-ის (Ocean tearmal energy comersion) ტექნოლოგიით მომუშავე მსოფლიოში ყველაზე დიდი ელექტროსადგური, რომელსაც ცნობილი ფირმა Lockhad Martin-ი ააგებს.



## 4. ტურბინა სისხლძარღვებში

შვეიცარიის დედაქალაქ ბერნის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს მინიატურული ტურბინა, რომელიც, თუ ადამიანის სისხლძარღვში მოათავსებენ, გამოიმუშავებს ენერგიას ელექტრო კარდიოსტიმულატორისთვის.



## 5. VolcanElectric Mask – ცათამბჯენი, რომელიც ენერგიას ვულკანისგან მიიღებს

კონკურს eVolo-2013-ზე ჩინელი არქიტექტორის ჯგუფმა წარადგინა პროექტი ცათამბჯენ VolcanElectric Mask-ისა, რომელიც უნდა აიგოს ვულკანის ფერდობზე. ნაგებობა მუშაობისთვის საჭირო ენერგიას მიიღებს დედამიწის ზედაპირზე ამოხეთქილი გავარვარებული მაგმიდან.




## 6. VW Bio-Bug-ი, ფეკალიებზე მომუშავე ავტომობილი

ბრიტანულმა კომპანია Geneco-მ შეიმუშავა ტექნოლოგია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ადამიანის ფეკალიებისგან მიიღონ მეთანი.

სწორედ ამ ტექნოლოგიაზე მუშაობს კომპანიის ავტომობილი VW Bio-Bug-ი.



## 7. ენერგია ტურნიკეტების საშუალებით

იაპონურმა კომპანია East Japan Railway Company-მ, რომელიც მგზავრების გადაყვანის მიხედვით ლიდერია ამომავალი მზის ქვეყანაში, გადაწყვიტა, თავისი თითოეული ტურნიკეტი აღეჭურვა ელექტროენერგიის გენერატორებით. ასე რომ, მგზავრები, რომლებიც ტურნიკეტს გაივლიან, ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.



## 8. Bio Wawe – წყალქვეშა დინებების ენერგია

ავსტრალიური კომპანია Pio Power Sistems-ის სპეციალისტებმა ყურადღება მიაპყრეს ავსტრალიის გარშემო წყალქვეშა დინებებს და შექმნეს ელექტროსადგურ Bio Wawe-ს პროექტი. ეს ელექტროსადგური წყალქვეშა დინებებს გამოიყენებს ელექტროენერგიის შესაქმნელად.

## 9. საქანელა, რომელიც ელექტროენერგიას აწვდის ლამპიონს



Giraffe Street Lamp — ეს არის საქანელა, რომლით ქანაობითაც თითოეულ ადამიანს შეუძლია გარემო გაანათოს. საქმე ის არის, რომ ეს საქანელები, ამასთანავე, არის გენერატორებიც ქუჩის ლამპიონებისთვის. ლამპიონებს ენერგიის სხვა წყაროც აქვს, რომელიც მაშინ ირთვება, როცა საქანელა გაჩერებულია.

## 10. სახლი წყალმცენარეების ენერგიაზე



2020 წელს ჰამბურგში ექსპლუატაციაში შევიდა მსოფლიოში პირველი შენობა, რომელიც ენერგიას იღებს მიკროსკოპული მწვანე წყალმცენარეებისგან. რომლებიც იზრდება კედლებსა და ფანჯრებზე. ამ არქიტექტურული ნაგებობის თითოეული ფანჯარა პატარა ბიორეაქტორია, რომლებიც ფოტოსინთეზით გამოიმუშავებს ელექტროენერგიას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ლევ იაშინი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი მეკარეა, რომელმაც „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. ის არის ფიფას მიერ შედგენილი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა სიმბოლური გუნდის პირველი ნომერი, 1956 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1960 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ოქროს მედალოსანი.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 საუკეთესო საბჭოთა მეკარე

## საუკეთესოთა შორის ორი ქართველია

**2020 წლის ბოლოს პოპულარულმა გაზეთმა „ფრანს ფუტბოლმა“, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყველა დროის 10 საუკეთესო მეკარე გამოავლინა. სარეიტინგო სიაში პირველია საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდა ლევ იაშინი. მან გაუსწრო ჯანლუიჯი ბუფონსა და დინო ძოფს (ორივე — იტალია), მანუელ ნოიერს (გერმანია), იკერ კასილიასს (ესპანეთი), პეტერ შმეიხელს (დანია), ედვინ ვან დერ სარს (ნიდერლანდები), გორდონ ბენქსს (ინგლისი) და ტომა ნ'კონოს (კამერუნი).**
**საბჭოთა კავშირში ბევრი იყო კარგი მეკარე, მათ შორის ქართველებიც. ამას მოწმობს ერთ-ერთი რუსული სპორტული გამოცემის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო საბჭოთა მეკარეების სარეიტინგო სია, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.**



### 10. ვლადიმერ პილგუი

(თამაშობდა 1965-1983 წლებში)

**გუნდები:** „დნეპრი“, „დინამო“ (მოსკოვი), „ყუბანი“.

ამ მეკარეს გადასცა ლევ იაშინმა ხელთათმანები თავის ბოლო მატჩში. დნეპროპეტროვსკის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი 11 წლის განმავლობაში იცავდა მოსკოვის „დინამოს“ კარს. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ბევრი მატჩი არ უთამაშია, თუმცა აქტივში აქვს 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების 2 ბრინჯაოს მედალი, ოლიმპიადებზე კი მხოლოდ ერთხელ ითამაშა.



### 9. ალექსანდრე პროხოროვი

(1965-1978 წწ.)

**გუნდები:** „ნემანი“, „დინამო“ (მინსკი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მოსკოვი).

ამ ნიჭიერ მეკარეს მუდამ სდევდა სკანდალები, როგორც საფეხბურთო, ისე პირადი ცხოვრების. სწორედ ამის გამო ვერ შეძლო, სრულად გამოევლინა თავისი ნიჭი. მხოლოდ ის რად ღირს, რომ „დინამოდან“ „სპარტაკში“ გადავიდა, შემდეგ კი ისევ უკან დაბრუნდა, რის გამოც ორივე გუნდის გულშემატკივრების სიძულვილი დაიმსახურა. არც ნაკრებში უთამაშია ბევრი — მხოლოდ 3 მატჩი. გარდაიცვალა 2005 წელს, 58 წლისა.



### 8. ოთარ გაბელია

(1970-1989 წწ.)

**გუნდები:** „დინამო“ (ზუგდიდი), „დინამო“ (სოხუმი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (თბილისი).

ოთარ გაბელიამ ფეხბურთის თამაში დაიწყო, როგორც თავდამსხმელმა, მაგრამ შემდეგ კარში ჩადგა. გამოირჩეოდა შესანიშნავი რეაქციითა და ნახტომით. უნარიანად ხელმძღვანელობდა დაცვას. იყო თბილისის „დინამოს“ იმ შემადგენლობაში, რომელმაც 1981 წლის 13 მაისს უეფას თასების მფლობელთა თასი მოიპოვა, საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა.

### 7. ვიქტორ ბანიკოვი

(1959-1973 წწ.)



**გუნდები:** „ავანგარდი“ (ჟიტომირი), „დესნა“, „დინამო“ (კიევი), „ტორპედო“ (მოსკოვი).

ვიქტორ ბანიკოვს ეკუთვნის ყველაზე ხანგრძლივი „მშრალი“ სერიის რეკორდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. ამ გოლკიპერს 1122 წუთის განმავლობაში არ გაუშვია ბურთი. იყო 1966 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. სულ კი ნაკრების მაისურით 14 მატჩი ითამაშა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, არაერთხელ დაასახელეს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის. გარდაიცვალა 2001 წელს.



### 6. იური პშენიჩნიკოვი

(1958-1972 წწ.)

**გუნდები:** „ფახთაქორი“, ცსკა

ამ ფეხბურთელმა თითქმის მთელი კარიერა ტაშკენტის „ფახთაქორში“ გაატარა, მაგრამ „წლის საუკეთესო მეკარის“ ტიტული მან არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის შემადგენლობაში მოიპოვა. ფეხბურთის კარიერის დასრულების შემდეგ წვრთნიდა სხვადასხვა კლუბს. გარდაიცვალა 2019 წელს, 79 წლისა.



### 5. ანზორ კავაზაშვილი

(1957-1975 წწ.)

**გუნდები:** „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (თბილისი), „ზენიტი“, „სპარტაკი“, „ტორპედო“ (მოსკოვი).

შესანიშნავი ნახტომის მქონე გოლკიპერი 5 წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითადი მეკარე, ითამაშა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 2-ჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოსკოვის „ტორპედოსა“ და „სპარტაკის“ შემადგენლობებში. 1965 და 1967 წლებში დაასახელეს „წლის საუკეთესო“ მეკარედ. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად.



### 4. ალექსეი ხომიჩი

(1936-1956)

**გუნდები:** „პიშჩევიკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი).

პირველი საბჭოთა გოლკიპერი, რომელზეც ალაპარაკდნენ დიდ ბრიტანეთში და რომელსაც „ვეფხვი“ შეარქვეს. იმხანად ნაკრები ჯერ კიდევ არ თამაშობდა, მაგრამ მოსკოვის „დინამოს“ ტურნემ ინგლისში, შვედეთსა და ნორვეგიაში ხომიჩს სახელი გაუთქვა. შემდეგ იყო **ლევ იაშინის** მწვრთნელი. კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობდა ფოტოკორესპონდენტად. გარდაიცვალა 1980 წელს, 60 წლისა.



### 3. ევგენი რუდაკოვი

(1960-1977წწ.)

**გუნდები:** „სუდოსტროიტელი“, „დინამო“ (კიევი).

თამაში დაიწყო ნიკოლაევში, შემდეგ გადავიდა კიევის „დინამოში“, სადაც კარიერის დასრულებამდე ითამაშა. არის უეფას თასის მფლობელთა თასისა და სუპერთასის მფლობელი (1975 წ.). სამჯერ დაასახელეს „წლის მეკარედ“. 1972 წელს შეიყვანეს ევროპის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში.

გარდაიცვალა 2011 წელს.




### 2. რინატ დასაევი

(1975-1991 წწ.)

**გუნდები:** „ვოლგარი“, „სპარტაკი“ (მოსკოვი), „სევილია“.

დასაევმა საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით 91 მატჩი ითამაშა. მონაწილეობდა 3 მსოფლო ჩემპიონატში. არის ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. საბჭოთა ფეხბურთელებიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც უცხოეთში მოსინჯა ძალები, მაგრამ მისი კარიერა ესპანეთის „სევილიაში“ წარუმატებელი აღმოჩნდა და 34 წლისამ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება.



### 1. ლევ იაშინი

(1950-1971 წწ.)

**გუნდები:** „დინამო“ (მოსკოვი)

ლევ იაშინი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთადერთი მეკარეა, რომელმაც „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. ლევ იაშინი არის ფიფას მიერ შედგენილი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელთა სიმბოლური გუნდის პირველი ნომერი, 1956 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1960 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ოქროს მედალოსანი. გარდაიცვალა 1990 წელს, 60 წლისა.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# «ბლუმბერგი»: დოლარის ჩამოშლა იწყება




**აშშ-ს არ ჰყოფნის დანაზოგები, ეს კი დოლარის დასუსტების მაუწყებელია, — დარწმუნებულია „ბლუმბერგში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, რომელიც მკითხველს ახსენებს თავის პროგნოზს 2021 წლის ბოლოს დოლარის კოტირების 35%-მდე დაცემის შესახებ და ასახელებს სამ მთავარ მიზეზს, რომელთა გამოც ეს დაცემა მოხდება. სტატიის ავტორის მტკიცებით, ნეგატიური მოვლენების განვითარება გარდაუვალია.**

შიდა დანაზოგების სუფთა კოეფიციენტი (net domestic savings rate) ამერიკაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა ისტორიაში. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო დამოკიდებული შეიქნა უცხოურ ფულზე.

მკვეთრი მატების შემდეგ, 2020 წლის მარტში, კორონავირუსის პანდემიის ფონზე დოლარმა სწრაფად დაიწყო დაცემა. ის 12%-ით დაეცა აშშ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტების მიმართ და 2018 წლის დასაწყისიდან ყველაზე დაბალ დონეზეა.

თუ დავეყრდნობით ჩემს არაპოპულარულ პროგნოზს, რომელიც ივნისში გავაკეთე 2021 წლის ბოლოს დოლარის კოტირების 35%-ით დაცემის შესახებ, მაშინ ახლა ბეისბოლის 9-რაუნდიანი მატჩის მხოლოდ მესამე რაუნდში ვიმყოფებით. თუ პროგნოზი ახდება, ეს იქნება მნიშვნელოვანი ძახილის ნიშანი აშშ-ის 46-ე პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მმართველობის პირველ წელიწადში.

**Inosmi.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2021 წლისთვის

**მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6%-ით შემცირდა. ჩვენი ქვეყნისთვის არც 2021 წლის დასაწყისი ყოფილა საიმედო, რადგან ეკონომიკა ფაქტობრივად, ისევ გაჩერებულია, ხოლო მისი აღდგენა ეტაპობრივად 1 თებერვლიდან დაიწყო. შექმნილი გარემოების ფონზე კი საინტერესოა, სხვადასხვა ორგანიზაციების პროგნოზით რა ელის საქართველოს ეკონომიკას.**




საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2021 წელს ეკონომიკა საშუალოდ 4,3%-ით გაიზრდება. სწორედ 4,3%-იანი ზრდაა ჩადებული მიმდინარე წლის ბიუჯეტშიც.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკის პროგნოზით, წელს საქართველოს ეკონომიკის მხოლოდ 4%-იან ზრდას უნდა ველოდოთ. შედარებით განსხვავებულია სავალუტო ფონდის პროგნოზი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 4,3%-იან ზრდას ვარაუდობს.

**Bpn.ge**

# რუსეთში სწავლის მსურველთათვის სტიპენდიებზე რეგისტრაცია დაიწყო

**საქართველოში რუსეთის ინტერესების სექცია აცხადებს, რომ 20 იანვრიდან დაიწყო მსურველთა რეგისტრაცია, რუსეთში სწავლისა და სადოქტორო ხარისხის მოპოვების მსურველებისათვის. ასეთი შერჩევა სექციაში ყოველწლიურად ცხადდება და წარმატებით მიმდინარეობს.**

საბუთების მიღება წლევანდელ წელს 20 თებერვლამდე გაგრძელდება — ამ თარიღის შემდეგ რეგისტრაცია შეუძლებელი იქნება, მსურველებმა ამ გარემოებას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციონ.

პანდემით გამოწვეულ ვითარებასთან დაკავშირებით 20 თებერვლამდე აუცილებლად ჩასაბარებელი საბუთების ნუსხა ჩვეულებრივთან შედარებით შეკვეცილია. პირველ ეტაპზე აუცილებელია 1. პასპორტის, 2. სასკოლო ატესტატის (მაგისტრობის მსურველებისთვის — ბაკალავრის დიპლომის, ხოლო ასპირანტურაში მოხვედრის მსრუველებისთვის — მაგისტრის დიპლომის), 3. ნიშნების ფურცლისა და 4. (ასპირანტურისთვის) რეფერატის ასლების ატვირთვა სპეციალურ ინტერნეტ-გვერდზე (იხ. რუსულენოვანი ტექსტი ქვევით). რეგისტრაციის გასავლელად არ დაგავიწყდეთ დააკლიკოთ ღილაკს წარწერით — „Отправить на проверку“ — რეგისტრაცია მხოლოდ ამ მომენტში სრულდება.

გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ქვემოთ წარმოდგენილ განცხადებას რუსულ ენაზე. რუსეთში სტიპენდიით სწავლის გასაგრძელებლად, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა იმ დონეზე მაინც, რომ ქვემოთ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი გაიგოთ და დამოუკიდებლად შეძლოთ დარეგისტრირება.

**„ნიუსფრონტი“ წარმატებებს გისურვებთ!**



## ВНИМАНИЕ!

## Открыта регистрация для поступления в вузы России на 2021/2022 учебный год

**Секция интересов России в Грузии объявляет, что с 20 января с.г. стартует кампания по набору кандидатов для поступления в 2021-2022 учебном году в российские высшие учебные заведения за счет средств федерального бюджета Российской Федерации.**

Желающие получить образование в России могут подать заявки на обучение в электронной форме на сайте государственной информационной системы «Образование в РФ для иностранцев» (ГИС ОРФИ). Переадресация в систему возможна по ссылкам:https://edu.rs.gov.ru/и https://future-in-russia.com/.

Для участия в отборочных мероприятиях необходимо будет пройти регистрацию, заполнить анкету на сайте https://education-in-russia.com и прикрепить к заявке необходимые отсканированные документы в соответствии с указанным в информационной системе перечнем. К документам, предоставленным на грузинском языке, должен прилагаться нотариально заверенный перевод на русский язык.

Срок подачи заявок строго с 20 января по 20 февраля включительно.

В конкурсе могут принимать участие граждане Грузии, лица без гражданства и российские соотечественники, постоянно проживающие на территории Грузии (имеющие разрешение на временное проживание или вид на жительство и не имеющие регистрации на территории Российской Федерации).

В марте с.г. состоятся отборочные испытания в формате собеседований для зарегистрированных в системе кандидатов. Информация о графике отборочных испытаний будет размещена дополнительно после 20 февраля с.г.

В случае возникновения вопросов после внимательного изучения информации на официальном сайте квотной кампании, обращайтесь через систему сообщений новой информационной платформы или на электронный адрес Секции интересов interests.section@mid.ru

Дополнительно сообщаем, что ранее используемая образовательная программа Future-in-Russia более не ведет регистрацию граждан для участия в отборочной кампании.

**GEORGIE.SU**



**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე მომღერალი და მსახიობი, ქართული ესტრადის ვარსკვლავი, გულანთებული პატრიოტი და ჩვენი ქვეყნის მრავალათასიანი აუდიტორიის უსაყვარლესი პიროვნება**

**თემურ წიკლაური**

**და თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებს.**

# თემურ წიკლაური შეუცვლელი მარად და მარად

კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა ჩვენს რიგებს, ჩვენს ქვეყანას.

თემურ წიკლაურის სახით წავიდა მეგობრებზე, ახლობლებსა და სრულიად ქვეყანაზე შეყვარებული, მოფიქრალი, მოამაგე და გულანთებული კაცი; კაცი, რომელიც საზოგადოების ნებისმიერ წრეში პატივისცემასა და მოკრძალებას იმსახურებდა. ძნელია, ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც ცხოვრებამ მძიმე განსაცდელებით აღსავსე გზა არგუნა წილად, მაგრამ ბუნებისგან ბოძებული უბადლო ნიჭის, მტკიცე ხასიათისა და ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით დიდ საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

მასთან ურთიერთობა და გატარებული ყოველი წუთი უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა, შეუპოვარი ცხოვრების მაგალითს გვაძლევდა და მომავლის ურყევ სტიმულს გვინერგავდა.

მეგობართა იმ წრემ, რომელიც მისი ინიციატივით შეიქმნა და თვითონვე „მეგობრობის აკადემია“ დაარქვა, თითქმის 25 წელი იარსება. დიდი პატივი იყო ასეულობით დღე და ათასეულობით საათი ერთად გატარებული დროისა, ბჭობა ტრადიციების, ღირსების, ღირებულებების დაცვაზე, ქვეყნის კეთილდღეობაზე... ყოველივე ეს ჩვენს მეხსიერებაში წმიდათაწმიდა მოგონებად დარჩება.

თემურის ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი სიცარიელე და შეუხორცებელი იარა დაგვიტოვა. ქედს ვიხრით მის წინაშე. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.

**პროფესორი ჰუბერტ ბლუმი, ვასილ ბოლაშვილი, ტარიელ ღარიბაშვილი, თამაზ თამაზაშვილი, პაატა ბოლაშვილი, ბიძინა სონღულაშვილი, ნუგზარ მაღულარია, გელა მჭედლიშვილი, მერაბ აბულაშვილი ოჯახებით იუწყებიან თემურ წიკლაურის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# თურქეთი რუსული ვაქცინის წარმოებას იწყებს

**რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდმა ხელი მოაწერა შეთანხმებას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის თურქეთში წარმოების შესახებ და დაიწყო ტექნოლოგიის გადაცემა. თურქეთის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა ფარმაცევტული პროდუქციის წამყვანი მწარმოებლის წარმომადგენელმა.**

წარმოების შესაძლო მოცულობა შეადგენს ვაქცინის მილიონ დოზას ყოველწლიურად, თურქული ფირმა ვაქცინას გაყიდის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

„სპუტნიკ V“ შექმნილია ადამიანის ადენოვირუსების ვექტორების პლატფორმაზე. ვაქცინა უკვე მოიწონეს რუსეთის, ბელარუსის, არგენტინის, გაერთიანებული არაბული საამიროების, უნგრეთის, სერბეთის, ბოლივიის, ალჟირის, პალესტინის, ვენესუელის, პარაგვაის, თურქმენეთის მარეგულირებელმა ორგანოებმა. იწყება ვაქცინის რეგისტრაციის პროცესი ევროკავშირში.

**kommersant.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

**სარედაქციო კოლეგია**
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009